ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ევროპის ერთის თასისთვის გადაზრდილია

## უფრო დიდ ტურნირში უნდა ჩავგრთოთ

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 ნოემბერი **სამშაბათი** 2013
№279 (14 195) ფასი 80 თეთრი

13

ინტერვიუ რაგბის საერთაშორისო საბჭოს განვითარების შეფთან

**მარკ იგანთან**



# ყოფნა-არყოფნა

## სიგნალ იდუნა პარკზე

### დღეს ლიგაზე მეხუთე ტური იწყება




## ნაპოლი ფრით გავა დორტმუნდმა უნდა მოიგოს

5



7

### ვინ არის მოღალატე?

გვარდიოლა თავის გუნდში ჩამშვებს ეძებს



11

### მსოფლიოს ჩემპიონს გავუსწარით

ნადირაძემ ბაქოში 200 მეტრი მოიგო



16

### ორი ამბავი NBA-დან

როუზმა სეზონი დაასრულა... კობიმ ორწლიანი გააფორმა

# რა ხდება ოქრიაშვილისა და თარგამაძის თავს?

უკრაინული პრემიერლიგის XVII ტურში დნეპროპეტროვსკის „დნეპრომ" შინ მარიუპოლის „ილიჩივეცს" 3:1 რომ მოუგო, სტუმართა განაცხადში არ იყვნენ ქართველი ლეგიონერები **- თორნიკე ოქრიაშვილი და დავით თარგამაძე.**

ამის მიზეზებზე, გადაცემა „2+2"-ში, საკმაოდ მყვირალა კომენტარი გააკეთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი პავლოვმა:** *„ორი ქართველი - ოქრიაშვილი და თარგამაძე, ნაკრებში წასვლის შემდეგ აღარ დაბრუნებულან. უკვე ერთი თვეა, რაც მსურს, რომ მათ სხვა გუნდში თამაშის საშუალება მივცე. ისინი ფიქრობენ, რომ „ილიჩივეცის" დონისთვის „გადაიზარდნენ".*

პავლოვის სიტყვებმა დაგვაბნია, რადგან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ეს ფეხბურთელები ბოლოს ესპანეთთან 15 ოქტომბრის შეხვედრაზე გამოიძახეს. პლუს, ოქრიაშვილს ახალგაზრდულ ნაკრებში **ალექსანდრე ჩივაძემ,** ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჰოლანდიასა და შოტლანდიასთან მატჩებისთვის უხმო. მაშინ შეკრებაზე არც ერთი არ გამოცხადებულა. ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ოთარ გიორგაძემ** გვითხრა, რომ ოქრიაშვილი „ილიჩივეცის" ვარჯიშზე დაშავდა და ახალგაზრდულს ვერ დაეხმარებოდა.

გაუგებრობას იწვევს ის ფაქტიც, რომ ესპანეთთან მატჩის შემდეგ, 23 ოქტომბერს, თარგამაძე „ილიჩივეცის" ორმხრივ თამაშშიც მონაწილეობდა. ეს ინფორმაცია თავად კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა და უკრაინულმა წყაროებმაც გაავრცელეს - „წითლები", სადაც თარგამაძე თამაშობდა, „მწვანეებთან" 0:2 დამარცხდნენ და საქართველოს ნაკრების შემტევმა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

ეგ არის, რომ მოედანზე არ ყოფილა ოქრიაშვილი, რისი მიზეზიც უცნობი იყო. მანამდე, საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა დონეცკის „შახტართან" მე-13 ტურის შეხვედრაც გამოტოვა.

მაშინ „ლელომ" შემოგთავაზათ უკრაინული მედიისთვის ოქრიაშვილის ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც აცხადებდა, რომ „ილიჩივეციდან" წასვლა სურდა: *„ილიჩივეცში" თავს კარგად ვერ ვგრძნობ. იქაურ ვითარებას ვერ ვეწყობი და ვერ ვთამაშობ ისე, როგორც მინდა, რადგან შემტევი ფეხბურთი იგნორირებულია. ისევ დონეცკის „შახტარში" რომ ვიყო, დარჩენის დიდი სურვილი მექნებოდა. „ილიჩივეცი" კი არის გუნდი, რომელიც დღესდღეობით არ მომწონს და სხვა შემოთავაზებას ველოდები. ზამთრამდე მოვითმენ და მერე, ალბათ, რაღაც გამოჩნდება. ვეძებ კლუბს, სადაც ჩემს შესაძლებლობებს 100%-ით გამოვავლენ. შემოთავაზება მაქვს საფრანგეთის, ჰოლანდიისა და რუსეთის კლუბებიდან".*

8 ნოემბერს, ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" მოგების (3:1) შემდეგ კი ტელეკომპანია „პროფუტბოლთან" პავლოვმა შემდეგი ბრძანა: *„ოქრიაშვილი და თარგამაძე არ ვარჯიშობენ. ისინი ნაკრებიდან ტრავმირებულები დაგვიბრუნდნენ და მას შემდეგ მკურნალობენ. დღევანდელი მატჩის შემდეგ, მათ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდებათ".*

პავლოვის ბოლო კომენტარი ოქრიაშვილის ოჯახში გაიკვირვეს - თორნიკეს მენისკი აწუხებდა, მაგრამ მარიუპოლში იყო, იქვე მკურნალობდა და ეს პავლოვმა როგორ არ იცისო? ისიც შევიტყვეთ, რომ ოქრიაშვილი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს და რომ მას და თარგამაძეს „ილიჩივეცში" დარჩენა თავად აღარ სურთ. ოქრიაშვილს რუსეთიდან კონკრეტული წინადადება აქვს. უკრაინელებთან მოლაპარაკებას თარგამაძის აგენტიც აწარმოებს. მაგრამ სად ითამაშებენ და მოახერხებენ თუ არა კლუბის დატოვებას, ეს ჯერ გადაწყვეტილი არაა.

მაგრამ სიმართლე ითქვას, ბოლომდე მაინც გაუგებარი დარჩა, რატომ არ ჩამოვიდნენ ნაკრებში, სად დაშავდნენ, ახლა რატომ არ ვარჯიშობენ და საერთოდ, რა ხდება „ილიჩივეცის" ქართველი ლეგიონერების თავს?

შეგახსენებთ, რომ ორივე ქართველი „ილიჩივეცში" იჯარით თამაშობს. მათი ტრანსფერი დონეცკის „შახტარს" ეკუთვნის.

**მერაბ მამულაშვილი**



თორნიკე ოქრიაშვილი და დავით თარგამაძე

## ლეგიონი ახლო ხედით

# ლომა, იაშკა, ბევრი შაფა და ტემპი...

## რაც ქართულ ფეხბურთს ასე აკლია



ინტერი-ნეფთჩი 3:1. ალექსანდრე იაშვილი (თეთრ მაისურში) გამორჩეული იყო

ავტორის ფოტო

**ქართველ ლეგიონერთა ამბებს რეგულარულად გაცნობთ ხოლმე, თუმცა სხვა საქმეა მათი უშუალოდ საქმეში ხილვა. ამიტომაც შანსი ხელიდან არ გავუშვით და ბაქოში „ინტერისა" და „ნეფთჩის" დერბის დავესწარით. მაშ ასე, „ახლო ხედის" სტუმრები „ინტერის" ქართველი მწვრთნელ-ფეხბურთელები არიან...**

გვიანი ნოემბრის მიუხედავად, ბაქოში მზე აცხუნებდა და ჰეიდარ ალიევის პროსპექტზე არცთუ დიდი ხნის წინათ აშენებულ კოხტა „შაფაზე" ფეხბურთის ყურებაში ხელს გვიშლიდა, თუმცა **კახა ცხადაძის** და მისი შეგირდების დაპირისპირება აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანთან ამად ღირდა.

აზერბაიჯანული პრემიერლიგის მე-14 ტურში ცხადაძის, **ზაურ სვანაძის** (ასისტენტი), **გიორგი ლომაიას, ლაშა სალუქვაძის, ბაჩანა ცხადაძის** და **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი „შაფაზე" ერთ-ერთ ლიდერ „ნეფთჩის" მასპინძლობდა. 8-ათასიანი „შაფა" მესამედით იყო შევსებული. ბუნებრივია, ყველაფერს საკუთარ პირველობას ადრი და ასეთი დასწრება ჩვენთვის კარგად ითვლება.

ცხადაძემ ორი თანამემამულე ათამაშა (ბოლოს, დროის გაყვანის მიზნით თავისი ვაჟიც ჩართო თამაშში): კარში ლომაია და შეტევებში - იაშვილი.

პირველი, რაც უცხოებს თვალში მოგვხვდა: ეს იყო თამაშის ტემპი და ბრძოლა მოედანზე და მედიის ყურადღება ტრიბუნაზე - მატჩს ათზე მეტი კამერით იღებდნენ, თითქოს, რომელიმე მოწინავე პირველობის შეხვედრა ყოფილიყო. მოედანზე კი თუკი ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა, პირველი იაშვილი იყო. არა იმიტომ, რომ „იაშკა" მოედანზე საუკეთესო იყო (ამაზე თავს ვერ დავდებთ), არამედ იმიტომ, რომ 22 ფეხბურთელში მხოლოდ ის გამოირჩეოდა, სწორი გადაწყვეტილებების მიღებით, სწორი მოძრაობით და პასებით, გააზრებული თამაშით, რასაც ფეხბურთში მოკლედ კლასი ჰქვია.

*„იაშვილის თამაშით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ იყო რამდენიმე ეპიზოდი, სადაც უკეთ თამაშიც შეიძლებოდა პირველ ტაიმში, მაგრამ ალექსანდრე სწორედ ის ფეხბურთელია, რომელსაც თამაშის ბედ-იღბალის გადაწყვეტა შეუძლია, რაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა",* - გვითხრა მატჩის შემდეგ კახა ცხადაძემ და მას სრულად ვეთანხმებით.

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის" სასტარტოში სულ 5 აზერბაიჯანელი იყო, პირველი გოლი სუფთა აზერბაიჯანული გამოდგა - **რუსლან ამირჯანოვმა** მარჯვნიდან ჩააწოდა და **ვაგიფ ჯავადოვმა** გაიტანა.

მატჩის ბედზე დიდად იმოქმედა 63-ე წუთზე მომხდარმა ეპიზოდმა, როდესაც მსაჯმა „ნეფთჩის" ბრაზილიელი ლეგიონერი **ფლავინიო** გააძევა. თუმცა მოვლენები ჯერ ლოგიკის საპირისპიროდ განვითარდა - 10-კაციანმა ლიდერმა შეუტია და ბრაზილიელმა მცველმა **კარლოს კარდოზომ** დაარტყა, ლომაია ჰაერში გაიჭიმა და თითქოს, შეწვდა, მაგრამ... ბურთი „ინტერის" ბადეში აღმოჩნდა და „შაფამაც" იხუვლა. მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინეთ, რომ თითქმის მთელი სტადიონი „ნეფთჩის" გულშემატკივრობდა, „ინტერის" ქომაგები კი გაცილებით ნაკლებნი იყვნენ.

*„გიორგი ბოლო დროს ფორმაში შევიდა და მე მისი თამაშით კმაყოფილი ვარ, მის მიმართ პრეტენზიები არა მაქვს",* - გვითხრა ცხადაძემ. მართლაც, ამ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, ლომაია სტაბილურად თამაშობდა და ერთხელ აშკარა გოლისგანაც იხსნა „ინტერი". რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს, ჯერ ჯავადოვმა დუბლი შეასრულა, შემდეგ კი ინტრიგა იაშვილმა მოკლა, როცა მეკარეს დუელი მოუგო და სეზონში მეორე გოლი გაიტანა. ასე იმარჯვა ტურის ცენტრალურ მატჩში მოულოდნელად ქართველთა გუნდმა და **ნიკოლოზ გელაშვილის** „ყარაბახს" პირველ ადგილზე გადასვლის საშუალება მისცა, თავად კი 20 ქულით მეხუთეა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მატჩი შესანიშნავი შანსია, „ინტერმა" მისთვის ცუდად დაწყებული სეზონი სათავისოდ მოატრიალოს?** - ვკითხეთ ცხადაძეს მატჩის შემდეგ.

*„რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან გამარჯვება დიდად ფასობს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სეზონი საჩვენოდ შემოვატრიალოთ, თუმცა მთავარი მაინც სტაბილურობაა და ამისკენ ვისწრაფვით. დღეს კი „ინტერი", უბრალოდ, ძლიერი იყო „ნეფთჩიზე",* - განაცხადა მწვრთნელმა, რომელმაც პირწმინდად მოუგო დუელი **ნაზიმ სულეიმანოვს** (წარსულში ცნობილ აზერბაიჯანელ ფეხბურთელს). ერთი, რაც ნათლად შევამჩნიეთ - ცხადაძეს ბაქოში არცთუ მეგობრულ გარემოში უწევს მუშაობა, ის ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგებისგან (და ალბათ, არა მარტო მათგან) მუდმივ პრესშია (ზოგჯერ, უსამართლოდაც) და ყოველივე ამის შემდეგ 2009 წლის ივნისიდან „ინტერის" თავკაცის თანამდებობაზე გაძლება, არ არის უმნიშვნელო მიღწევა.

### ...რაც ჩვენ გვაკლია

ზემოთაც ვახსენეთ, გინდა არ გინდა, უცხო გარემოში მოხვედრილი ყველაფერს საკუთარს ადარებ და ჩვენც ვერ გავექეცით ამას. „შაფა" საკმაოდ მარტივი, მაგრამ კოხტა სტადიონია, რომელსაც თავისუფლად უწოდებ თანამედროვეს. ზუსტად ისეთი, როგორთა ნაკლებობაც საქართველოშია. ასეთ არენაზე თამაშიც და გულშემატკივრობაც ერთი-ორად სასიამოვნოა.

შესაძლოა, აზერბაიჯანელები სიღრმისეულად ვერ ერკვევიან ფეხბურთში, მაგრამ ფაქტია, რომ მათ სპორტის ეს სახეობა უყვართ და ყურადღებას აქცევენ, სხვა საქმეა, რომ „ნეფთჩის" ფინანსებით ორჯერ უფრო ძლიერი გუნდის „შენება" შეიძლება, თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ საუბარია ჩემპიონატზე, რომელიც უეფას მიხედვით სულ ოდნავ სჯობს ჩვენსას.

ერთი თამაშით შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება ძნელია, თუმცა ცოცხლად ნანახმა შეავსო და დაგვიდასტურა აქამდე ჩამოყალიბებული მოსაზრება - იქ უფრო მაღალ ტემპში თამაშობენ, 90 წუთს ხშირად ვერ ძლებენ და სქემებიც ერევათ, მაგრამ ფაქტია, ცდილობენ და რაც უნდა მაღალი დონის იყო, მოუმზადებლად იქ ბევრს ვერაფერს მიაღწევ, რაც ჩვენს ჩემპიონატში სამწუხაროდ, შესაძლებელია.

ვარსკვლავების თემას გვერდს ვერ ავუვლით და თუნდაც ჩვენი ბიჭები ავიღოთ - ლომაია წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების შეუცვლელი გოლკიპერი იყო, ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოა, იაშვილზე და მის კლასზე უკვე ვილაპარაკეთ. სწორედ ასეთი ფეხბურთელები დაამშვენებდა ქართულ ჩემპიონატს, ისევე როგორც ისინი ამშვენებენ აზერბაიჯანულს.

დაბოლოს, დერბი - დიახ, დედაქალაქის დერბი, რომელმაც შაბათის „ინტერი"-"ნეფთჩის" დამატებითი ინტრიგა მიანიჭა. აბა გაიხსენეთ, ბოლოს როდის ნახეთ კარგი თბილისური დერბი?..

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაქო-თბილისი

საქართველოს უმაღლესი ლიგა. XIII ტურის მიმოხილვა ჩემპიონატი

# ამინდს ნუ დააბრალებთ!

...როგორც ვივარაუდეთ, XIII ტური საინტერესო გამოდგა; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ორკვირიანი შესვენება ყველა გუნდს ერთნაირად როდი მოუხდა. ოღონდ, ამ შაბათს ისეთი კლიმატური პირობები იყო საქართველოში, ჰაერის დაბალ ტემპერატურაზე სასაყვედურო არავის უნდა ჰქონდეს; მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ ზამთრის პაუზამდე კიდევ... ხუთი ტურია დარჩენილი და იმედი დავიტოვოთ, რომ ამინდიც „დაინდობს" ჩვენს მწვრთნელ-ფეხბურთელებსა თუ მცირერიცხოვან გულშემატკივრებს.

ახლა კი გასული ტურის მეტ-ნაკლებად გამორჩეული ფაქტები თუ მოვლენები გავიხსენოთ.

## უკვე არასასურველია...

ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში თბილისის „დინამოსათვის" ყველაზე სასურველი მეტოქე გორის „დილა" იყო. ისიც გავიხსენეთ, რომ ამ 23 წლის განმავლობაში „დილას"... ერთადერთხელ ჰყავდა ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი დამარცხებული. თუმცა, უკვე მესამე სეზონია გორელთა გუნდი შინ თუ გარეთ ახერხებს „დინამოსათვის" ქულების წართმევას და ასე მოხდა ახლაც! თანაც, ამ საყაიმო შედეგით შეწყდა კიდეც „დინამოს" უდანაკარგო შინაური სერია: „დილასთან" მატჩამდე

არანაკლებ ეფექტური იყო გველესიანის თანაამპლუელისა და ყოფილი თანაგუნდელის **ოთარ ხიზანეიშვილის** გოლიც: 32 წლის მცველმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. აღსანიშნავია, რომ გამოცდილ ხიზანეიშვილს საქართველოს ჩემპიონატში აქამდე არც ერთი გოლი არ ჰქონდა გატანილი...

## დაბრუნება და ვარდნა

წინა სეზონის ბოლოსწინა ტურში 2013 წლის 17 მაისს რომ ჩატარდა, ქუთაისის „ტორპედომ" ერთობ თვალსა-

## მწვრთნელიც, დირექტორიც...

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** აქტიური საფეხბურთო კარიერა ორიოდე წლის წინათ დაასრულა. გასული სეზონიდან კი „სიონის" დირექტორად მუშაობს, თუმცა, არა მხოლოდ დირექტორად: უკვე სამი ტურია ბოლნისელთა გუნდის მთავარი მწვრთნელიც გახლავთ და შედეგიც სახეზეა!

ჰო, ერთი თვის წინ „სიონს" ერთობ არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ლადო ბურდულის თავკაცობით ბოლნისელებმა სტუმრად „ზესტაფონთან" ფრედ ითამაშეს, ასევე გასვლაზე „დილას" მოუგეს და ახლა კი, კვლავაც გორში რომ უმასპინძლეს (!) „სპარტაკს", უმძიმეს ბრძოლაში მორიგი სამი ქულაც მოიპოვეს! ჰოდა, ამ წარმატებული სერიის „გამოძახილია" კიდეც ის ფაქტი, რომ „სიონს" მხოლოდ 3 ქულალა აშორებს პირველ ექვსეულთან.






დინამო (თბ)-დილა 1:1 — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

„დინამოს" ხომ ექვსიდან ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული „დინამო-არენაზე".

სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატში „დინამომ" საშინაო მატჩი რომ ვერ მოიგო, ეს ამბავი ბოლოს რვა თვის წინათ მოხდა და **დუშან უჰრინის** გუნდის მეტოქე მაშინაც... „დილა" იყო! ისე, ამ ქულას გორელთათვის სხვა დატვირთვაც ჰქონდა: **რამაზ სოლოლაშვილის** დამოძღვრილ „დილას" ხომ ჯერ კიდევ არ აქვს განაღდებული ზედა ექვსეულში მოხვედრა.

## მცველების ბენეფისი

ისევ ტურის ცენტრალურ მატჩს დავუბრუნდეთ, სადაც ორი გოლი ვიხილეთ და ორივე... მცველებმა გაიტანეს. დინამოელთა 22 წლის ცენტრალური მცველი **გიორგი გველესიანი** თავის კარიერაში მართლაც გამორჩეულ სეზონს რომ ატარებს, უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ. გველესიანმა ამჯერადაც გაახარა „დინამოს" ქომაგები და ეფექტური თავური დარტყმით ამ სეზონში უკვე მესამე გოლი გაიტანა.

სეირო შეხვედრაში „დილას" 5:4 მოუგო. „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი იმ დროს **გია გეგუჩაძე** გახლდათ, რომელიც ქუთაისში ექვსთვიანი პაუზის მერე დაბრუნდა, ოღონდ, ამჯერად უკვე სხვა, თავის ძველ-ახალი გუნდის („ზესტაფონი") თავკაცის რანგში. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც მშვენიერი დაბრუნება გამოვიდა: „ზესტაფონმა" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა, ხოლო გეგუჩაძეს ქუთაისელი ქომაგები ტაშით შეეგებნენ.

ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი კი „ზესტაფონის" 19 წლის ნახევარმცველმა **ავთო ენდელაძემ** გაიტანა, რომელმაც ძირითადში დაბრუნება თავისი გუნდისათვის ესოდენ საჭირო და შედეგიანი დარტყმით აღნიშნა. აი, „ტორპედოს" ვარდნა კი გრძელდება: **ჟერარდ სარაგოსას** ახალგაზრდულმა კრებულმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო; თანაც, მომდევნო ტურში ქუთაისელთა გუნდს სტუმრად უწევს თამაში უშუალო კონკურენტ „დილასთან".

## ეს უკვე კანონზომიერებაა!

ერთი ტური, ორიც, სამიც, ჰა, ოთხიც შეიძლება, რომ გუნდმა წარმატებით ჩაატაროს და მერე ვთქვათ-ხოლმე, ყოველივე ეს სასიამოვნო მოულოდნელობააო; მაგრამ, როცა იგივე გუნდი 13 ტურის განმავლობაში აგრძელებს გაოცებას, ეს უკვე კანონზომიერებად უნდა მივიჩნიოთ! ჰო, „გურიაზე" მოგახსენებთ: ზედიზედ მესამე გამარჯვება და ლანჩხუთელთა გუნდი მესამე ადგილამდე აღზევდა - აი, ამას კი, სეზონის დაწყების წინ, ალბათ, მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა.

## შეჯიბრება გოლებში

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ტურის ცენტრალურ მატჩში გიორგი გველესიანმა და ოთარ ხიზანეიშვილმა ერთიმეორეზე ეფექტური გოლები გაიტანეს; თუმცა, არანაკლებ კი არა, ბევრად უფრო შთამბეჭდავი გოლები იხილეს რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა: მშვენიერ ფორმაში მყოფმა 21 წლის **ბესიკ დეკანოიძემ** მატჩის დასაწყისში ლამაზი დარტყმით ანგარიში გახსნა; აი, მეორე ტაიმში კი „მეტალურგის" ყველაზე „სტაჟიანმა" ფეხბურთელმა, 28 წლის **დენის დობროვოლსკიმ**, თითქმის მოედნის ცენტრიდან ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში" ზუსტად გაგზავნა!

## სხვადასხვა ფაქტები

გია გეგუჩაძისგან განსხვავებით, უიღბლო გამოდგა საქართველოს ჩემპიონატში კიდევ ერთი მწვრთნელის დაბრუნება: აწ უკვე **გიორგი დარასელიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ზუგდიდმა" ბოლო წუთებზე გაუშვა გოლი და კვლავაც ბოლო საფეხურზე დარჩა. „ვეტერინართაგან" ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი კი შეცვლაზე შემოსულმა 21 წლის ცენტრფორვარდმა **ლევან კუხალეიშვილმა** გაიტანა.

...მიმდინარე სეზონის ერთ-ერთმა ყველაზე ასაკოვანმა ფეხბურთელმა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** უმაღლეს ლიგაში გოლი თითქმის ორწელიწადნახევრიანი პაუზის მერე გაიტანა; გოგობერიშვილის მსგავსად, გამოცდილება არ დაეწუნება „გურიას" ნახევარმცველს **ალექსანდრე კოშკაძესაც**: 31 წლის ფეხბურთელი ერთადერთი გახლდათ, გასულ ტურში „დუბლი" ვინც შეასრულა. არადა, ახლო წარსულში კოშკაძეს ხშირად გაუტანია ერთ მატჩში „წყვილი გოლები", ოღონდ, მაშინ თბილისის „დინამოში" თამაშობდა...

**გია ტუხაშვილი**

### II ლიგა

**დასავლეთი ზონა. XIII ტური**

| | |
|---|---|
| სამეგრელო-საპოვნელა 2 | 0:4 |
| ლაზიკა-რაჭა | 4:0 |
| ქუთაისი-შუქურა 2 | 4:0 |
| კოლხეთი 2 (ხ)-მარგვეთი | 0:1 |
| მერცხალი 2-დინამო 2 (ბთ) | 1:2 |
| საირმე-ეგრისი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 12 | 10 | 1 | 1 | 34-5 | 31 |
| 2. ეგრისი | 12 | 9 | 0 | 3 | 29-15 | 27 |
| 3. მარგვეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 31-17 | 24 |
| 4. რაჭა | 12 | 7 | 1 | 4 | 20-21 | 22 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 12 | 6 | 3 | 3 | 24-16 | 21 |
| 6. შუქურა 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 21-21 | 20 |
| 7. ქუთაისი | 12 | 5 | 3 | 4 | 31-22 | 18 |
| 8. საპოვნელა 2 | 12 | 5 | 1 | 6 | 26-27 | 16 |
| 9. კოლხეთი 2 (ფ) | 12 | 5 | 1 | 6 | 21-23 | 16 |
| 10. კოლხეთი 2 (ხ) | 12 | 4 | 2 | 6 | 18-18 | 14 |
| 11. საირმე | 12 | 4 | 1 | 7 | 21-26 | 13 |
| 12. მერცხალი 2 | 12 | 0 | 1 | 11 | 8-33 | 1 |
| 13. სამეგრელო | 12 | 0 | 1 | 11 | 4-44 | 1 |

### დუბლების ჩემპიონატი

**XIII ტური**

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ჩიხურა | 1:0 |
| დინამო (თბ)-დილა | 2:3 |
| მერანი-გურია | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:0 |
| სიონი-სპარტაკი | 2:2 |
| ტორპედო-ზესტაფონი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 13 | 11 | 0 | 2 | 33-15 | 33 |
| 2. დინამო (თბ) | 13 | 8 | 1 | 4 | 27-19 | 25 |
| 3. მერანი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-9 | 25 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 13 | 6 | 4 | 3 | 18-22 | 22 |
| 5. ზუგდიდი | 13 | 6 | 2 | 5 | 21-22 | 20 |
| 6. ტორპედო | 13 | 5 | 2 | 6 | 23-18 | 17 |
| 7. დილა | 13 | 5 | 1 | 7 | 21-25 | 16 |
| 8. ჩიხურა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-13 | 16 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16-22 | 15 |
| 10. ზესტაფონი | 13 | 4 | 2 | 7 | 16-21 | 14 |
| 11. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 18-27 | 12 |
| 12. გურია | 13 | 1 | 2 | 10 | 12-22 | 5 |

მოულოდნელი ამბავი

# დუშან უჰრინი: მე პლზენის მწვრთნელად? საინტერესოა!

ჩეხური „დენიკი" სენსაციურ ცნობას აქვეყნებს - პლზენის „ვიქტორია" შესაძლოა, **დუშან უჰრინმა** ჩაიბაროს, რომელიც ამჟამად თბილისის „დინამოს" თავკაცია. ამ გუნდის მწვრთნელი, 49 წლის **პაველ ვრბა** ახლახან ჩეხეთის ნაკრებში დანიშნეს, თუმცა ის ამ სეზონს „პლზენში" ჩაამთავრებს. ვინ შეცვლის მას, ეს უკვე ჩეხური სპორტული მედიის საყვარელი თემაა.

„პლზენი" 34 ქულით მეორე ადგილზეა, წინ მხოლოდ პრაღის „სპარტაა". „დენიკის" ინფორმაციით, ორი მთავარი კანდიდატია - **ზდენეკ ზემანი** და **დუშან უჰრინი** უმცროსი.

„დენიკი": „სიას გამოეთიშა „დუკლას" თავკაცი ლუბოშ კოზელი, ის აღარ განიხილება პაველ ვრბას შემცვლელად. კოზელმა შაბათს განაცხადა, რომ „პლზენისგან" ოფიციალურად მიიღო შეთავაზება, მაგრამ მან თავის კლუბთან კიდევ სამი წლით ხელშეკრულების გაგრძელება გადაწყვიტა. "პლზენი" აგრძელებს კანდიდატების ძებნას. ახლა ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი დუშან უჰრინი უმცროსია. „პლზენის" წარმომადგენლები თბილისშიც იმყოფებოდნენ, „დინამოს" ამჟამინდელ თავკაცთან მოსალაპარაკებლად. კიდევ ერთი ვარიანტია ზდენეკ ზემანი, სახელოვანი მწვრთნელი, რომელიც იტალიაში ცხოვრობს", - წერს „დენიკი".

გამოცემა „პლზენს" დაუკავშირდა, რომელმაც ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

„სპორტ ბლესკი" თავად უჰრინის კომენტარს აქვეყნებს: „მე „პლზენის" მწვრთნელად. რა თქმა უნდა, ეს საინტერესო იქნებოდა. „პლზენი" ხომ ჩეხეთში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. მაგრამ ამჟამად თქვენს ინფორმაციას ვერ დავადასტურებ, რადგან „პლზენიდან" არავინ შემხმიანებია. ჩემი აზრით, „პლზენს" დიდი პოტენციალი აქვს და მისი მწვრთნელობა დიდი გამოწვევაა".

იმავე „სპორტ ბლესკის" ინფორმაციით, უჰრინი კანდიდატებში ფავორიტია, რადგან ზემანის მწვრთნელობა ჩეხური კლუბისთვის მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დუშან უჰრინმა, შესაძლოა, პლზენი ჩაიბაროს

საქართველოს ნაკრები

# ალარავინ გვეამხანაგება

ბოლო წლებია, ჩვენს ეროვნულ გუნდთან თამაში არავის სურს. მოგვწონს თუ არა, ეს ობიექტური და ძალზე სამწუხარო რეალობაა. ახლაც იგივე მოხდა - საქართველოს ნაკრებს ნოემბერში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა უნდა გაემართა. მოლაპარაკება რადენიმე ქვეყნის ფედერაციასთან მიმდინარეობდა, მაგრამ...

*„თემურ ქეცბაიას სურდა, ნოემბერში თბილისში ამხანაგური თამაში ჩაგვეტარებინა, რადგან ბოლო ორი წელია, საქართველოს ნაკრებმა გასვლაზე გაცილებით მეტი თამაში ჩაატარა, ვიდრე - შინ. მოლაპარაკება რამდენიმე ფედერაციასთან გვქონდა, თითქოს, წინასწარი შეთანხმებაც არსებობდა, მაგრამ ბოლოს უარი შემოთვალეს“,* - გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ**.

გარდა სურვილისა, არის ფინანსური მხარეც. თუ გახსოვთ, ადრე საქართველოში თურქეთისა და ურუგვაის ნაკრებები გვესტუმრნენ. მაშინ მათ ჩვენმა ფედერაციამ არც ისე მცირე თანხა გადაუხადა. მაგრამ ეს ყველაფერი სახელმწიფოს დახმარებით მოხერხდა. დღეს კი სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას ძველებურად აღარ ათამამებს, საბიუჯეტო დაფინანსებაც შეუმცირა და გრანდებს ვინ ჩივის, ჩვენი დონის გუნდებიც უარობენ საქართველოსთან თამაშს.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩვენი ფეხბურთი

# სპეციფიკური მოთამაშე

გული მოგიკვდება, როცა სულ ერთსა და იმავეს ისმენ - რესურსი არ არის, ნახეთ, სად და როგორ გუნდებში თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები, ეს ეროვნული ჩემპიონატი კი სულ უკან-უკან მიდის...

მე კი მგონია, რომ ამ ყველაფერთან შეგუებას, გამოუსწორებელი ოპტიმისტის როლში ყოფნა სჯობს. დარწმუნებული ვარ, ამის სურვილი, ჩემ გარდა, კიდევ ბევრს ექნება, რადგან ასეთ პოზიციაში ყოფნის სურვილი ადამიანის თვისებაა. სინამდვილე ეს ისეთი რამ არის, ნაირგვარი თვალით რომ შეხედავ.

გასულ უქმეებზე „ვიტ ჯორჯია“-“ზუგდიდის“ მატჩს დავესწარი მცხეთაში. წარმოვიდგინე ამ გუნდების შეხლა სულ სხვა, უკეთეს ქვეყანასა და ლიგაში, პატარა, მაგრამ გადაჭედილ სტადიონზე, სადაც თამაშს 12 თუ 24 კამერა იღებს, სადაც კომფორტულად მიხვალ, იყიდი სენდვიჩსა და ლუდს, უქომაგებ საყვარელ გუნდს, ნახავ შენს საყვარელ მოთამაშეებს და მიუხედავად მატჩის შედეგისა, შინ მაინც ნასიამოვნები დაბრუნდები, რადგან ფეხბურთზე წასვლა უკვე ზეიმია.

გოლი, კორიფაძემ ყველაფერი მიზანმიმართულად გააკეთა. ბოლო წუთზე ამას რომ მოახერხებ, ესე იგი, ამ საქმის ოსტატი ხარ.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ კორიფაძეს ხალხით გადაჭედილ სტადიონზე უწევს თამაში და მატჩის ბოლო წუთზე ერთი ჩინებული პასით წყვეტს ყველაფერს. ასეთი მოთამაშე ყველა გუნდისთვის ფასეულია, დამცავ ჯებირებს ყოველთვის ბურთის მოედნის ცენტრში გაგორებით ვერ გაარღვევ, აუცილებლად დაგჭირდება ზუსტი ფლანგური ჩაწოდება, რაც ყველას არ ეხერხება ისე კარგად, როგორც კორიფაძეს.

ვიტჯორჯიელი **ლაშა კასრაძე** კორიფაძის ტოლია. ის ცენტრალური მცველია, თუმცა საყრდენ ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ კასრაძე რბილი მანერით მოთამაშე მცველია, ასეთი კი იშვიათია. მცველის მთავარი მოვალეობა ბურთის წართმევაა და კასრაძე ამას ისე ახერხებს, რომ თითქმის არასდროს აკეთებს „პადკატს“.


ლაშა კასრაძე


გიორგი კორიფაძე

„ვიტ ჯორჯიას“ ახლა კარგი დროება არ უდგას, თუმცა დარწმუნებული ვარ, წელში მალე გაიმართება. ასეთ „ვიტ ჯორჯიასაც“ ჰყავს კარგი ფეხბურთელები, მაგალითად, **გიორგი ჯანელიძე**, ვინც უკვე გადაიზარდა ამ გუნდისთვის და სხვაგან გადასასვლელად არის მომართული.

ჯანელიძის გარდა, ამ გუნდს კიდევ ჰყავს საინტერესო მოთამაშეები. მათ სპეციფიკურ ფეხბურთელებს დავარქმევდი, რადგან, სწორედაც რომ, საკუთარი სპეციფიკა აქვთ.

**გიორგი კორიფაძე** 24 წლის გახლავთ, ფლანგის შემტევია. საქართველოს ჩემპიონატში ძალიან ცოტაა ისეთი ფეხბურთელი, ფლანგური ჩაწოდება კარგად დახვეწილი რომ ჰქონდეს. ამ საქმეში ჩინებულად არის გაწაფული **დავით ოდიკაძე**, ვინც ახლა საჩხერის „ჩიხურაშია“ და რამდენიმე კეპი ეროვნულ ნაკრებშიც აქვს მონაგრებული.

კორიფაძემ მიმდინარე სეზონში 4 გოლი გაიტანა, გარდა ამისა, ის ძალიან ხშირად ასრულებს საგოლე გადაცემასაც. კორიფაძე სწრაფია, ტექნიკაც აქვს და დრიბლინგის უნარიც, ორივე ფლანგიდან შეუძლია ბურთის ზუსტად ჩაბზრიალება მეტოქის საჯარიმოში მყოფი თანაგუნდელისკენ.

„ვიტ ჯორჯია“-“ზუგდიდის“ შეხვედრაში მან ბოლო წუთზე შეასრულა საგოლე გადაცემა **ლევან კუხალეიშვილის** მისამართით. ეს არ იყო შემთხვევითი

მცველის კიდევ ერთი მოვალეობა ბურთის ამოტანაა, ოღონდაც, ამის უნარი ღმერთმა ცოტას მისცა, კასრაძეს კი ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში, ბურთის მოთვინიერებაც და შენარჩუნება. წინა სეზონში კასრაძის შეძენით ერთ-ერთი მოწინავე ქართული კლუბი იყო დაინტერესებული, თუმცა ტრანსფერი არ გამოვიდა, მსურველმა კლუბმა კურსი შეცვალა და გაცილებით ახალგაზრდა ფეხბურთელებით ჩაანაცვლა გამოცდილები.

კასრაძე უკეთეს გუნდში და ჩემპიონატში რომ თამაშობდეს, საკუთარი მონაცემებით უფრო გამორჩეული იქნებოდა, ვიდრე ახლაა. ამიტომაც აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართული კლუბების მოლონიერებას - სიდუხჭირე ხომ ფეხბურთელის წინსვლის მუხრუჭია.

„ვიტ ჯორჯია“-“ზუგდიდის“ შეხვედრაში არ უთამაშიათ ზუგდიდელ **ზვიად სიხარულიასა** და **ლუკა გუგუჩიას**. ამ ფეხბურთელებს თვითნაბადი ტექნიკა აქვთ, ის განსაკუთრებული მოძრაობა, რაც მხოლოდ საქართველოს ამ კუთხიდან წამოსულ ფეხბურთელებს ახასიათებთ.

გარემო, სავსე სტადიონი, საფეხბურთო ხმები და ატმოსფერო, ყოველმხრივ მოწესრიგებული კლუბი... მერწმუნეთ, საქართველოში მოთამაშე ზოგი ფეხბურთელი, ხელფასსა და პრემიაზე არანაკლებ, ამაზეც ოცნებობს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი


ვალერი ყაზაიშვილი

# ყაზაიშვილი: ჰერკულესი მაკვირდებოდა

წლეულს, **ვალერი ყაზაიშვილის** საკლუბო კარიერა წარმატებულად აეწყო - ჰოლანდიური ერედივიზიონის „ვიტესში“ 14-დან 13 ტურში ითამაშა და 3 გოლი გაიტანა. ცხადია, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი 2 ნოემბერს, „ამსტერდამ არენაზე“ „აიაქსის“ კარში გატანილი გოლი იყო.

თანაგუნდელ **გიორგი ჭანტურიასთან** ერთად, ყაზაიშვილი ახალგაზრდული ნაკრების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელიცაა. მიმდინარე შესარჩევ ციკლში მან 2 გოლი გაიტანა.

ყაზაიშვილმა „ლელოს“ გაუმხილა, რომ ჰოლანდიის მთავარი დივიზიონის სხვა კლუბში გადასვლის შანსი ჰქონდა:

*„წინა სეზონში 18 კაცშიც ვერ ვხვდებოდი, ფაქტობრივად, მთელი ეს დრო დუბლებში გავატარე. არადა, იქ კარგად ვთამაშობდი. ძველი მწვრთნელი რალაცით უკმაყოფილო იყო და ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა. წლეულს თითქმის ყველა მატჩი ვითამაშე, თანაც, უმრავლესობა - ძირითადში. ეს მწვრთნელ პეტერ ბოსის დამსახურებაა. ის კარგად მიცნობს. საქმე ისაა, რომ „ვიტესის“ დუბლებში მისი შვილის გვერდით ვთამაშობდი და ჩვენს მატჩებს ხშირად ესწრებოდა. სეზონის დაწყებამდე კი ჩვენმა სპორტულმა დირექტორმა მითხრა, რომ „ვიტესში“ დანიშვნამდე, ბოსი 3 წელი „ჰერკულესს“ ავარჯიშებდა და ამ გუნდში ჩემი წაყვანა სურდა. როგორც ჩანს, მერაბ ჟორდანიას ჩემი იმედი ჰქონდა და არ გამიშვა“,* - ამბობს ყაზაიშვილი.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ამბობს, რომ კლუბის შეცვლაზე ახლა არც ფიქრობს: *„ახლა არავის უთქვამს, რომ ჩემით რომელიმე კლუბია დაინტერესებული.*

*მაგრამ ნელ-ნელა, გუნდში ადგილს ვიმკვიდრებ და გულწრფელად რომ გითხრათ, მირჩევნია, ჯერ ისევ „ვიტესში“ მოვიკიდო ფეხი უფრო მყარად, გავიზარდო და ტრანსფერზე მერე ვიფიქრო. არნემში საჩემოდ სასურველი გარემოა და სად უნდა წავიდე? მართალია, მერაბ ჟორდანია „ვიტესის“ მეპატრონე აღარ არის, მაგრამ კლუბის პრეზიდენტად რჩება და ქართველების დატოვებაც სურს. მეც მაქვს იმედი, რომ ჰოლანდიელებს „ვიტესიდან“ თავს უფრო კარგადაც გავაცნობ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთი ყველასათვის

# მუნიციპალიტეტი სპორტთან ახლოს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე რაიონის პირველობა გაიმართა მინი ფეხბურთში მუნიციპალიტეტის სამსახურების გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სამსახურების თანამშრომელთა შორისაც, რომლებიც მხურვალედ გულშემატკივრობდნენ თავიანთ კოლეგებს. წრიული სისტემით გამართულ ხუთგუნდა ტურნირში პირველობა წილად ხვდა კულტურისა და სპორტის ცენტრის წარმომადგენლებს.

**ლელა ხეჩოშვილი**

საქვეყნო საქმე

# თანადგომით გავიმარჯვებთ!

## სოხუმის დინამო გვერდში მდგომს ეძებს

როგორც იქნა, სოხუმის „დინამო“ წლეულს აღდგა. ეს **მამუკა ბიძინაშვილმა** გააკეთა, რომელმაც პირველი ეროვნული ჩემპიონატის დროს საფეხბურთო კლუბი „იბერია“ დააფუძნა, მის ბაზაზე კი შემდეგ „ზესტაფონის“ წინამორბედი „მცხეთა“ ჩამოყალიბდა.

იყო იმედი, რომ აღდგენილი კლუბი პირველ ლიგაში ითამაშებდა, საბოლოოდ, ის მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში დაუშვეს და მისი აღორძინების საქმემ კიდევ გადაიწია.

ყველას კარგად ესმის, რომ საფეხბურთო ორბიტაზე სოხუმის „დინამოს“ ღირსეული დაბრუნება მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს ამოცანა არ არის. ეს ზოგადქართული, ეროვნული საკითხია და ამდენად არის საერთო-სახალხო საზრუნავიც. ასეთი მაგალითებია სა-


მამუკა ბიძინაშვილი

ბერძნეთში სალონიკის პაოკ-ი (პატრიოტი ათლეტები კონსტანტინოპოლიდან), ათენის აეკ-ი (ელინელი ათლეტები კონსტანტინოპოლიდან), ფამაგუსტას „ანორთოსისი“ (თურქების მიერ კონტროლირებადი ჩრდილოეთ კვიპროსის გუნდია), აზერბაიჯანში კი აგდამის „ყარაბახი“. უმთავრესად, ასეთი კლუბები იყვნენ და რჩებიან სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ. ქართული სახელმწიფოს ასეთივე მზრუნველობას ელის სოხუმის „დინამოც“.

სამწუხაროდ, დღეისთვის ასე არ არის, რაზეც კლუბის დამფუძნებელი მამუკა ბიძინაშვილი გველაპარაკა: *„ვინც გაეცნობა და ჩაუღრმავდება საკითხის არსს, აუცილებლად გააკეთებს დასკვნას, რომ 20 წლის განმავლობაში სოხუმის „დინამო“ უსაფუძვლოდ იყო მიტოვებული. თუმცა ქართული ფეხბურთის მატიანიდან ისტორიული უკულმართობის გამო უსამართლოდ ამოგდებული კლუბის ბედი ნებისმიერ მამულიშვილს დააფიქრებს. სოხუმის „დინამო“ 1927 წელს დაფუძნდა და სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონატებში. სამწუხაროდ, 90-ანი წლების დასაწყისში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, გუნდი შემადგენლობის ნაწილმა დატოვა და სოხუმის „ცხუმი“ დააფუძნა. ნაწილი კი სოხუმის „დინამოში“ დარჩა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშა. ანუ, საქართველოს საფეხბურთო რუკიდან ტრადიციული გუნდი გაქრა. მისი აღდგენა და აღორძინება ამიტომაც გადავწყვიტეთ. ამ პერსპექტივას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. მაგრამ რამდენიმე ინიციატორმა გავბედეთ და კლუბი დავაფუძნეთ. ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობების მიუხედავად, დღეს, გუნდი II ლიგაში მონაწილეობს და ახალგაზრდა, მზარდი ფეხბურთელები ჰყავს. I ლიგაში გადასვლა შესაძლებელია, მაგრამ ამაში ფინანსური პრობლემები გვიშლის ხელს. უფრო სწორად, არანაირი დაფინანსება არ გაგვაჩნია“,* - ამბობს ბიძინაშვილი.

ამის მიუხედავად, სოხუმის „დინამოს“ დამფუძნებელი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი ბევრს აღელვებს და დაფინანსების წყაროს მოძებნის: *„ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობამ კლუბი ავტომატურად აქცია ფიფასა და უეფას სუბიექტად - ამ ორგანიზაციებში სოხუმის „დინამო“ საქართველოს სახელით დარეგისტრირდა. ეს გასაფრთხილებელი ფაქტია. საინტერესოა, რომ კლუბი ასევე შეტანილია საერთაშორისო ცნობარებში, საბუკმეკერო კანტორები კი ჩვენს მატჩებზე ფსონებს იღებენ, რაც უცხოელების ცნობიერებაში ობიექტური გეოგრაფიული აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. პროექტს გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის აღდგენაშიც. ფინანსურად გაძლიერების შემთხვევაში, დიდი სიამოვნებით მოვიწვევდით აფხაზ ფეხბურთელებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ გუნდი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ყურადღებას იმსახურებს. უკვე ერთი წრე განვლილია. აქამდე ვერც მოვაღწევდით, გვერდში რომ არ დაგვდგომოდნენ ზვიად სიჭინავა, ვახტანგ ყოლბაია, გრიგოლ ცაავა, მურად ანჯაფარიძე და დიმა ჯაიანი. „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის“ თავმჯდომარის, ლონდერ ცაავასგან ყოველდღიურ მზრუნველობას ვგრძნობთ. იმედია, ასე გაგრძელდება მომავალში. მჯერა, ადრე თუ გვიან, სოხუმის „დინამოს“ აღორძინებაში საკუთარ წვლილს ბევრი შეიტანს და რეალურად განხორციელდება ჩვენი ლოზუნგი - „თანადგომით გავიმარჯვებთ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

გურია

# ლიცენზიის მოლოდინში

ლანჩხუთის „გურიას“ წლევანდელი გამოსვლა ნამდვილი სენსაციაა - ფინანსური პრობლემების მიუხედავად, გუნდი მშვენიერ ფეხბურთს თამაშობს. 13 ტურის შემდეგ, 8 გამარჯვებითა და 24 ქულით გუნდი მე-3 ადგილზე მყარად დამკვიდრდა.

ბოლო ტურის შემდეგ, როცა თბილისის „დინამომ“ შინ გორის „დილასთან“ ქულა გაიყო, სწორედ „გურია“ დარჩა უმაღლესი ლიგის იმ ერთადერთ გუნდად, რომელსაც საშინაო შეხვედრაში დღემდე ქულა არ დაუკარგავს. და ეს იმ დროს, როცა „გურიას“, დღემდე, ლანჩხუთში ერთი შეხვედრაც არ გაუმართავს და ბიუჯეტიდან თანხა, ფაქტობრივად, აღარ დარჩა. გუნდი მოედანზე ისეთი შემართული გადის, თითქოს, ფეხბურთელებს პრობლემები არ აწუხებდეთ. არადა, სეზონის დაწყების შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ „გურიას“ ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ ერთხელ დაეხმარა, ოღონდ, იმ თანხით, რაც მხოლოდ დავალიანების ნაწილის დასაფარად იყო საკმარისი...

როგორც ლანჩხუთელთა ერთ-ერთმა მენეჯერმა **ედიშერ ჟორდანიამ** გვითხრა, კლუბი ლიცენზირებისთვის საბუთებს ამზადებს, პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და იმედი აქვთ, რომ „გურია“ უმაღლესი ლიგის ერთადერთი არალიცენზირებული კლუბი აღარ იქნება.

იყო დაპირება, რომ ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონს ოქტომბრის ბოლოს მოაწესრიგებდნენ. მაგრამ გასახდელების, საშხაპეების, მსაჯთა და დელეგატთა ოთახებისა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია გაიწელა. როგორც ჩანს, გურულები ლანჩხუთში მეტოქეებს საგაზაფხულო ეტაპზე, ან საშემოდგომო ეტაპის ბოლო შეხვედრებში თუ მიიღებენ.

დღევანდელი „გურია“ იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, ფაქტობრივად, არაფრისგან გუნდის შექმნა, რომელსაც არც ერთი მეტოქის არ ეშინია. თანაც ეს შედეგი, ყოველგვარი რებრენდინგის გარეშე, გულიანი და თავდადებული თამაშის ხარჯზე მოხერხდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ

# თუფაქი, ჰევი მეტალი და კარუზო

## E ჯგუფი

| | |
|---|---|
| შალკე-სტიაუა | 3:0 |
| ჩელსი-ბაზელი | 1:2 |
| ბაზელი-შალკე | 0:1 |
| სტიაუა-ჩელსი | 0:4 |
| სტიაუა-ბაზელი | 1:1 |
| შალკე-ჩელსი | 0:3 |
| ჩელსი-შალკე | 3:0 |
| ბაზელი-სტიაუა | 1:1 |

**26 ნოემბერი**

**სტიაუა-შალკე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სტიაუა (4-2-3-1):** ტატარუშანუ - გეორგიევსკი, სუკალა, გარდოში, ლატოვლევიჩი - ბურჩეანუ, პინტილი - პოპა, სტანჩუ, ტანასე - პიოვაკარი.

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - უჩიდა, მატიპი, ჰიოვედესი, ფუხსი - ჯონსი, აოგო - ფარფანი, მეიერი, დრაქსლერი - ბოატენგი.

**არბიტრი:** ბას ნიიჰუისი (ჰოლანდია)

**ბაზელი-ჩელსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაზელი (4-2-3-1):** ზომერი - ფოზერი, ივანოვი, შერი, ტ. ჯაკა - დიე, ფრაი - სალა, შტოკერი, დელგადო - შტრელერი.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა - მიკელი, რამირესი - ოსკარი, ვილიანი, აზარი - ეტოო.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-2 | 9 |
| 2. შალკე | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 3. ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 4. სტიაუა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-9 | 2 |

**11 დეკემბერი**

ჩელსი-სტიაუა
შალკე-ბაზელი

## F ჯგუფი

| | |
|---|---|
| მარსელი-არსენალი | 1:2 |
| ნაპოლი-დორტმუნდი | 2:1 |
| დორტმუნდი-მარსელი | 3:0 |
| არსენალი-ნაპოლი | 2:0 |
| არსენალი-დორტმუნდი | 1:2 |
| მარსელი-ნაპოლი | 1:2 |
| ნაპოლი-მარსელი | 3:2 |
| დორტმუნდი-არსენალი | 0:1 |

**26 ნოემბერი**

**არსენალი-მარსელი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - ფლამინი, რემსი - კასორლა, იოზილი, როსიცკი - ჟირუ.

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - აბდალა, ნ'კულუ, დიავარა, მენდი - რომაო, იმბულა - ჯ. აიუ, ვალბუენა, ტოვენი - ჟინიაკი.

**არბიტრი:** ანტონიო მატეუ ლაჰოზი (ესპანეთი)

**დორტმუნდი-ნაპოლი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, კელი, სოკრატისი, დურმი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, რაულ ალბიოლი, ბრიტოსი, არმერო - ინლერი, ბეჰრამი - ხოსე კალეხონი, პანდევი, ინსინიე - იგუაინი.

**არბიტრი:** კარლოს ველასკო კარბალიო (თურქეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 2. ნაპოლი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 9 |
| 3. დორტმუნდი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| 4. მარსელი | 4 | 0 | 0 | 4 | 4-10 | 0 |

**11 დეკემბერი**

ნაპოლი-არსენალი
მარსელი-დორტმუნდი

## G ჯგუფი

| | |
|---|---|
| აუსტრია-პორტუ | 0:1 |
| ატლეტიკო-ზენიტი | 3:1 |
| ზენიტი-აუსტრია | 0:0 |
| პორტუ-ატლეტიკო | 1:2 |
| პორტუ-ზენიტი | 0:1 |
| აუსტრია-ატლეტიკო | 0:3 |
| ზენიტი-პორტუ | 1:1 |
| ატლეტიკო-აუსტრია | 4:0 |

**26 ნოემბერი**

**ზენიტი-ატლეტიკო 21:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ზენიტი (4-2-3-1):** ლოდიგინი - სმოლნიკოვი, ნეტო, ლომბერტსი, კრიშიტო - ვიტსელი, შატოვი - არშავინი, შიროკოვი, დანი - ჰალკი.

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, ალდერვეირელდი, გოდინი, ინსუა - ოლივერი, ტიაგო, გაბი, თურანი - დიეგო კოშტა, ადრიანი.

**არბიტრი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

**პორტუ-აუსტრია 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-2-3-1):** ელტონი - დანილო, მანგალა, ოტამენდი, ალექს სანდრო - დეფური, ფერნანდო - ჟოსუე, ლუჩო გონსალესი, ვარელა - ჯექსონ მარტინესი.

**აუსტრია (4-1-4-1):** ლინდნერი - კოხი, როგული, ორტლეხნერი, ზუტნერი - დილავერი - როიერი, ჰოლანდი, მურგი, იუნი - ჰოსინერი.

**არბიტრი:** ოვიდიუ ჰაცეგანი (რუმინეთი)

**11 დეკემბერი**

ატლეტიკო-პორტუ
აუსტრია-ზენიტი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| 2. ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 5 |
| 3. პორტუ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. აუსტრია | 4 | 0 | 1 | 3 | 0-8 | 1 |




იტალიაში იურგენ კლოპმა თავი ვერ შეიკავა

## H ჯგუფი

| | |
|---|---|
| მილანი-სელტიკი | 2:0 |
| ბარსელონა-აიაქსი | 4:0 |
| აიაქსი-მილანი | 1:1 |
| სელტიკი-ბარსელონა | 0:1 |
| სელტიკი-აიაქსი | 2:1 |
| მილანი-ბარსელონა | 1:1 |
| ბარსელონა-მილანი | 3:1 |
| აიაქსი-სელტიკი | 1:0 |

**26 ნოემბერი**

**აიაქსი-ბარსელონა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აიაქსი (4-3-3):** სილესენი - ვან რინი, ველტმანი, დენსვილი, ბოილესენი - სერერო, იონგი, პოულსენი - ფიშერი, შონე, სიგტორსონი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, პედრო, ნეიმარი.

**არბიტრი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)

**სელტიკი-მილანი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ლუსტიგი, დიიკი, ამბროუზი, ისაგირე - მალგრიუ, ლედლი - ფორესტი, კომონსი, სამარასი - სტოუკსი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, საპატა, ბონერა, ემანუელსონი - მონტოლივო, დე იონგი, პოლი - კაკა - მატრი, ბალოტელი.

**არბიტრი:** ჯიუნეთ ჩაქირი (თურქეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 3. აიაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 4. სელტიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-5 | 3 |

**11 დეკემბერი**

ბარსელონა-სელტიკი
მილანი-აიაქსი




ასე აშინებენ გლაზგოელები სტუმრებს

### E ჯგუფი: სამი პ

**იენს კელერის** „შალკეს" ძალიან ძალიან გაუმართლა იმაში, რომ „ბაზელმა" და „სტიაუამ" ერთმანეთში ორივე მატჩი ფრედ დაასრულეს. ახლა კი შეიძლება ყველაფერი ამ ტურში დამთავრდეს თუ გელზენკირხენელები რუმინეთში მოიგებენ და პარალელურად, „ჩელსი" არაფერს აჩუქებს „ბაზელს". ერთი რამ ნათელია - „შალკემ" ბუქარესტში არ უნდა წააგოს, თორემ ერთიორად დაიმატებს სანერვიულოს.

„შალკე" ნაგებასთან ძალიან ახლოს ბუნდესლიგის წინა ტურში იყო, როდესაც „აინტრახტმა" 0:2-დან 3:2 გაუხადა, მაგრამ კელერის ბიჭებმა გათანაბრება შეძლეს. რაც შეეხება „სტიაუას", **ლაურენციუ რეგეკამპფმა** „პანდურიისთან" ჩემპიონატის შეხვედრაში ბევრი ფეხბურთელი დაასვენა და უძლიერესი შემადგენლობით გავა მინდორზე - რუმინელები საომრად ემზადებიან, სასწორზე ხომ ევროპალიგის საგზურიც დევს. საინტერესოა, რომ „სტიაუას" ზედიზედ სამი 1:1 აქვს ნათამაშები.

გერმანული კლუბის ლაზარეთი კვლავაც გადატვირთულია. ამჟამად იქ **ჩინედუ ობასი, ტიმო ჰილდებრანდი, მარკო ჰიოგერი** და **კლაას-იან ჰუნტელაარი** არიან. **კირიაკოს პაპადოპულოსის** თამაში კი ისევ ეჭვქვეშაა.

„ჩელსის" ჯერ გასვლა და მით უმეტეს, პირველი ადგილი გარანტირებული არ აქვს. ამასაც რომ შევეშვათ, ლონდონელებისთვის პრინციპის, პრესტიჟის და პატივმოყვარეობის (ანუ სამი პ) საკითხია, შინ „ბაზელთან" წაგების მერე, შვეიცარიელებზე შურისძიება. ამ სამი პ-ს ფაქტორის გათვალისწინებით, **ჟოზე მოურინიო მურატ იაკინის** საწყმსოს კარგს არაფერს უნდა უპირებდეს. თუმცა „ბაზელი" ფეთქებადი გუნდია და ტალღა თუ დაიჭირა...

ექიმებს თუ ვენდობით, მასპინძლებს **მარსელო დიასი** და **ბეჰრანგ საფარი** არ ეყოლებათ. სტუმრები **ფერნანდო ტორესსა** და **მარკო ვან გინკელს** მოისაკლისებენ. სათუოა **დავიდ ლუისის** თამაში.

### F ჯგუფი: ALL EYES ON THEM

**თუფაქ შაკურის** ერთ-ერთი ალბომისა და ჰიტის სათაურს სულ ოდნავ თუ გადავაკეთებთ, ზუსტად იმ სიტუაციას მივიღებთ, რომელიც ამ ჯგუფის გარშემოა შექმნილი - all eyes on Them. დიახ, ყველას თვალი „სიკვდილის ჯგუფისკენაა" მიმართული. ჯგუფისკენ, რომელშიც ერთი გუნდი უკვე „მოკვდა", სხვები კი სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებენ და ერთ-ერთი მათგანი, იმედივით ბოლოს დაეცემა ველზე.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ყველანი ველოდებით „სიგნალ იდუნა პარკზე" გასამართ სუპერმატჩს. შეხვედრა, რომელიც „დორტმუნდმა" აუცილებლად უნდა მოიგოს, თორემ ჩარჩენის სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება. მით უმეტეს, რომ გამარჯვებაც არ არის არაფრის გარანტი. თამაშს, რომელიც „ნაპოლიმ" არაფრით არ უნდა წააგოს, თორემ ვითარება უალრესად გაურთულდება.

თუ რა დღეში ჩავარდა განერვიულებული **იურგენ კლოპი** „სან პაოლოზე" გამართული მატჩისას, ალბათ, გახსოვთ და მეოთხე მსაჯზე ემოციური თავდასხმისთვის დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. ახლა მას **რაფაელ ბენიტესის** გუნდისთვის სრული რევანში აქვს ასაღები.

ფორტუნამ ბორუსიელებს მწარედ დასცინა - 4 ძირითადის მცველიდან, ჯანზე არც ერთი არ არის. **ლუკაშ პიშჩეკი** ახლახან დადგა ფეხზე და სასტარტოში მისი დაყენება კლოპს გაუჭირდება. **მატს ჰუმელსი** და **ნევენ სუბოტიჩი** გუნდს კიდევ საკმაო ხანი ვერ დაეხმარებიან. კლოპმა სასწრაფო წესით დაიმატა **მანუელ ფრიდრიხი**, მაგრამ მას ლიგაზე ვერ დაიხმარს.

იმას, რომ ნეაპოლიტანელები გასვლაზე სუსტად თამაშობენ, მასპინძელთა დაცვის ეს სერიოზული პრობლემები აბალანსებს-თქო, ვიტყოდით, მაგრამ... იტალიელებს თავისი ეყოფათ. დაცვაში მათ **ჯანდომენიკო მესტო** და **ხუან სუნიგა** დააკლდებათ. გუნდის კაპიტანი და ლიდერი **მარეკ ჰამშიკი** კი „პარმასთან" მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, სლოვაკი საწყის წუთებზევე შესაცვლელი შეიქნა.

აგერ სიტყვამ თავად მოიტანა, წინა ტურში ჩემპიონატის მატჩი ორივემ წააგო. „დორტმუნდი" „ბაიერნთან" შერცხვა, თან ჯინაზე **მარიო გიოტცესგანაც** გაუშვა. „ნაპოლიმ" კი შინ დათმო მატჩი და სამეულში პოზიციები საგრძნობლად შეისუსტა. მოკლედ, ორივემ თავი შეინახა და ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს ორივე დააკვდება. რატომღაც გვგონია, „ვესტფალენშტადიონზე" გოლების წვიმა უნდა მოვიდეს, მაგრამ საით უფრო ინვიმებს, არ ვიცით.

ისე, კლოპი „არსენალთან" მატჩის წინ „ჰევი მეტალს" გვპირდებოდა და ეგებ ახლა მაინც აგვისრულოს დანაპირები. ნეაპოლეტანელები მეტოქეს კლასიკას დაუპირისპირებენ. მართალია „სამი ტენორიდან" ორი ახლა უკვე პსუშია, ხოლო მესამე როგორც გითხარით, ტრავმირებული გახლავთ, მაგრამ ტენორები სამხრეთელებს არასდროს აკლიათ, ბოლოს და ბოლოს დიდი **ენრიკო კარუზო** იყო ნეაპოლიდან.

იქით, ლონდონში ისედაც იცის წვიმა და გამორიცხული არ არის, „ემირატებიდან" „მარსელი" ზეცამაც ცრემლებით გააცილოს. წარმოუდგენლად ჩანს ის, რომ „არსენალმა" მეტოქეს ეს შეხვედრა ვერ მოუგოს. თუ ვერ მოუგო და, არც ყოფილა გასვლის ღირსი.

ისე, მარსელელები ცოტა მოფერიანდნენ და ეს ლიგა 1-ის სატურნირო ვითარებაზეც აისახა. მედიკოსების პროგნოზით, **ელი ბოპს დიმიტრი პაიე, როდ ფანი** და **ანდრე აიუ** არ ეყოლება. „მეთოფეები" კი დანაკლისს მიჩვეულნი არიან და ისედაც გამოსდით კარგად ბურთაობა. **ალექს-ოქსლეიდ ჩემბერლენი, ლუკას პოდოლსკი, იაია სანოგო** და **ვასირიკი აბუ დიაბი** არც ამჯერად იქნებიან **არსენ ვენგერის** განკარგულებაში. როგორც იცით, დაბრუნდა **თეო უოლკოტი**, ხოლო **მიკელ არტეტამ** „საუთჰემპტონთან" მოგებულ შეხვედრაში მიკროტრავმა მიიღო და შეიძლება ვერ ითამაშოს.

### G ჯგუფი: დრაკონები სხვის იმედად

**პაულო ფონსეკას** „პორტუმ" ჩემპიონატში „ნასიონალთან" ვერ მოიგო და მდევრები მიიახლოვა. ერთი მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დრაკონებმა" ძალები შემოინახეს. მეორე მხრივ კი, ბოლო დროს ისინი აშკარად მძიმედ გამოიყურებიან. თანაც, მიუხედავად სიმპათიებისა, რომელიც „აუსტრიას" მიმართ გაგვიჩნდა მონდომებით თამაშის გამო, ვენელებისთვის ძალების დაზოგვა „პორტუს" წესით არ უნდა სჭირდებოდეს. ერთი სიტყვით, ფონსეკას გუნდში რაღაც ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს. ასეა თუ ისე, „დრაგაოზე" მასპინძლებმა აუცილებლად უნდა იმარჯვონ, როგორც არ უნდა იყოს იმ დროისთვის დამთავრებული „ზენიტისა" და „ატლეტიკოს" მატჩი. ცხადია, პორტუგალიელები ესპანელებს უქომაგებენ, რათა ცოტა მეტი შანსი გაუჩნდეთ.

თავის მხრივ, „ზენიტი" „აუსტრიასთან" და „პორტუსთან" ფრეების მერე შეეცდება, რომ საკუთარ კედლებში ეს შეხვედრა მაინც მოიგოს და თუ ეს ასე მოხდა, **ლუჩანო სპალეტის** გუნდი ცალი ფეხით გასული იქნება. „ატლეტიკომ" იმ ყინვაში, წესითა და რიგით, თავი არ უნდა მოიკლას და **დიეგო სიმეონე** შემადგენლობას აუცილებლად გადაახალისებს. თუმცა „ჩოლო" რამის ადვილად დამთმობი ადამიანიც ნაკლებად არის.

### H ჯგუფი: რა ესიზმრა დე ბურს?

**ფრანკ დე ბურმა** წუხელ ალბათ ასეთი სიზმარი ნახა: „აიაქსი" უგებს „ბარსელონას", რომელიც ისედაც გასულია და ბოლო ტურში შინ „სელტიკთან" პირველი ადგილის განაღდება არ უნდა გაუჭირდეს, ხოლო „მილანი" ვერ იგებს გლაზგოში და ამსტერდამელები მეორეზე გადადიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ტურში „სან სიროზე" მათ აუცილებლად მოგება არ დასჭირდებათ და ფრეც ეყოფათ. სიზმარი კარგია, მაგრამ რეალობა ასეთია - თუ „მილანი" გლაზგოში იგებს, რაც ძალიან რთული იქნება „როსონერის" სათამაშო ფორმის გათვალისწინებით, „აიაქსს" „ბარსასთან" ქულა მაინც სჭირდება, რომ ბოლო ტურისთვის თეორიული შანსი დაიტოვოს. ხოლო თუ იტალიელები შოტლანდიაში ვერ იგებენ, ბოლო ტურში გასვლის შანსი სამივეს რჩება. მოკლედ, სიზმარშიც ვერ გაიგებ, რა მოხდება ამ ჯგუფში.

სანამ დე ბური, თვალებში შესციცინებს კატალონიელებს, „სელტიკი" და „მილანი" ერთმანეთს ტრავმირებული ფეხბურთელების რაოდენობაში ეჯიბრებიან. ამაში „მილანი" ცოტათი წინაა. „როსონერის" უკვე 7 მატჩია, არ მოუგია და საშინაო ჩემპიონატში მესამე ადგილს ანუ ლიგის საგზურს 15 (!) ქულით ჩამორჩება.

სერია A-ს წინა ტურში „მილანმა" შინ „ჯენოას" ვერ მოუგო, ხოლო **მარიო ბალოტელიმ** უკვე მეორე პენალტი გააცუდა. გუნდში ყოველმხრივ პრობლემები და დაძაბული ფონია. ერთადერთი, რაც მილანელებს რჩებათ, ამ ჯგუფიდან გასვლაა და **მასიმილიანო ალეგრის** ეს საქმეც თუ ჩაუფლავდა, მაშინ უკვე ნამდვილად დაითხოვენ პოსტიდან.

ჯგუფში ყველაზე მძიმედ „სელტიკის" მდგომარეობაა, ამჟამინდელი ბოლო ადგილისა და კალენდრის გათვალისწინებით. თუმცა გავიხსენოთ, რომ **ნილ ლენონის** შეგირდებს კატასტროფულად არ გაუმართლათ „სან სიროზე" და შინ „ბარსელონასთან". ასე რომ, „მილანს" ძალიან მძიმე ბრძოლა ელის.

„ბარსას" კი „ამსტერდამ არენაზე" **ლიონელ მესი** და **ალექსის სანჩესი** არ ეყოლება, სხვებზე რომ აღარა ვთქვათ. თუმცა **ხერარდო მარტინო** რამეს მოიფიქრებს. დე ბურის განკარგულებაში სრული შემადგენლობაა.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XXXVI ტური

# ვასკო და გამა ბოლომდე იბრძვის

**ვასკო-კრუზეირო 2:1**

**გოლები:** 1:0 თალესი (3), 2:0 ედმილსონი (33), 2:1 პაულაო (65)

**კრისიუმა-ვიტორია 1:1**

**გოლები:** 1:0 ველინგტონ პაულისტა (13-პენ), 1:1 დინეი (53)

**ატლ. მინეირო-გოიასი 4:1**

**გოლები:** 1:0 ფერნანდინიო (23), 2:0 დიეგო ტარდელი (34), 2:1 ამარალი (44), 3:1 დიეგო ტარდელი (66), 4:1 დიეგო ტარდელი (72)

**ფლამენგო-კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 პაულინიო (19)

**პონტე პრეტა-გრემიო 1:1**

**გოლები:** 1:0 ადაილტონი (16), 1:1 ე. ვარგასი (54)

**ატლ. პარანაენსე-ნაუტიკო 6:1**

**გოლები:** 1:0 ზეზინიო (26), 2:0 პაულო ბაიერი (27), 2:1 ტიაგო რეალი (47), 3:1 ფელიპე (53), 4:1 ედერსონი (60-პენ), 5:1 ფელიპე (63), 6:1 კლებერსონი (72)

**სანტოსი-ფლუმინენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 ტიაგო რიბეირო (65)

**სან პაულო-ბოტაფოგო 1:1**

**გოლები:** 1:0 ალოიზიო (4), 1:1 ელიასი (28)

**ბაია-პორტუგეზა 1:0**

**გოლი:** 1:0 ფერნანდაო (45)

**ინტერნასიონ.-კორიტიბა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 36 | 23 | 6 | 7 | 75-34 | 75 |
| 2. ატლ. პარანაენ. | 36 | 17 | 10 | 9 | 59-46 | 61 |
| 3. გრემიო | 36 | 17 | 10 | 9 | 41-35 | 61 |
| 4. გოიასი | 36 | 16 | 11 | 9 | 48-40 | 59 |
| 5. ბოტაფოგო | 36 | 16 | 10 | 10 | 51-39 | 58 |
| 6. ატლ. მინეირო | 36 | 15 | 10 | 11 | 45-34 | 55 |
| 7. ვიტორია | 36 | 15 | 10 | 11 | 53-49 | 55 |
| 8. სანტოსი | 36 | 13 | 12 | 11 | 46-37 | 51 |
| 9. სან პაულო | 36 | 14 | 8 | 14 | 39-3 | 50 |
| 10. კორინთიანსი | 36 | 11 | 16 | 9 | 27-21 | 49 |
| 11. ფლამენგო | 36 | 12 | 12 | 12 | 40-41 | 48 |
| 12. ინტერნასიონ. | 36 | 11 | 13 | 12 | 51-52 | 46 |
| 13. ბაია | 36 | 11 | 12 | 13 | 34-42 | 45 |
| 14. პორტუგეზა | 36 | 11 | 11 | 14 | 48-46 | 44 |
| 15. კრისიუმა | 36 | 12 | 7 | 17 | 48-60 | 43 |
| 16. ფლუმინენსე | 36 | 11 | 9 | 16 | 39-44 | 42 |
| 17. კორიტიბა | 36 | 10 | 12 | 14 | 39-44 | 42 |
| 18. ვასკო | 36 | 10 | 11 | 15 | 47-56 | 41 |
| 19. პონტე პრეტა | 36 | 9 | 9 | 18 | 37-53 | 36 |
| 20. ნაუტიკო | 36 | 4 | 5 | 27 | 21-77 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 15 - ფერნანდაო (ბაია); 14 - დინეი (ვიტორია), ჟილბერტო (პორტუგეზა), ვილიამი (პონტე პრეტა), ერნანი (ფლამენგო); 13 - ვალტერი (გოიასი)

**„ბრაზილეირაოს" დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და გარდა იმისა, რომ ჩემპიონის და ერთი გავარდნილი („ნაუტიკო") გუნდის ვინაობა ვიცით, სხვა ყველა საკითხი ჯერ კიდევ ღიაა...**

...თუმცა, იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ დიდი ალბათობით, „ნაუტიკოს" სერია B-ში „პონტე პრეტა" ჩაჰყვება, რომელიც პარალელურად კოპა სუდამერიკანას 1/2 ფინალშია გასული და თუ „სან პაულოსთან" საპასუხო შეხვედრაში ორბურთიანი უპირატესობას არ გაანიავებს, მომავალ წელს ლიბერტადორესის თასზე ითამაშებს. სწორედ ამ ტურნირის საგზურისთვის იბრძვის „გრემიო", რომელიც „პონტე პრეტას" შეხვდა და მხოლოდ ქულას გამორჩა. ხავსს მოჭიდებული მასპინძლები მე-16 წუთზე **ადაილტონმა** დააწინაურა, მაგრამ მეორე ტაიმში **ედუარდო ვარგასმა** წონასწორობა აღადგინა და საკუთარ გუნდს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

„პონტე პრეტა" ლიგაში დარჩენის თეორიულ შანსს ინარჩუნებს, თორემ პრაქტიკულად მათი შანსი ნულამდეა. „გრემიო" კი მესამე ადგილზეა და მეხუთეზე მყოფ „ბოტაფოგოს" კვლავ სამი ქულით უსწრებს, რადგან **კლარენს ზეედორფმა** და კომპანიამ ამ ტურში ასევე ერთი ქულა აიღო. „ფოგო" სან პაულოში თამაშობდა, თუმცა მას გაცილებით სახელოვანი მეტოქე ჰყავდა, რომელიც **მურისი რამალიოს** დაბრუნების შემდეგ შესანიშნავ ფორმაში შევიდა. შეხვედრის ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა - **ალოიზიომ** თავისი მე-11, ხოლო **ელიასმა** კი სეზონში მე-9 გოლი გაიტანა.

## ატლეტიკოებმა გაილაღეს

ორივე „ატლეტიკომ" დიდი ანგარიშით იმარჯვა და ჯამში 10:2 მოიგო. უმოტივაციო „ატლეტიკო მინეირომ", რომელიც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატისთვის ემზადება, ოთხეულისთვის მებრძოლ „გოიასს" უმასპინძლა და **დიეგო ტარდელის** შესანიშნავი თამაშის წყალობით მეტოქე შინ დამწუხრებული გაუშვა. ბრაზილიის 2009 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა (**ადრიანოსთან** ერთად, 19 გოლით) ჰეთთრიქი შეასრულა, კიდევ ერთი ბურთი საკუთარ ანგარიშზე კი **ფერნანდინიომ** ჩაიწერა.

„ატლეტიკო პარანაენსემ" კი „ნაუტიკო" გაანადგურა და ოთხეულში შესვლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. თითო გოლი გაიტანეს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ედერსონმა** და 39 წლის **პაულო ბაიერმა**. აღსანიშნავია, რომ 2 003 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ რაც ბრაზილიის ჩემპიონატი 2-წრიან ტურნირად გარდაიქმნა, ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ამ პერიოდში 100-ზე მეტი გოლის გატანა შეძლო სწორედ ბაიერია, ვისთვის „ნაუტიკოს" კარში გატანილი ბურთი რიგით 101-ე იყო და ამ შედეგით ის ორწრიანი ტურნირების საუკეთესო ბომბარდირია, სულ კი ქვეყნის ჩემპიონატში მის ანგარიშზე 104 გოლია და ვეტერანი ფეხბურთელი „ბრაზილეირაოს" ყველა დროის (1959-2013) საუკეთესო ბომბარდირებში მე-9 ადგილზე იმყოფება.



39 წლის პაულო ბაიერი ორწრიანი ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირია

## ვასკომ მოიგო, ფლუ დამარცხდა

გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს „ვასკო და გამა", რომელმაც ჩემპიონს უმასპინძლა და მინიმალური სხვაობით დაამარცხა. „კრუზეიროს" თავკაცმა **მარსელო ოლივეირამ**, ვინც „მელიებამდე" სწორედ „ვასკოში" მუშაობდა, მოედანზე რამდენიმე ახალგაზრდა ან სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელი გაიყვანა. ერთ-ერთმა ასეთმა მოთამაშემ, 27 წლის ცენტრალურმა მცველმა **პაულაომ**, რომელიც ჩემპიონატში სულ მეორე შეხვედრას ატარებდა, გოლიც გაიტანა, თუმცა ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყო - „ვასკოდან" თავი 18 წლის **თალესმა** და 31 წლის **ედმილსონმა** გამოიჩინეს.

ამ გამარჯვებით, ბრაზილიის 4-გზის ჩემპიონმა 41 ქულა მოაგროვა და ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დაიტოვა. მომდევნო ტურში „ვასკო" „ნაუტიკოს" მასპინძლობს და უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდს, რომელსაც ბოლო 11 ტურში 11 მარცხი აქვს განცდილი, განსაკუთრებული პრობლემის გარეშე დაამარცხებს.

მოგეხსენებათ, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ბრაზილიის ჩემპიონატში უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელსაც მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული. სწორედ ამ კომპონენტის გამო არ არის გასავარდნ ზონაში „ფლუმინენსე", რომელმაც ზედიზედ მოგებული ორი მატჩის შემდეგ, მორიგი მარცხი განიცადა და ამჯერად ფარ-ხმალი უმოტივაციო „სანტოსთან" დაყარა. შეხვედრის ერთადერთი გოლი „კრუზეიროს" და „კალიარის" ყოფილმა ფეხბურთელმა **ტიაგო რიბეირომ**, მატჩის 65-ე წუთზე გაიტანა.

რიო-სან პაულოს დაპირისპირებაში („სან პაულო"-"ბოტაფოგო" და „სანტოსი"-"ფლუმინენსე") კი ანგარიში „ფლამენგომ" გაათანაბრა, რომელმაც **პაულინიოს** ერთადერთი გოლით „კორინთიანსს" მოუგო და ლიგაში ადგილი ოფიციალურად შეინარჩუნა.

### ესპანეთი

**ლა ლიგა. XIV ტური**

**მალაგა-ბილბაო 1:2**

**გოლები:** 1:0 ხუანმი (38), 1:1 სან ხოსე (69), 1:2 მუნიაინი (85)

**მალაგა (4-3-2-1):** ვ. კაბალიერო - ანხელერი, სერხიო სანჩესი, ველიგტონი, ანტუნეში - ტისონე, სერხი დარდერი, სამუ (86. ი. კამაჩო) - პორტილიო, ელიზეუ (75. პ. მორალესი) - ხუანმი (75. პავლოვსკი)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო (57. დე მარკოსი) - იბაი გომესი (46. სუსაეტა), ანდერ ერერა, მუნიაინი - გილიერმო (62. ტოკერო)

**გაფრთხილება:** სამუ, ველიგტონი, ანხელერი, ელიზეუ, პორტილიო - სან ხოსე

**გაძევება:** პორტილიო (83. მალაგა)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 20-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7-10 (1-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 14 | 13 | 1 | 0 | 42-8 | 40 |
| 2. ატლეტიკო | 14 | 12 | 1 | 1 | 38-9 | 37 |
| 3. რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-17 | 34 |
| 4. ვილიარეალი | 14 | 8 | 3 | 3 | 24-13 | 27 |
| 5. ბილბაო | 14 | 8 | 2 | 4 | 22-19 | 26 |
| 6. სოსიედადი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-20 | 20 |
| 7. ხეტაფე | 14 | 6 | 2 | 6 | 17-21 | 20 |
| 8. სევილია | 14 | 5 | 4 | 5 | 27-26 | 19 |
| 9. ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 18 |
| 10. ელჩე | 14 | 4 | 5 | 5 | 15-18 | 17 |
| 11. ვალენსია | 14 | 5 | 2 | 7 | 18-23 | 17 |
| 12. გრანადა | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 13. ლევანტე | 14 | 4 | 5 | 5 | 13-20 | 17 |
| 14. მალაგა | 14 | 3 | 4 | 7 | 16-21 | 13 |
| 15. ოსასუნა | 14 | 4 | 1 | 9 | 11-22 | 13 |
| 16. სელტა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-22 | 12 |
| 17. ვალიადოლიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 16-21 | 12 |
| 18. ალმერია | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 19. ვალეკანო | 14 | 4 | 0 | 10 | 13-34 | 12 |
| 20. ბეტისი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-28 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 8 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

ამბები



კრიშტიანო რონალდო

## რონალდო გალასთან არ იქნება

გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ **კრიშტიანო რონალდომ** „ალმერიასთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა, თუმცა იქვე თავად პორტუგალიელის სიტყვები მოვიყვანეთ, რომლის მიხედვითაც, დაზიანება სერიოზული არ იყო და შეცვლას მხოლოდ პრევენციული ხასიათი ჰქონდა.

მადრიდში დაბრუნების შემდეგ, რონალდოს გამოკვლევა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ 28 წლის ფეხბურთელმა მარცხენა ფეხის უკანა კუნთის მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც „გალათასარაისთან" შეხვედრას ნამდვილად დააკლდება და ასევე საეჭვოა მისი ასპარეზობა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, რომელშიც „რეალი" „ვალიადოლიდს" უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში რონალდომ უკვე 8 გოლი გაიტანა, რითაც ჯგუფური ეტაპების რეკორდი გაიმეორა, ლა ლიგაში კი მის ანგარიშზე 17 ბურთია.

## ადამამ შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშოს

შაბათს, „გრანადასთან" გამართულ შეხვედრაში, 17 წლის **ადამა ტრაორემ** „ბარსელონას" შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა და კლუბი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის მერვე ადგილზე აღმოჩნდა. კატალონიაში დაბადებულმა ფეხბურთელმა, რომელიც ესპანეთის 17 და 19-წლამდელთა ნაკრების წევრია, დასამახსოვრებელი დებიუტი მოიწყო - გუნდის მეოთხე გოლში მონაწილეობა მიიღო და გარდა ამისა, თავადაც კინაღამ გაიტანა.


ადამა ტრაორე

დღეს ადამა კვლავ ძირითად გუნდთან ერთად იქნება, მასთან ერთად ამსტერდამში გაემგზავრება და თუ **ხერარდო მარტინომ** საჭიროდ ჩათვალა, შესაძლოა, თინეიჯერმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშოს. ტრაორეს ასეთი წინსვლა მით უფრო საოცარია იმის ფონზე, რომ მას „ბარსელონა B-ს" შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი მატჩი აქვს ჩატარებული.

მალელი ემიგრანტების ოჯახში დაბადებულმა ადამამ „ტატა" მარტინოს ყურადღება 12 ოქტომბერს, „დეპორტივოსთან" (0:1), სეგუნდა დივიზიონის შეხვედრაში მიიქცია. იმ მატჩს ესწრებოდა „ტოტენჰემის" თავკაცი **ანდრე ვილაშ-ბოაშიც**, რომელმაც ფეხბურთელის შეძენის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ლონდონში წასვლა თავად ტრაორემ არ ისურვა.

*„ვამაყობ იმით, რომ ამდენი წლის განმავლობაში „ლა მასიას" აკადემიაში გაწეული შრომა დამიფასდა. ნდობისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მთავარ მწვრთნელს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემს განვითარებაში მცირე წვლილი მაინც შეიტანა,"* - განაცხადა ბედნიერმა ადამამ.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა" დღეს ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურში „აიაქსს" ეთამაშება და ქულის აღების შემთხვევაშიც კი ჯგუფში პირველ ადგილს დაიბევებს.

აშშ. MLS. კონფერენციების ფინალები. საპასუხო მატჩები

# ორგზის ჩემპიონის მოლოდინში

**კანზას სიტი-ჰიუსტონი 2:1 (0:0)**

**გოლები:** 0:1 ბ. გარსია (3), 1:1 საპონგი (14), 2:1 დვაიერი (63)

**პორტლენდი-სოლტ ლეიკი 0:1 (2:4)**

**გოლი:** 0:1 ფინდლი (29)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. გუშინ და გუშინწინ ფინალური მატჩის მონაწილეები გაირკვა: 2 000 წლის ჩემპიონი „სპორტინგ კანზას სიტი", 2009 წლის ჩემპიონ „რეალ სოლტ ლეიკს" შეხვდება.

აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე გასულმა „კანზას სიტიმ", ბოლო ორი სეზონის ფინალისტს, „ჰიუსტონ დინამოს" შინ 2:1 მოუგო და 9-წლიანი პაუზის შემდეგ ფინალში თამაშის უფლება მიიღო. მისი მეტოქე კი „პორტლენდის" და „რეალ სოლტ ლეიკის" შეხვედრაში ირკვეოდა. მასპინძლებს ორბურთიანი ჩამორჩენა უნდა აღმოეფხვრათ, მაგრამ ამის ნაცვლად, „ტიმბერსმა" მეტოქესთან მეორედაც წააგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი აშშ-ის ნაკრების ყოფილმა წევრმა **რობი ფინდლიმ** გაიტანა.

ფინალური მატჩი 7 დეკემბერს, „სპორტინგ კანზას სიტის" საშინაო არენაზე გაიმართება, ვინაიდან, რეგულარულ ჩემპიონატში, მას მეტოქეზე უკეთესი შედეგი ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**


„კანზას სიტის" ფეხბურთელები აღმოსავლეთ კონფერენციის თასით - წინ ჩემპიონატის ფინალია

ბერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტურის შეჯამება

# ბაიერნში ერთი ჩამშვებია!

## გვარდიოლა და რუმენიგე ენის მიმტანს გუნდიდან გაგდებით ემუქრებიან

**დორტმუნდში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების (3:0) შემდეგ, წესით, „ბაიერნში“ სრული იდილია უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის. შაბათის ტოპ-მატჩის შემდეგ საფეხბურთო გერმანიაში ატყდა დისკუსია იმის შესახებ, რომ „ბაიერნში“ არის ფეხბურთელი ან ფეხბურთელთა ჯგუფი, რომლებიც გასაიდუმლოებული ინფორმაციების გასაჯაროებაში არიან ექვმიტანილნი.**


ვინ არის ჩამშვები? საკითხავი აი, ეს არის

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, „ბაიერნს“ ჩამშვები ჰყავს! საქმე ისაა, რომ რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** თავის ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და უნდა, რომ გუნდის სასტარტო შემადგენლობა გარე სამყაროსთვის თამაშის დაწყებამდე საიდუმლო იყოს. თუმცა ბოლო დროს გუნდიდან ინფორმაცია ჟონავს. გვარდიოლა „ბაიერნს“ მუდმივად ერთი და იგივე შემადგენლობითა და განლაგებით არ ათამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასტარტო თერთმეტეულის და განლაგების გამოცნობა პრესისთვის ადვილი არ არის. შესაბამისად, ეჭვი იმის შესახებ, რომ ჟურნალისტებს ასეთ ცნობებს ფეხბურთელი ან ფეხბურთელთა ჯგუფი აწვდის, საფუძვლიანია. ინფორმატორი ან ინფორმატორები გაზეთ „ბილდისთვის“ მუშაობენ. ამ თემას გვარდიოლასთან ერთად, „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** გამოეხმაურა. ცხადია, კონკრეტული გვარი არ დაუსახელებიათ, მაგრამ კალე და პეპი „ენატანიას“ სერიოზულად ემუქრებიან.

რუმენიგემ სატელევიზიო გადაცემაში დაადასტურა, რომ ხოსეპ გვარდიოლა ჩამშვებობაში ეჭვმიტანილ ფეხბურთელს გუნდიდან გაგდებითაც კი დაემუქრა. *„იმის დასადგენად, თუ ვინ არის მოღალატე, საქმეში FBI-ს ჩართვა სულაც არაა საჭირო. იმ ადამიანს, რომელიც ჟურნალისტებს აწვდის ცნობებს ჩვენი სასტარტო შემადგენლობისა და ტაქტიკის შესახებ, სასწრაფოდ ვურჩევ, შეწყვიტოს ეს უმსგავსო ქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. მას არა მარტო პეპ გვარდიოლასთან, არამედ მთელ კლუბთან ექნება პრობლემა!“* - განაცხადა რუმენიგემ.

ცხადია, კალემ გვარი არ დააკონკრეტა: *„დაკონკრეტებას არ ვაპირებ და ამ შემთხვევაში აზრიც არ აქვს. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ასეთი ამბები ახალი არ არის, 30-40 წელია, ფეხბურთში ინფორმატორის ინსტიტუტი არსებობს. ფეხბურთელი, რომელიც ჟურნალისტს საიდუმლო ინფორმაციას აწვდის, სანაცვლოდ ჟურნალისტის და გაზეთის ან ჟურნალის მხრიდან კეთილგანწყობას ილებს,“* - განმარტა რუმენიგემ.

### ვის დაიტოვებს გვარდიოლა?

აქვე გეტყვით, რომ რუმენიგემ გვარდიოლა საუკეთესო ეპითეტებით შეამკო და აღნიშნა, პეპი სრულყოფილებისკენ ისწრაფვის და ძალიან მიხარია, რომ ამას „ბაიერნში“ აკეთებსო. ჯერჯერობით უცნობია, რომელ მოთამაშეებს დაიტოვებს პეპი მომდევნო სეზონში. ფაქტია, რომ რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტები ზაფხულში ან გაისად უმთავრდებათ. ამ სეზონის ბოლოს **რაფინიას, დანიელ ვან ბუიტენისა** და **კლაუდიო პისაროს** ხელშეკრულებებს გასდის ვადა, ხოლო 2015 წლის ზაფხულში კი კონტრაქტები ძირითადი შემადგენლობის წევრებს, **დავიდ ალაბას, ჟერომ ბოატენგს, ტონი კროოსს** და **არიენ რობენს** ეწურებათ. თუმცა რუმენიგე ამ საკითხზე არ ნერვიულობს: *„მჯერა, რომ „ბაიერნიდან“ წასვლა არც ერთს არ უნდა და ვისაც დარჩენას შევთავაზებთ, უდიდესი სიამოვნებით დაგვეთანხმება. ასე რომ, სანერვიულო არაფერია.“*

### გიოტცე: სტვენამ გული მატკინა

„დორტმუნდთან“ მატჩი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი იყო **მარიო გიოტცესთვის**, თუმცა ფეხბურთელმა, რომელიც ზაფხულში რეკორდმაისტერში სწორედ „დორტმუნდიდან“ გადავიდა, მისთვის მართლაც ურთულეს შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა და დორტმუნდის პუბლიკის სტვენის ფონზე გაიტანა ეფექტური გოლი, რომელმაც „დორტმუნდის“ რბევას სათავე დაუდო.

*„ვიცოდი, რომ ეს ჩემთვის ძალიან ემოციური მატჩი იქნებოდა. დორტმუნდელი ფანების სტვენა, რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა - რომელ ფეხბურთელს ესიამოვნება, როცა მთელი სტადიონი დაუსტვენს? თუმცა გულის სიღრმეში მათი კარგად მესმის,“* - უთხრა გიოტცემ „ბაიერნის“ ტელევიზიას.

### კლოპის პირველი სერიოზული კრიზისი

**იურგენ კლოპმა** „დორტმუნდი“ 2008 წელს ჩაიბარა და მას მერე „ბორუსია“ მუდმივად პროგრესირებდა. რეგრესზე საუბარი ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, უადგილოა, მაგრამ ფაქტია, რომ კლოპს თავის დორტმუნდულ ერაში ასეთი კრიზისი ჯერ არ ჰქონია. 0:3 „ბაიერნთან“, ზედიზედ მესამე წაგებული ოფიციალური მატჩი, 7-ქულიანი ჩამორჩენა „ბაიერნთან“ და ბევრი ფიქრობს, რომ „დორტმუნდი“ გერმანიის ჩემპიონობისთვის უკვე ველარ იბრძოლებს. „ბაიერნთან“ მარცხის შემდეგ თვით „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერმაც** აღიარა, ამ თამაშის შემდეგ „ვერცხლის სინზე“ ფიქრის უფლება აღარ გვაქვსო.

კრიზისი კი, შესაძლოა, გაღრმავდეს. დღეს დორტმუნდელები ჩემპიონთა ლიგაში „ნაპოლის“ მასპინძლობენ და გამარჯვება სჭირდებათ - წინააღმდეგ შემთხვევაში, წინა სეზონის სენსაციურ ფინალისტს ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე ემუქრება. მართალია, „დორტმუნდის“ დარ პრობლემებს „ბაიერნის“ გარდა, ნებისმიერი სხვა გერმანული კლუბი ინატრებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ბორუსიამ“ ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩი ბოლოს 2010 წელს წააგო.

*„მატჩის შემდეგ, გასახდელში ბიჭებს ვუთხარი, გაქვთ უფლება, რომ 5 წუთი დეპრესიაში იყოთ, მერე კი ყველაფერს თავიდან ვიწყებთ-მეთქი,“* - აცხადებს იურგენი ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

*„სამშაბათამდე ეს წაგება როგორმე უნდა დავივიწყოთ და „ნაპოლისთან“ მატჩს სრული მენტალური მზადყოფნით უნდა შევხვდეთ. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ - ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ,“* - ეს **ნური შაჰინის** სიტყვებია.

კლოპს ახლა დოქტორ **ჰაინერ ლანგენკამპის** იმედი აქვს, რომელიც ბოხუმის უნივესიტეტის ფსიქოლოგია და დორტმუნდის „ბორუსიაში“ ჰონორარული სისტემით მუშაობს. ამ დღეებში დოქტორი ლანგენკამპი „ბორუსიას“ ხშირი სტუმარი გახდა. თუმცა დორტმუნდელებს ახლა მხოლოდ ფსიქოლოგიური პრობლემები არ აქვთ. კლოპის მთავარი საფიქრალი საკადროა. მართალია, მარჯვენა მცველი **ლუკაშ პიშჩეკი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ცენტრალური მცველები, **მატს ჰუმელსი** და **ნევენ სუბოტიჩი** სერიოზულად დაშავებულები არიან. ტრავმირებულია მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერიც**.

როგორც იცით, კლოპმა უკლუბოდ მყოფი 34 წლის მცველი **მანუელ ფრიდრიხი** აიყვანა და „ბაიერნთან“ დაცვის ცენტრში **სოკრატის პაპასტატოპულოსთან** ერთად ათამაშა. ფრიდრიხმა რეკორდმაისტერთან საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს. შესაბამისად, იურგენი იძულებული გახდება, რომ „ნაპოლისთან“ დაცვაში საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** ათამაშოს...

## სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

კიკერის შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშ. შეფ. |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 11 | 2.20 |
| 2. მარკო როისი | დორტმუნდი | 13 | 2.31 |
| 3. პიერ-მიშელ ლასოგა | ჰამბურგი | 9 | 2.36 |
| 4. არიენ რობენი | ბაიერნი | 11 | 2.36 |
| 5. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 10 | 2.40 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 13 | 2.50 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 13 | 2.50 |
| 8. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 13 | 2.50 |
| 9. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 13 | 2.54 |
| 10. მაქს კრუზე | გლადბახი | 13 | 2.58 |

## გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 13 | 9 | 5 | 14 |
| 2. მაქს კრუზე | გლადბახი | 13 | 7 | 6 | 13 |
| 3. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 13 | 8 | 4 | 12 |
| 4. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 11 | 4 | 8 | 12 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 13 | 7 | 5 | 12 |
| 6. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 13 | 7 | 5 | 12 |
| 7. რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 12 | 6 | 6 | 12 |
| 8. ადრიან რამოსი | ჰერტა | 13 | 7 | 4 | 11 |
| 9. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 11 | 4 | 7 | 11 |
| 10. მაქსიმილიან ბაისტერი | ჰამბურგი | 13 | 5 | 5 | 10 |

## XIII ტურის გმირი

### ფილიპ ლამი (ბაიერნი)



„ბაიერნის“ კაპიტანმა „დორტმუნდთან“ პირველი 80 წუთი მისთვის უჩვეულო (თუ უკვე ჩვეულ), საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. მე-80 წუთიდან კი, როცა ხოსეპ გვარდიოლამ **რაფინია** გაიყვანა, 30 წლის ლამი მარჯვენა მცველის პოზიციაზე გადასწია. დორტმუნდთან ტოპ-დუელის შემდეგ საბოლოოდ ცხადია, რომ სადაც არ უნდა თამაშობდეს, ლამი ყველგან იდეალურია. ნახევარმცველი ლამი შეტევაშიც დიდ სამუშაოს ასრულებს და დაცვითი ფუნქციების დროსაც შეუდარებელია, მარჯვენა მცველის პოზიციაზე კი თავისთავად შეუდარებლად თამაშობს. ამასთან, პირველი და მესამე გოლები სწორედ მისი პასების დამსახურება იყო.

### სიმბოლური ნაკრები




მოსაზრება

## მარიო ბასლერი: ჩამშვებები ჩემს დროსაც იყვნენ


მარიო ბასლერი

დისკუსიას იმის შესახებ, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელი თუ ფეხბურთელები ჟურნალისტებს საიდუმლო ცნობებს აწვდიან, გუშინ მიუნხენური გრანდისა და გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ყველასათვის კარგად ნაცნობი **მარიო ბასლერიც** გამოეხმაურა.

*„ვინც ეს ამბავი ახლა აღმოაჩინა, ჩათვალოს, რომ ფეხბურთში არაფერი გაეგება. ასეთი რაღაცები ყოველთვის ხდებოდა - ჩემს დროსაც და უფრო ადრეც. ცხადია, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, ფეხბურთელს გასახდელის ამბები გარეთ არ უნდა გაჰქონდეს, მაგრამ ენატანია ფეხბურთელი ყოველთვის მოიძებნებოდა და მომავალშიც მოიძებნება,“* - აცხადებს ბასლერი „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძენს: *„დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის“ მწვრთნელმა და ხელმძღვანელებმა ეს ამბავი გუშინ არ აღმოაჩინეს. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ზუსტად ისეთი რეაქცია ექნებათ, როგორიც უნდა ჰქონდეთ. ფაქტია, რომ ფეხბურთელი, რომელმაც ეს ახლა გააკეთა, გვარდიოლას ნდობას ველარ დაიმსახურებს. პეპი დამსმენს დასჯის. ოღონდ ისე, რომ, სავარაუდოდ, ჩვენ ვერაფერს გავიგებთ.“*

ბასლერი იმაზეც საუბრობს, რომ დამსმენი ფეხბურთელის პოვნა ყოველთვის ძალიან ძნელია. მისი თქმით, მისი ვინაობა ან იმ გაზეთმა უნდა გაამხილოს, რომელსაც ცნობებს აწვდიდა, ანაც თავად ფეხბურთელმა უნდა აღიაროს დანაშაული, რაც ალბათ არ მოხდება.

*„თუმცა „ბაიერნის“ შეფები თავს სულაც არ თვლიან ვალდებულად, რომ დამნაშავე იპოვნონ. მთავარი სათქმელი მათ უკვე თქვეს და ალბათ ამით შემოიფარგლებიან. ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ რომელიმე მოთამაშე პრესას გაურიგდეს,“* - აცხადებს 44 წლის ბასლერი, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ 1996-დან 1999 წლამდე თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# ვენგერი, პირველად და ხმამაღლა: ჩემპიონობა!



არსენ ვენგერი ჩემპიონობაზე ფიქრობს

„საუთჰემპტონთან“ მოგების შემდეგ „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** ხმამაღლა პირველად ალაპარაკდა, რომ მისი გუნდი მზად არის ჩემპიონის ტიტულისთვის საბრძოლველად. წინ კიდევ დიდი გზაა. პრემიერლიგამ საერთო დისტანციის ლამის 1/3 განვლო და გვგონია, რომ პირველი შეფასებების გაკეთება უკვე უპრიანია. „მეთოფეები“ უახლოეს მდევარს 4 ქულით უსწრებენ, შედეგიანობის მხრივ მხოლოდ „სიტის“ ჩამორჩებიან, მასზე ნაკლები გოლი კი ლიგაში მხოლოდ „საუთჰემპტონმა“ გაუშვა. ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა ვენგერს სათადარიგოთა სკამი ხშირად თითქმის „ცარიელი“ ჰქონდა. გუნდის ლაზარეთი ნელ-ნელა ცარიელდება. სარეაბილიტაციო პერიოდს მხოლოდ **ლუკას პოდოლსკი** და **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** აგრძელებენ.

„მოგება იმის დასტურია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია, თუმცა ხარვეზები დღეს აშკარა იყო. მეტოქე თავდადებით იბრძოდა და მიზნის მიღწევა მაქსიმალურად გაგვირთულა. თავად დარწმუნდებით მათ სიძლიერეში, თუკი „წმინდანების“ შედეგებს თვალს გადაავლებთ - ფრედ ითამაშეს „იუნაიტედთან“, მოუგეს „ლივერპულს“ და აქამდე მხოლოდ ხუთი ბურთი ჰქონდათ გაშვებული. „საუთჰემპტონი“ უაღრესად ორგანიზებული გუნდია, მაგრამ ჩვენ ყველაფერზე საკადრისი პასუხი აღმოგვაჩნდა. ვგრძნობდი, რომ ფეხბურთელები ერთმანეთის დასახმარებლად ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყვნენ. ეს ის თვისებაა, რომელიც ძალიან გვჭირდებოდა. წინ კიდევ დიდი სირთულეები გვექნება გადასალახი. ამისთვის საჭირო ამბიციებიც გვაქვს, სათანადო კონცენტრაციაც და გამარჯვების სურვილიც.

ჟირუმ დღეს საუკეთესო თამაში აჩვენა. მისი სტილი ყველასგან განსხვავდება, რადგან ის ფიზიკურ ძალას გვმატებს. თანაგუნდელებთან მისი შეთამაშების ხარისხი აშკარად უკეთესი ხდება. თავდამსხმელი რამდენადაც შორს არ უნდა იდგეს ეგოიზმისგან, გოლი ნებისმიერი მათგანისთვის მნიშვნელოვანია. სეზონის დაწყებამდე ჟირუ ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ ასე შედეგიანად ითამაშებდა. ყოველ გოლთან ერთად კი მისი თავდაჯერება სულ უფრო მატულობს“.

ვარსკვლავი

# რისკი და ძალის განცდა



ფრენკ ლამპარდმა სეზონში პირველი დუბლი შეასრულა

„ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** „ვესტ ჰემთან“ გულშემატკივარს კარგად დავიწყებული „სიახლე“ შესთავაზა: პორტუგალიელმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თითქმის ორთვიანი პაუზის შემდეგ დააბრუნა **ჯონ ობი მიკელი**, რამაც **ფრენკ ლამპარდს** შეტევაში თავისუფლად წასვლის საშუალება მისცა. შედეგი სახეზეა: 35 წლის ვეტერანმა დუბლი შეასრულა. თამაშის დასრულების შემდეგ ფეხბურთელმა დედაქალაქური დერბი და საკუთარი თამაში შეაფასა.

„შეტევაში ჩართვა მართლა ძალიან მსიამოვნებს და ვაფასებ ყოველ შესაძლებლობას, რასაც მოურინიო მთავაზობს. ზოგადად კი ყოველთვის იმას ვაკეთებ, რასაც მწვრთნელი მავალებს. „ჩელსის“ შემტევი ნახევარმცველების უზარმაზარი არჩევანი აქვს. გუნდის თავკაცს სურს, ყველა ვარიანტი მოსინჯოს და ყველასგან მაქსიმუმი მიიღოს.

სათამაშო დროით, რაც ამ ეტაპზე მეძლევა, კმაყოფილი ვარ. ვგრძნობ, რომ ფორმაში გახლავართ. ყოველ ჯერზე მიწევს იმის დამტკიცება, რომ მზად ვარ სამომავლო თავგადასავლებისთვისაც. ასაკის მიუხედავად არ მხიბლავს პერსპექტივა, რომ ოდესმე სათადარიგოთა შორის გადავინაცვლებ. წლებთან ერთად ვხვდები, რომ აღარ მიწევს ბრძოლაში გაქაფული ჩართვა. სამაგიეროდ, დაგროვილ გამოცდილებას ვიყენებ და გუნდის ინტერესებს საკუთარ პლიუსებს ვარგებ.

ჯერჯერობით მიზნისკენ სათანადო ტემპში მივიწევთ. ჩვენი არც ერთი სერიოზული კონკურენტი სრული სვლით არ დაძრულა. გამოკვეთილად კარგად მათ შორის „არსენალი“ გამოიყურება, მაგრამ მისი დაწევა ჯერ კიდევ შეგვიძლია. ამგვარი ჩამორჩენა შესაძლოა ადრეც გვქონოდა მოურინიოს ეპოქაში, მაგრამ მაშინდელ და ახლანდელ პრემიერლიგას ერთმანეთს ვერ შევადარებ. ამჟამად კონკურენცია გუნდებს შორის ბევრად უფრო მძაფრია. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. მჯერა, რომ იქამდე, ვიდრე ისე ვთამაშობთ, როგორც ეს „ვესტ ჰემთან“ იყო, იქამდე, ვიდრე ასე ვვითარდებით, ყველაფერი კარგად იქნება“.

რეკორდი

# ნავასი რეკორდს ვერ შესწვდა

„მანჩესტერ სიტის“ 28 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ხესუს ნავასმა** „ტოტენჰემის“ რბევას საფუძველი შეხვედრის დებიუტშივე ჩაუყარა. პრემიერლიგის ვებგვერდის ცნობით, **უგო ლორისის** კარში ესპანელმა გოლი მე-14 წამზე გაიტანა, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი სეზონის უსწრაფესი გოლის ავტორის სახელის მოსაპოვებლად. შეგახსენებთ, რომ X ტურში „სტოკის“ მეკარე **ასმირ ბეგოვიჩმა** ანგარიში მე-13 წამზე გახსნა. სამაგიეროდ, მისი დარტყმა „სიტის“ პრემიერლიგურ ისტორიაში აღმოჩნდა ყველაზე სწრაფი. ნავასს საქმე საამაყოდ სხვა გარემოების გამოც აქვს. ფეხბურთელმა მატჩის მიწურულს მეორედაც გაიტანა და როგორც თავად ადასტურებს, კარიერაში პირველი დუბლი შეასრულა:

„ვიცოდით, რომ ფეხის დაცდენის უფლება არ გვქონდა და ჩემი აზრით, ძალიან კარგად ვითამაშეთ. თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარი მოვალეობები იდეალურად შეასრულა. პირადად მე ძალიან მინდოდა პრემიერლიგაში პირველი გოლის გატანა. დუბლი ჩემთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან აქამდე მსგავსი შედეგი არასოდეს მქონია. მე უფრო საგოლე მომენტების შექმნა მეხერხება. დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ“.

ამბები

## კაგავას ფეხი აწუხებს. სხვებს?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის ნახევარმცველი **შინჯი კაგავა** კვირას „კარდიფთან“ შეხვედრის განაცხადშიც კი არ ყოფილა. **დევიდ მოიესს** თამაშის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან მიზეზებზე საუბარი დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელმა 19 ნოემბერს ბელგიის ნაკრებთან ფეხი დაიზიანა, რაც მას სრულფასოვან სავარჯიშო პროცესში დღემდე ხელს უშლის. შოტლანდიელმა სხვა ტრავმირებულებზეც ილაპარაკა: „შინჯიმ ნაკრებში მცირე ტრავმა მიიღო. ფეხზე სისხლჩაქცევები აქვს, თუმცა საშიში არაფერია. საზარდული აწუხებს ვან პერსის, ფეხის თითები კი ჰოლანდიელს თითქმის მოუშუშდა. მალე განაგრძობს ვარჯიშს ვიდიჩიც. კონკრეტულ თარიღებს ვერ დავასახელებ, რადგან ამგვარ ინფორმაციას თავადაც არ ვფლობ“.



შინჯი კაგავა

## იუნაიტედის ლეგენდა გარდაიცვალა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელი **ბილ ფოულკსი**. მან „ეშმაკების“ რიგებში 18 წელიწადი გაატარა და 688 თამაში ჩაატარა.



ბილ ფოულკსი

ამ მაჩვენებლით ის ისტორიაში მე-4 ადგილზე გახლდათ. მასზე მეტჯერ მანკუნიანელთა ღირსება დაუცავთ მხოლოდ **რაიან გიგზს, ბობი ჩარლტონსა** და **პოლ სქოულზს**. ამასთან ფოულკსი ერთ-ერთი იყო იმ ფეხბურთელთაგან, რომელიც 1958 წლის 6 თებერვლის ავიაკატასტროფას გადაურჩა. **მეტ ბასბის** გუნდში მან 4-ჯერ (1955/56, 1956/57, 1964/65, 1966/67) მოიგო ინგლისის ჩემპიონატი, თითოჯერ კი ასოციაციისა (1962–63) და ჩემპიონთა თასები.

## ათი კვირა ენრიკეს გარეშე

„ლივერპულის“ 27 წლის განაპირა მცველმა **ხოსე ენრიკემ** მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და კლუბის ვებგვერდის ცნობით, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით 10-12 კვირა მოუწევს დასვენება. ექიმებმა ფეხბურთელის ფეხზე დაყენება ქირურგიული ჩარევის გარეშეც სცადეს. პროცედურებმა ფეხბურთელს მთელი თვე გააცდენინა, თუმცა შედეგი არ გამოიღო.

## ბეინსი ახალ წლამდე?

„ევერტონი“-“ლივერპულის“ შეხვედრის მეორე ტაიმის დებიუტში **ლეიტონ ბეინსმა** უკანა ტერფის ძვალი გაიტეხა და შეცვლა დასჭირდა. აქამდე ფეხბურთელს პრემიერლიგის თერთმეტივე ტური თავიდან ბოლომდე ჰქონდა ნათამაშები. **რობერტო მარტინესი** მედიკოსთა საბოლოო დასკვნას ელოდება, თუმცა წინდაწინ ცხადია, რომ ფეხბურთელი, მინიმუმ, ე.წ. „ბოქსინგ დეის“ დაწყებამდე ვერ ითამაშებს. მერსისაიდელებს ამ ერთი თვის განმავლობაში 7 თამაში უწევთ. კაპიტნის გამოკლება კი მათთვის უმძიმესი დარტყმაა.

## 17 წლის შოტლანდიელი გრანდების რადარებში

„დანდი იუნაიტედის“ შემტევი ნახევარმცველი **რაიან გალდი** 18 წლის მხოლოდ 3 კვირის მერე ხდება, თუმცა მასზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობენ, როგორც მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტზე. „დეილი მეილის“ ცნობით, შოტლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების ცაცია ლიდერით „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ და „რეალი“ არიან დაინტერესებულები. ბრიტანული პრესა გალდს განსაკუთრებულად მდიდარი ტექნიკური არსენალის გამო „ტარტანების მესის“ უწოდებს (ტარტანი - ტრადიციული შოტლანდიური კაბა მამაკაცებისთვის). მიმდინარე სეზონში შოტლანდიის პრემიერშიპში ფეხბურთელის ანგარიშზე 13 თამაშში 4 გოლი და 5 საგოლე გადაცემაა. თინეიჯერმა ოთხივე გოლი უქმეებზე „პატრიკ თისლთან“ (4:1) გაიტანა. ამ მატჩის შემდეგ მასზე მასმედია კიდევ ერთხელ და ამჯერად უფრო ხმამაღლა ალაპარაკდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XII ტური

**ვესტ ბრომვიჩი–ასტონ ვილა 2:2**

**გოლები:** 1:0 ლონგი (3), 2:0 ლონგი (11), 2:1 ელ-აჰმადი (67), 2:2 ვესტვუდი (76)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): მაიჰილი - რიდი, მაკაული, ოლსონი, პოპოვი (82. ანიჩებე) - იაკობი, მულუმბუ - ბრანტი, ამალფიტანო, სესინიონი (73. მორისონი) - ლონგი

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი - ბაკუნა, ვლაარი, ბეიკერი, კლარკი - ვესტვუდი, ელ-აჰმადი, სილა (57. დელფი), ტონევი (57. ვაიმანი) - ბენტეკე, კოზაკი (57. აგბონლაჰორი)

**გაფრთხილება:** მულუმბუ - კლარკი

**კარში დარტყმა:** 15-22 (4-7) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 6-5 **ჯარიმა:** 9-14 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 24 902

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 2. ლივერპული | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 3. ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-10 | 24 |
| 4. სიტი | 12 | 7 | 1 | 4 | 34-12 | 22 |
| 5. საუთჰემპტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 15-7 | 22 |
| 6. იუნაიტედი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-15 | 21 |
| 7. ევერტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 17-13 | 21 |
| 8. ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-17 | 20 |
| 9. ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 9-12 | 20 |
| 10. სუონსი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-16 | 15 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-14 | 15 |
| 12. ასტონ ვილა | 12 | 4 | 3 | 5 | 13-14 | 15 |
| 13. ჰალი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-15 | 14 |
| 14. სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-14 | 13 |
| 15. კარდიფი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-17 | 13 |
| 16. ნორვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| 17. ვესტ ჰემი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 18. ფულჰემი | 12 | 3 | 1 | 8 | 11-21 | 10 |
| 19. პალასი | 12 | 2 | 1 | 9 | 7-21 | 7 |
| 20. სანდერლენდი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-24 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) 9 - ლუის სუარესი (ლივერპული), დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 8 - ლოიკ რემი (ნიუკასლი); 7 - ოლივიე ჟირუ (არსენალი), რომელუ ლუკაკუ (ევერტონი) რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინტერი

# უიღბლობა თუ კანონზომიერება?


ვალტერ მაცარი იმედგაცრუებული დარჩა

„ბოლონია"-„ინტერის" პაექრობა კვირას გვიან ღამით გაიმართა და ტურის მიმოხილვაში მასზე არაფერი გვითქვამს. მილანური გრანდი მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა სოლიდურ უპირატესობას, მაგრამ ანგარიშში ეს ვერაფრით ასახა. მასპინძელთა კარი თითქოს დათარსული იყო, მატჩის შემდგომ კი სტუმრები ძირითადად უილბლობაზე საუბრობდნენ.

**ვალტერ მაცარი** (ინტერის მწვრთნელი): „უამრავი მომენტი შევქმენით, მაგრამ მხოლოდ ერთ გოლს დავჯერდით, შედეგად კი უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ. თუ ასე გავანიავეთ ქულები, სატურნირო ცხრილში მაღალი პოზიციის დაკავება გაგვიჭირდება. განვლილ თამაშს აუცილებლად გავარჩევთ, რათა იგივე აღარ განმეორდეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს იღბალმა ზურგი გვაქცია".

**სამირ ჰანდანოვიჩი** (ინტერი): „საწყენია, რომ ვერ მოვიგეთ და საჭირო ქულები დავკარგეთ. არ შეიძლება დამაგვირგვინებელ ფაზაში ასე თამაში და მომენტების გაცუდება. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში არნახულად მაღალი კონკურენციაა და თუ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გვინდა, ასეთი მატჩები აუცილებლად უნდა მოვიგოთ".

„ინტერის" კაპიტანმა **ხავიერ ძანეტიმ** ყველაფერი უილბლობას დააბრალა, მაგრამ არც მთლად მასე უნდა იყოს საქმე - „ნერაძურის" შეტევაში კვლავაც **როდრიგო პალასიოს** იმედზე უწევს ყოფნა, რაც სტაბილური ასპარეზობისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის. ფაქტია, რომ ჯერჯერობით ვერც **მაურო იკარდი** და ვერც **ისაკ ბელფოდილი** მათზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებენ, **დიეგო მილიტო** კი მუდმივად ტრავმირებულია. „ბოლონიასთან" მატჩის შემდეგ, იტალიელი სპორტული ჟურნალისტები **ერიკ ტოჰირს** სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობისკენ მოუწოდეს. „ინტერს" მართლაც სჭირდება გაძლიერება - განვლილმა მატჩმა ეს კიდევ ერთხელ დაგვანახვა.

**ლაშა წიკლაური**


ჯანლუიჯი ბუფონს არც სერია B-ში გამართული 37 პაექრობა ავიწყდება

# ჯიჯის 500

## და ეს, ჯერ კიდევ არაა დასასრული...

სერია A-ს მე-13 ტურში, „იუვენტუსმა" „ლივორნო" ორი უპასუხო გოლის წყალობით დაამარცხა, მნიშვნელოვანი ქულები ჩაიწერა აქტივში და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აღვნიშნოთ ისიც, რომ „იუვემ" მიჯრით მეხუთე შეხვედრაში შეინახა კარი მშრალად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი **ჯანლუიჯი ბუფონისთვის** გახლავთ. ბოლო ხანს, 35 წლის გოლკიპერს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ და ამ მშრალი სერიით მან ყველას ღირსეული პასუხი გასცა.

„ლივორნოსთან" მატჩი ბუფონისთვის სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი - ჯიჯიმ სერია A-ში მე-500 შეხვედრა ჩაატარა, რაც უდავოდ ფენომენალური შედეგია. „იუვეს" და იტალიის ნაკრების მეკარემ ჟურნალისტებს შთაბეჭდილება გაუზიარა: „მიხარია, რომ კარი მშრალად შევინახეთ და წარმატებული სერია გავაგრძელეთ. „ფიორენტინასთან" მარცხის შემდეგ, ბევრს გვაკრიტიკებდნენ და მადლობა ღმერთს, ამან მხოლოდ დადებითად იმოქმედა ჩვენზე. მე-500 მატჩი? - დიახ, ასეა და როცა ამაზე ვფიქრობ, სიამაყით ვივსები. როდესაც 1995 წელს „პარმას" შემადგენლობაში დებიუტი მქონდა, მაშინ წვერიც კი არ ამომდიოდა, დღეს კი ჭაღარას ვებრძვი. მაშინ მინდიდა, რომ საუკეთესო ვყოფილიყავი, დროთ კი მიჩვენა, რომ საკუთარი შესაძლებლობები მუდმივად უნდა ამტკიცო - მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი გაქვს მოგებული. ვამაყობ განვლილი წლებით და მიხარია, რომ ეს ჯერ კიდევ არაა დასასრული. ვამაყობ სერია A-ში გამართული 500 მატჩით, თუმცა არც სერია B-ში ჩატარებული 37 პაექრობა მავიწყდება".

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# კრიზისი, რომელსაც ბოლო არ უჩანს

## კაპელო: ალეგრის დრო წასულია

„მილანის" ღრმა კრიზისის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჯერჯერობით, კლუბის მესვეურები **მასიმილიანო ალეგრის** ნდობას უცხადებენ, მაგრამ ბევრს არ სჯერა, რომ მწვრთნელს დაკავებულ პოსტზე დიდი დრო უწერია. ამ თემაზე კომენტარი არაერთმა ცნობილმა პერსონამ გააკეთა, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ...

**ფაბიო კაპელო:** „ჩემი გამოცდილებიდან ვამბობ, რომ იტალიაში ყველაზე რთულია ერთ კლუბში დიდხანს გაჩერდე. ერთხელ, ეს მოვახერხე „მილანში" და დიდ შედეგებსაც მივაღწიე. ამ მხრივ, გაცილებით კომფორტული ვითარებაა ინგლისში. მასიმილიანო ალეგრი კარგი მწვრთნელია, მან იცის თავისი საქმე, მაგრამ ვეჭვობ, რომ „როსონერიში" შესაძლებლობები ამოწურა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში „მილანი" არც მახსოვს და ფაქტია, რომ სერიოზული ცვლილებებია საჭირო. მოვიაზრებ თუ არა თავს ალეგრის შესაძლო მემკვიდრედ? - არა, ამაზე არც კი მიფიქრია. სამწვრთნელო კარიერის საუკეთესო წლები ამ გუნდში გავატარე, მაგრამ მას შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ეტაპზე, ჩემი „მილანში" დაბრუნება არც კი განიხილება".

**ჩეზარე პრანდელი:** „თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩემი „მილანის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა გამორიცხულია. ბოლო დღეებში, ამ თემაზეც ალაპარაკდნენ და მინდა ვითარებას ნათელი მოვფინო. ჯერ კიდევ არ გადამიწყვიტავს დავრჩები თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ეროვნული ნაკრების სათავეში - თუ წასვლა გადავწყვიტე, მინიმუმ ერთი სეზონი დავისვენებ. ასე რომ, ახლო მომავალში ჩემი „როსონერიში" დანიშვნა არ იგეგმება. რაც შეეხება კრიზისს, ასეთი რამ ნებისმიერ გუნდს შეიძლება დაემართოს. ვფიქრობ, „მილანს" აქვს იმის რესურსი, რომ მძიმე დროება გადალახოს და აღმავლობის გზას უახლოეს მომავალში დაადგეს. მარიო ბალოტელი? - არაა საჭირო მასზე ამდენი ლაპარაკი, დანავსულ პერიოდს გადალახავს და ბევრ გოლსაც გაიტანს - ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".


მასიმილიანო ალეგრის მძიმე დროება უდგას

**პაოლო მალდინი:** „ჩემს დროს თუ ყოფილა „მილანი" ასეთ მძიმე ვითარებაში? - კრიზისში არაერთხელ ვყოფილვართ და ვერაფრით გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ მასიმილიანო ალეგრის ხელში გუნდი უპრეცენდენტოდ ცუდ ფეხბურთს თამაშობს. შესაძლოა, 1982 წლის შემდეგ, გუნდი ასე დაბლა არ დაშვებულა სატურნირო ცხრილში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. „მილანს" აქვს პოტენციალი და ეს „ჯენოასთან" შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა. სტუმართა კართან უამრავი მომენტი შეიქმნა, მაგრამ ბურთს არაფრით სურდა ბადეში გახვევა. ვფიქრობ, ალეგრის უნდა დასცალდეს, მას შეუძლია ვითარების გამოსწორება".

**ადრიანო გალიანი** („მილანის" ვიცე-პრეზიდენტი): „ტრაგედიის შექმნა არ ღირს, რადგან კრიზისისგან დაზღვეული არც ერთი გუნდი არაა. „ჯენოასთან" ბალოტელი ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე წინა შეხვედრებში და ეს მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტმეტრიანი გააფუჭა. სუპერ მარიო აუცილებლად ათამაშდება და მას გამოჯანმრთელებული სტეფან ელ შაარავიც მიეშველება. ცნობისთვის, მალე მატია დე შილიოც დაგვიბრუნდება, მათთან ერთად კი კრიზისს აუცილებლად დავძლევთ".

**ლაშა წიკლაური**

### იტალია

#### სერია A. XIII ტური

**რომა-კალიარი 0:0**

**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი (81. ბრედლი), კასტანი, ბენატია (90. ბურდისო), დოდო - პიანიჩი, დე როსი, სტროტმანი - ფლორენცი (70. ბორიელო), ლიაიჩი, ჟერვინიო.

**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - როსეტინი, პიზანო, ასტორი, მურუ - კონტი, დესენა, ერიკსონი - კოსუ (81. კაბრერა) - საუ (65. პინილია), იბარბო (49. არიაუდო).

**გაფრთხილება:** მაიკონი, ბორიელო - ასტორი, კონტი, ერიკსონი, პინილია.

**კუთხური:** 19-7; **ჯარიმა:** 9-8; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-6(5-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 55 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 13 | 11 | 1 | 1 | 28-10 | 34 |
| 2. რომა | 13 | 10 | 3 | 0 | 26-3 | 33 |
| 3. ნაპოლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24-12 | 28 |
| 4. ინტერი | 13 | 7 | 5 | 1 | 30-13 | 26 |
| 5. ფიორენტინა | 13 | 7 | 3 | 3 | 24-14 | 24 |
| 6. ვერონა | 13 | 7 | 1 | 5 | 22-20 | 22 |
| 7. ჯენოა | 13 | 5 | 3 | 5 | 14-15 | 18 |
| 8. ლაციო | 13 | 4 | 5 | 4 | 17-17 | 17 |
| 9. პარმა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 10. ატალანტა | 13 | 5 | 1 | 7 | 14-17 | 16 |
| 11. უდინეზე | 13 | 5 | 1 | 7 | 12-15 | 16 |
| 12. ტორინო | 13 | 3 | 6 | 4 | 22-22 | 15 |
| 13. მილანი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-20 | 14 |
| 14. კალიარი | 13 | 3 | 5 | 5 | 13-20 | 14 |
| 15. სასუოლო | 13 | 3 | 4 | 6 | 15-28 | 13 |
| 16. ლივორნო | 13 | 3 | 3 | 7 | 13-20 | 12 |
| 17. ბოლონია | 13 | 2 | 5 | 6 | 15-25 | 11 |
| 18. სამპდორია | 13 | 2 | 4 | 7 | 14-23 | 10 |
| 19. კიევო | 13 | 2 | 3 | 8 | 8-18 | 9 |
| 20. კატანია | 13 | 2 | 3 | 8 | 9-23 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - როსი (ფიორენტინა); 8 - ჩერჩი (ტორინო); 7 - პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი), ბერარდი (სასუოლო).

ბრაზილიის ნაკრები

# ბრაზილიამ მუნდიალის ფორმა წარადგინა



მომავალ ზაფხულს ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ტრადიციული ფორმით წარდგება - ყვითელი მაისურებით, ლურჯი ტრუსებით და თეთრი წინდებით. ახალი ფორმის წარდგენა რიო დე ჟანეიროში მოხდა. ფორმა **ნეიმარმა, პაულინიომ, დავიდ ლუისმა** და სხვებმა გამოამზეურეს. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას ახალი ფორმა საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა წარადგინა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

# ლეონიძემ ბრინჯაოთი დაამთავრა

სანკტ პეტერბურგში, სამბისტთა მსოფლიოს პირველობის ბოლო დღეს ჩვენი ვაჟთა ნაკრები უმედლოდ დარჩა, ქალებმა კი ერთი ბრინჯაო მოიპოვეს, რომელსაც 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ირინა ლეონიძე** დაეუფლა.

ამდენად, ჩვენი დელეგაციის საერთო მონაგარი 5 მედალია - 2 ოქრო, 1 - ვერცხლი და 2 - ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონები **ლევან ნახუცრიშვილი** (68) და **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57) გახდნენ, მეორეზე **ლაშა გურული** (100) გავიდა, ბრინჯაოს კი, ლეონიძის გარდა, **კახა მამულაშვილიც** (74) დაეუფლა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# გორგოძის 29-საფეხურიანი ნახტომი

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირებში ბოლო დროს განსაკუთრებით გამოირჩა **ეკატერინე გორგოძე**, რომელმაც რამდენიმე შეჯიბრება მოიგო. ეს წარმატებები რეიტინგშიც აისახა. წინა კვირასთან შედარებით მან 29 საფეხურით წაიწია წინ. ჩვენებურთაგან ერთეულებში 499 ქულით ისევ **ანა ტატიშვილი** მეწინავეობს. ის 128-ეა. შემდეგ მოდიან: 224 (225), **სოფიო შაფათავა** (272), 303 (301). **ოქსანა კალაშნიკოვა** (160), 445 (474). **ეკატერინე გორგოძე** (81), 468 (467). **მაკა ჩახნაშვილი** (74), 677 (690). **სოფიო ქვაცაბაია** (36), 1196 (1211). **მარიამ ბოლქვაძე** (4), 1216 (1204). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

წყვილებში. 58 (58). ოქსანა კალაშნიკოვა (1594), 83 (82). ანა ტატიშვილი (1085), 196 (199). სოფიო შაფათავა (346), 441 (428). ეკატერინე გორგოძე (114), 489 (485). სოფიო ქვაცაბაია (92), 755 (753). მაკა ჩახნაშვილი (34), 1241 (1224). თამარ ჭალაგანიძე (4), 1264 (1251). მარიამ ბოლქვაძე (3).

პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა ასოციაციის კლასიფიკაციაში ხუთი ჩვენებურია. 116 ქულით 360-ე ადგილზეა **ნიკოლოზ ბასილაშვილი**. მის გარდა, რეიტინგში არიან: **ალექსანდრე მეტრეველი** (1093), **გიორგი ციბაძე** (1655), **მიხეილ ხმიადაშვილი** (2122) და **გიორგი ჯავახიშვილი** (2156).

**ვაჟა დანელია**

ცხენოსნობა



# წლის მხედარი გეგი მეტონიძეა

თბილისის იპოდრომზე 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე საქართველოს საცხენოსნო სპორტის ფედერაციამ 2013 წლის დასკვნითი შეჯიბრება ჩაატარა დაბრკოლებათა გადალახვაში. ინტერესს ამ ასპარეზობისადმი ამაღლებდა ისიც, რომ მისი შედეგების გათვალისწინებით გამოვლინდებოდა 2013 წლის საუკეთესო მხედარი. ამ ასპარეზობამდე ეროვნულ შეჯიბრებებში ყველაზე მეტჯერ პირველობა მოპოვებული ჰქონდა **გეგი მეტონიძეს**. ამჯერად გამარჯვებულის გასარკვევად საჭირო გახდა დამატებითი ხტომები, სადაც მეტონიძეს **შალვა გაჩეჩილაძემ** აჯობა, მაგრამ საერთო ჯამში საუკეთესო შედეგი მაინც მეტონიძეს აღმოაჩნდა და წლის გამორჩეული მხედრისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზიც მას გადაეცა. ამ შემაჯამებელ ასპარეზობაში მესამეადგილოსანი **გიორგი თოხაძე** გახდა. სამივე სპორტსმენი თბილისელია. აღსანიშნავია, რომ ქართველი ცხენოსნები 13-15 დეკემბერს ბაქოში მსოფლიო თასის ეტაპზე იასპარეზებენ, სადაც გაირკვევა კავკასიის ლიგის საუკეთესო მხედრის ვინაობა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

მშვილდოსნობა. საქართველოს თასი

# თასი და პროტესტი მშვილდოსნობაში

ამ უქმეებზე საქართველოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ქვეყნის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში, რომელშიც 35-მდე სპორტსმენი გამოვიდა. შეჯიბრება ზამთრის ტურნირებისთვის მზადებას ისახავდა მიზნად და ამიტომ 18-მეტრიან დისტანციაზე ჩატარდა. აქ ასაკობრივი კატეგორიები არ ყოფილა და ახალგაზრდებმა უფროსთა გვერდით ისროლეს ქალებშიც და ვაჟებშიც.

ქალებში საკვალიფიკაციო ეტაპი **იულია ლობჟანიძემ** მოიგო 573 ქულით, ვინც ბათუმში გადასახლდა და იქაურთა სახელით გამოდის. საერთოდ, ხუთეული მთლიანად ბათუმელებმა შეავსეს - მეორეზე **ლანა ვერულიძე** გავიდა 545-ით, მესამეზე - **ანა დუმბაძე** 539-ით, **ციალა ფუტკარაძე** მეოთხე აღმოჩნდა 535-ით, **ნინო დევაძე** კი – მეხუთე 530-ით.

ვაჟებშიც მოწინავეთა შორის ბათუმელები ჭარბობდნენ, თუმცა აქ თბილისელი სპორტსმენიც იყო და რაც მთავარია - საკვალიფიკაციო ეტაპი 564 ქულით ქუთაისელმა **ჯაბა მოსეშვილმა** მოიგო. მან საგრძნობლად გაუსწრო ბათუმელ **არჩილ ფარსენაძეს** - 558 ქულა. მესამეზეც ბათუმელი მშვილდოსანია და თან შედარებით ახალი კადრი – 550-ქულიანი **გიორგი შაინიძე**, რომელმაც საბოლოოდ სიურპრიზიც შემოგვთავაზა. მეოთხე შედეგი თბილისელ **ლევან ჩიტიშვილს** აღმოაჩნდა – 544, ხოლო მეხუთეზე კიდევ ერთი ბათუმელი **მამუკა შუშაძე** გავიდა 540-ით, ვინც ბოლო ხანებში სულაც ზღვისპირელ ვაჟთა ლიდერად გვევლინებოდა.

ამბობენ, ნამდვილი ბრძოლა პლეიოფიდან იწყებაო და ვაჟებში გადამწყვეტი ეტაპი გვარიანად აირია – შუშაძემ ფავორიტის იმიჯი კი გაამართლა და ფინალში გავიდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც შაინიძეს დარჩა, თუმცა მანამდე ნახევარფინალურ კვარტეტში კიდევ ერთი თბილისელი – გიორგი პოპიაშვილი გამოჩნდა, რომელიც საკვალიფიკაციოში ხუთეულშიც ვერ შევიდა.

ნახევარფინალში შუშაძემ მშრალად მოუგო მოსეშვილს – 6:0, შაინიძემ კი პოპიაშვილი 6:4 დაამარცხა. შაინიძისა და შუშაძის ფინალური პაექრობა ფრედ დასრულდა – 6:6. დაინიშნა დამატებითი გასროლა, სადაც მეტოქეებმა კვლავ ერთნაირი შედეგი აჩვენეს – ორივემ 9-იანში გაარტყა, თუმცა ცენტრთან უფრო ახლოს შაინიძის ისარი იყო. ამიტომ გამარჯვებაც და თასიც მას დარჩა. მესამე ადგილისთვის პაექრობაში მოსეშვილმა პოპიაშვილს სეტებში 4:0 აჯობა.

ქალებში ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა და ნახევარფინალში ოთხეულის წევრები გავიდნენ, რომლებიც ასე დაწყვილდნენ – ლობჟანიძე-ფუტკარაძე; დუმბაძე-ვერულიძე. ფუტკარაძე ახალგაზრდული ნაკრების წევრია, დუმბაძე – სულაც ჭაბუკებისა და აქედან გამომდინარე, ქებას იმსახურებს მათი გამოსვლა. განსაკუთრებით – დუმბაძისა, რადგან მან დაამარცხა ვერულიძე და ფინალში გავიდა – 6:2. აი, ფუტკარაძემ სენსაცია ვერ მოახდინა და ლობჟანიძესთან 2:6 წააგო. ლობჟანიძე უკვე თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნული ნაკრების წევრად და მისგან კარგი გამოსვლა არცაა გასაკვირი. ის ფინალშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა დუმბაძესთან და საბოლოოდ 6:4 მოუგო, თუმცა ნურც ნორჩ მსროლელს დავუკარგავთ მოგებულ 4 სეტს - დამწყები ჩუბინისგან ასეთ ძლიერ მეტოქესთან ეს არც ისე სახუმარო ამბავია. იყოჩაღა ფუტკარაძემაც - მესამე ადგილისთვის პაექრობაში ვერულიძეს 6:3 მოუგო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, სამწუხაროდ, თასის გათამაშებამ, რომელიც ზამთრის ტურნირებში საქართველოს ნაკრებისთვის შესარჩევი უნდა ყოფილიყო, სპორტსმენთა პროტესტის ფონზე ჩაიარა, რამაც შეჯიბრება ფრიად აზარალა – ეროვნული ნაკრებისა და თბილისელ მშვილდოსანთა უმრავლესობა არ გამოვიდა. არ უასპარეზია ქალთა ნაკრების არც ერთ წევრს - **ქრისტინე ესებუას, ხათუნა ნარიმანიძეს** და **ასმათ დიასამიძეს**. არც ვაჟთა ნაკრების ლიდერი **ლაშა ფხაკაძე** გამოსულა. მათი უკმაყოფილება ფედერაციის წინააღმდეგაა მიმართული - ძირითადად ხელფასების მოხსნა-შემცირებას აპროტესტებენ. ყოველ შემთხვევაში, დარბაზში სპორტსმენებთან გასაუბრებამ ეს შთაბეჭდილება დამიტოვა, თუმცა გამონაკლისია ნარიმანიძის ამბავი, რომელიც, როგორც მისმა მეუღლემ **თამაზ ფუტკარაძემ** გვითხრა, მონაწილეობასაც აპირებდა და ემზადებოდა კიდეც ტურნირისთვის, მაგრამ სამსახურის გამო ვერ ჩამოვიდა. პროტესტის თემას „ლელო" უახლოეს დღეებში აუცილებლად დაუბრუნდება, თუმცა ქართული მშვილდოსნობის მეტად მტკივნეულ პრობლემაზე დამაფიქრებელი და საინტერესო წერილი ხვალინდელ ნომერშიც გელოდებათ.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ქველიაშვილის თასი



ლიზი კილაძე



მარიამ ბლუაშვილი



ქეთი შედანია



ცოტნე მაჭავარიანი



ლევან ქადაგიძე

# სამეზობლო დუელი ტირში

ამ უქმეებზე **ნინო სალუქვაძის** ტირში მეშვიდედ ჩატარდა შოთა ქველიაშვილის თასის გათამაშება პნევმატური პისტოლეტით სროლაში, რომელშიც 50 სპორტსმენი გამოდიოდა. იყვნენ უცხოელებიც – აზერბაიჯანელები და მალაიზიელი მსროლელი, რომელიც ეროვნებით უკრაინელია და ტურნირის წინ ჩვენთან შეკრებაც გაიარა. ქართული მხარე სამი კლუბით იყო წარმოდგენილი – საკუთრივ ნინო სალუქვაძის ტირი, სკა და ქუთაისის გუნდი. წინა წლებთან შედარებით, აზერბაიჯანელები ამჯერად გაცილებით დიდი გუნდით – 15 მონაწილით ჩამოვიდნენ.

შეჯიბრება ვაჟებსა და ქალებს შორის ახალგაზრდებსა და უფროსებში ცალ-ცალკე ჩატარდა და ორ დღეს გაგრძელდა. ვინაიდან ტირში მხოლოდ ხუთი ფარია, მონაწილე კი ბევრი იყო, ამიტომ ორივე დღეს სრული დატვირთვით მუშაობდნენ – დილით ადრე იწყებდნენ და გვიან ღამე ამთავრებდნენ. ტექნიკურმა პრობლემამ სხვა მხრივაც იჩინა თავი – რადგან არაა კომპიუტერები და ახლებურად ქულების გამოთვლა არ ხერხდებოდა, ამიტომ შეჯიბრება ძველი წესებით ჩატარდა, ანუ საბოლოო შედეგის გამოსავლენად საკვალიფიკაციოსა და ფინალური ეტაპის შედეგები იკრიბებოდა.

ცხადია, ქალთა შორის ნინო სალუქვაძე უპირობო ფავორიტი იყო და სენსაცია არც მომხდარა – გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ მომდევნო ადგილები აზერბაიჯანელებმა ირგუნეს. სალუქვაძემ გვარიანი უპირატესობით აჯობა მდევრებს – საკვალიფიკაციო ეტაპზე 379 ქულა დააგროვა და 4-ით გაუსწრო აზერბაიჯანელთა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსან **ირადა აშუმოვას**. 372-ით მესამე **ნიგიარ ნასიროვა** იყო, ვინც აშუმოვას დისშვილია და ადრე ბაგიროვას გვარით ასპარეზობდა, ახლა კი ქმრის გვარით მოგვევლინა. ფინალშიც ამ სამეულმა იყოჩაღა – საუკეთესოდ ისევ სალუქვაძემ ისროლა, 99.1 ქულა დააგროვა და ჯამში 478.1 დაუგროვდა, რითაც ჩემპიონიც გახდა. აშუმოვამ ფინალში 98.4 აჩვენა და ჯამში 473.4 გამოუვიდა, რამაც მეორეზე გაიყვანა, ნასიროვამ კი წინასწარ შედეგს 97.6 დაუმატა და ჯამური 469.6 ქულით ბრინჯაო მოიპოვა.

კაცებში აზერბაიჯანელებმა დაგვჩაგრეს - საკვალიფიკაციოშიც და ფინალშიც მათი დუეტი მოწინავეობდა. შესარჩევი **რუსლან ლუნევმა** მოიგო 574-ით, მეორე **რასულ მამადოვი** იყო 571-ით, მესამე – **ლევან ქადაგიძე** 562-ით. ფინალშიც ამ სამეულმა იყოჩაღა, ოღონდ იქ მამადოვმა მცირედით აჯობა ლუნევს – მან 97.4 ქულა მოინადავლა და მცირედით გაუსწრო 97.2-იან ლუნევს. თავის მხრივ, მას კიდევ უფრო მცირედით ჩამორჩა ქადაგიძე – 97.1. საბოლოოდ ოქრო მაინც ლუნევს დარჩა - 672.2 ქულა. ვერცხლი მამადოვს ერგო – 668.4, ბრინჯაო კი 659.1-ქულიანმა ქადაგიძემ დაისაკუთრა, რომელიც მასპინძელი ტირის წარმომადგენელია.

უფროსებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებში მასპინძლებმა ივარგეს, თუმცა ბიჭებში გამარჯვება აზერბაიჯანელს ერგო – **ურფან ახუნდოვმა** შესარჩევი 568 ქულით მოიგო და ოქროს მას დარჩა, რადგან ახალგაზრდებში ფინალები არ ტარდება. 559-ით მეორე ნინო სალუქვაძის შვილი **ცოტნე მაჭავარიანი** გავიდა, მესამე კი 556-იანი **ვლადისლავ მაიოროვია** სკა-დან.

აი, გოგოებში კვარცხლბეკი მთლიანად ქართველებმა შეავსეს – ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** 370 ქულით გაიმარჯვა, სალუქვაძის ტირის წარმომადგენლებმა - **მარიამ ბლუაშვილმა** და **ქეთი შედანიამ** კი მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს, შესაბამისად, 367 და 366 ქულით.

დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელსაც შოთა ქველიაშვილის შვილიც ესწრებოდა, სროლის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბექაურმა** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** აღუთქვეს შეჯიბრების მონაწილეებს, რომ გაისად ბევრად უკეთეს პირობებში მოუწევთ ასპარეზობა. ვნახოთ, იმედია, დანაპირებს აასრულებენ.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა

# ხონმა ოლიმპიურ ჩემპიონს უმასპინძლა

ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებით განებივრებული ჩვენი ქვეყანა და ხალხი ღირსეულად აფასებს თავიანთ რაინდებს. სახელოვან სპორტსმენთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაა მოსული დიდ სპორტში და რა გასაკვირია, თითოეული მხარე, ქალაქი, რაიონი თუ სოფელი უსაზღვროდ ამაყობს თავისი ღირსეული შვილებით. ახლა იმათ რიცხვს, სადაც მადლიერების ნიშნად ამა თუ იმ სპორტულ ობიექტს ან დაწესებულებას მსოფლიოში აღიარებულ ქართველ ათლეტთა სახელი მიენიჭა, ხონიც მიემატა. ამ რაიონის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ამიერიდან ამავე რაიონის შვილის, ხონის საპატიო მოქალაქის, ლეგენდარული სიმაღლეზე მხტომელის **რობერტ შავლაყაძის** სახელობის იქნება. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ვეტერანი მძლეოსნის სტუმრობით მთელმა რაიონმა გაიხარა. რაღა თქმა უნდა, ზეიმი და ღირსახსოვარი დღე მძლეოსნობაში ასპარეზობის გარეშე ვერ ჩაივლიდა. გამარჯვებულებს და პრიზიორებს კი პირადად აჯილდოებდა საპატიო სტუმარი ოლიმპიელი, რითაც დიდად გაიხარეს სახელოვანი ჩემპიონის მემკვიდრეებმა. ასპარეზობის შემდეგ კი სტუმარ-მასპინძლებმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს, რომელსაც აქვე გთავაზობთ.



**„ლელოს" კორ.**

ჭადრაკი

# თამაზ გელაშვილი ლიდერობას არ თმობს

დალასში (აშშ) გრძელდება მოჭადრაკეთა ორი საერთაშორისო წრიული ტურნირი, რომლებსაც ტეხასის უნივერსიტეტი მასპინძლობს.

დიდოსტატთა შეჯიბრებაში **გიორგი მარგველაშვილი** კიდევ ორ მეტოქეს - დავიდ ბერუესსა (უნგრეთი) და ხულიო სადორას (ფილიპინები) დაუზავდა. ჩვენებურს ექვსი ტურის შემდეგ 3 ქულა აქვს. 4-4 ქულით გონრად ჰოლტი (აშშ), ხულიო სადორა, ალეხანდრო რამირესი და იან ელვესტი (ორივე - აშშ) ლიდერობენ. შემდეგ მოდიან: ლეონიდ კრიტცი (გერმანია)-3,5, გიორგი მარგველაშვილი, ვალენტინ იოტოვი (ბულგარეთი)-3-3, იოან კრისტიან ჩირილა (რუმინეთი)-2, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)-1,5, დავიდ ბერუესი-1 ქულა.

ოსტატთა ტურნირში ორი ჩვენებურია: მე-5 ტურში **თამაზ გელაშვილი** ალექსანდრ ლენდერმანს (აშშ) დაუზავდა, მეექვსეში კი დანიელ გეიტა (აშშ) დაამარცხა, მოაგროვა 5,5 ქულა და ლენდერმანთან ერთად მეწინავეობს. ლიდერებს ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან ალეს გეტცი (აშშ) და **მარიამ დანელია,** რომელმაც რაიან იოზეფ მუუნს (აშშ) აჯობა, ხოლო არტურ საფინს (აშშ) ყაიმზე შეუთანხმდა. ამ უკანასკნელმა 3 ქულა მოაგროვა, ჩარდინე კამაჩომ - 2,5, არტურ კალუგარს (კანადა), პატრისია ლაბეჟს (პოლონეთი)- 2-2, დანიელ გეიტას 1,5, რაიან იოზეფ მუუნს 1 ქულა ქვს.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# კიევში იასპარეზებენ

საქართველოს 15-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ნაკრები წელიწადზე მეტია, 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. იმავე წელს ჩვენი გოგონები 17-წლამდელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან, ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ასპარეზობაში ჩაებმებიან. ამიტომაც საქართველოს ხელბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**) ამ ასაკის სპორტსმენების მომავალი შეჯიბრებებისთვის მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს: რამდენიმე თვის წინათ უკრაინიდან ნაკრების მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **მაია კარბუნარი** ჩამოიყვანეს. მას ასისტენტობას უწევს **ელისო ჟურულიშვილი.**

საქართველოს გოგონათა ნაკრებისთვის 2014 წელი გამორჩეულად დატვირთული სეზონი იქნება: ათამდე საწვრთნელ შეკრებას გაივლის და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს, მათ შორის — გეტებორგში (შვედეთი) პარტილოს თასზე. ეს შეჯიბრება კი 16-წლამდელებში არაოფიციალურ მსოფლიოს პირველობად მიიჩნევა.

საქართველოს გოგონათა ნაკრებმა გუშინ სასპორტო კომპლექს „არენაში" ღია ვარჯიში გამართა. დღეს დილით კი უკრაინის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა. ჩვენი გუნდი კიევის მახლობლად ქალაქ ბროვარის სახელბურთო აკადემიის საერთო საცხოვრებელში დაიდებს ბინას. უკრაინულ ტურნირში მაია კარბუნარისა და ელისო ჟურულიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ:

**თინათინ ყაველაშვილი** (მეკარე, „კორიდა", 165 სმ, 1998), **ქრისტინე ჯავახია** (მეკარე, ფოთი, 168 სმ, 1998), **სოფი ნარიმანიძე** (შუამარბი, „მამული", 175 სმ, 1998), **ნინო გაბისონია** (შუამარბი, „მამული", 173, 1998), **ანა ყველაშვილი** (შუამარბი, „მამული", 167, 1998), **თათია გადილია** (შუამარბი, ფოთი, 165, 1998), **თამარ ჩოგოვაძე** (გამთამაშებელი, „პეგასი", 160, 1999), **მაია ბერიძე** (გამთამაშებელი, „პეგასი", 160, 1999), **მედეა ჩოხელი** (ხაზი, „პეგასი", 173, 1999), **თეონა ჯალათაშვილი** (ხაზი, „მამული", 166, 1999), **ქრისტინე ლვალაძე** (გარემარბი, „მამული", 155, 1998), **ნინო სიხარულიძე** (გარემარბი, ფოთი, 160, 1999), **ქეთევან ვენეცკი** (გარემარბი, „პეგასი", 172, 1998), **თამარ გიორგაძე** (გარემარბი, „მამული", 167, 1998), მთავარი მწვრთნელი: მაია კარბუნარი, მწვრთნელი: ელისო ჟურულიშვილი

**ვაჟა დანელია**



ნიჩბოსნობა

# ნადირაძემ მსოფლიოს ჩემპიონს აჯობა

მინგეჩაურში (აზერბაიჯანი) დამთავრდა ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატა. კანოესა და კაიაკში (ბაიდარა) ექვსი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა და ყველა მათგანი მედლით დაბრუნდა. განსაკუთრებით უფროსებში მცხეთელი **ზაზა ნადირაძე** გამოირჩა. 200 მეტრზე კანოეთი ასპარეზობისას მან პირველი ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა მასპინძელთა 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სერგეი ბეზუგლი და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ალექსანდრ კუპინი. ამ წარმატებისთვის აზერბაიჯანის ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ზეინალოვმა ქართველი სპორტსმენი 500 ევროთი დააჯილდოვა.



ზაზა ნადირაძე

1996-1998 წლებში დაბადებულთა შეჯიბრებაში კაიაკით თბილისელმა **ბადრი ყაველაშვილმა** 200 და 500 მეტრზე ოქროს მედლები მოიპოვა, 1000 მეტრზე კი მეორე იყო, ამავე დისციპლინაში **გელა ფიცხელაურმა** (თბილისი) 500 მეტრზე მეორე, 200 მეტრზე კი მესამე ადგილები დაიკავა.

ამავე ასაკის კანოისტებში დუშელებმა იყოჩაღეს: **მალხაზ ჭინჭარაშვილმა** 200 და 500 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა, ხოლო **გიორგი ყარსიმაშვილი** ბრინჯაოებს დასჯერდა.

უმცროს ასაკში ერთი მონაწილე გვყავდა: თბილისელმა **ლუკა თხილაიშვილმა** ერთადგილიანი კაიაკით 200 Lდა 500 მეტრზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

**ვაჟა დანელია**

*ავტორის ფოტო*

კალათბურთი



# მინისტრის შეხვედრა კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრებთან

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი,** მოადგილეებთან - **აკაკი ლოდიასთან** და **თამაზ თევზაძესთან** ერთად, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ - **ბესიკ ლიპარტელიანს,** გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** და ფედერაციის გამგეობის წევრებს სამინისტროში შეხვდა.

მხარეების შეხვედრას, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, ფედერაციისა და სამინისტროს იურისტებიც ესწრებოდნენ.

საუბარი იყო საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მოახლოებულ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე, სადაც ხმის უფლების მქონე 40-მა დელეგატმა ფედერაციის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს.

ითქვა, რომ არჩევნების წინ აუცილებლად უნდა მოიხსნას ის ნერვიული ფონი, რაც საკალათბურთო სამყაროშია შექმნილი და არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით.

მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ ყველანაირი გაურკვევლობა და უთანხმოება ამოწურულია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის 4 კანდიდატი იბრძვის - **მიხეილ ახვლედიანი, კახაბერ შენგელია, ვლადიმერ ბოისა** და **მიხეილ გაბრიჩიძე.**

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 11 დეკემბერს 12:00 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება.

**სამინისტროს პრესსამსახური**

კალათბურთი. ქართველი უკრაინაში

# ცინცაძე ბუდიველნიკთან...

**გიორგი ცინცაძე** გასულ სეზონში უკრაინის ჩემპიონი კიევის „ბუდიველნიკთან" ერთად გახდა, წლეულს კი „დონეცკის" ღირსებას იცავს. გუშინ სწორედ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ შეხვედრამდე „დონეცკს" უკრაინის პირველობაზე შვიდივე მატჩი მოგებული ჰქონდა, თუმცა მოქმედ ჩემპიონთან სტუმრად ვერას გახდა და პირველი მარცხიც იწვნია - 55:82.

გიორგი ცინცაძემ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, თუმცა 10 წუთი ითამაშა და მხოლოდ 1 ქულასა და 2 შედეგიან გადაცემას გამორჩა. მის თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი **ბენ მაქკოლიმ** ჩააგდო - 16 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუმო. კიუშუს ბაშო. 10-24 ნოემბერი

# 10 წელიწადი ელიტაში



24 ნოემბერს კუნძულ კიუშუზე, ფუკუოკაში დასრულდა წლის უკანასკნელი სუპერტურნირი - ნოემბრის ბაშო. ელიტაში ერთადერთი რიკიში გვყავს - **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ).** 2004 წლის იანვრის შემდეგ პირველად გაჩნდა საფრთხე, რომ ელიტური დივიზიონი მაკუუჩი ჩვენებურის გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა: გაგამარუმ 8-7 ბალანსით დაასრულა ბაშო და ოდნავი პროგრესიც დაიბევა რეიტინგში.

ასე რომ, 2014 წლის იანვრის ბაშოზე გაგამარუ ელიტაში კვლავ იქნება, პირველად ქართველი უმაღლეს დივიზიონში კი 2004 წლის იანვარში მოხვდა, მაშინ **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** შეძლო აღზევება. იყო დრო, როცა დივიზიონში ერთბაშად სამი ქართველი იყო, ხან ორი და ხან ერთი, მაგრამ 10 წელიწადია, პროფესიული სუმოს ტოპდივიზიონის ბატალიებს უჩვენოდ არ ჩაუვლია.

გაგამარუმ მე-8 გამარჯვება შაბათს დაიბევა, როცა **ტოჩინოვაკა** დაამარცხა, კვირას კი მან **მიოგირიუსთან** წააგო.

მეორე დივიზიონ ძურიოში დაქვეითებული **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ტრავმის გამო ვერ მონაწილეობდა ნოემბრის ბაშოზე, ამიტომ ის ისევ დაქვეითდება, ამჯერად, მესამე დივიზიონ მაკუშიტაში.

ნოემბრის ბაშო 14-1 ბალანსით მოიგო მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა **ჰარუმაფუჯიმ,** რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თანამემამულე **ჰაკუჰო** დაამარცხა. ჰარუმაფუჯიმ იმპერატორის თასი მეექვსედ მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი უცხოეთში

# ფაცაციას რეკორდმატჩი: 31-13-13


ფაცაცია კრივოი როგში

უკრაინის ჩემპიონატში მეხუთე შეხვედრა ჩაატარა **ლევან ფაცაციას** „დნიპრო-აზოტმა“ და დაძაბულ ბრძოლაში „კრივბასთან“ დამარცხდა - 72:74. აზოტელებმა განსაკუთრებული მონდომებით მეოთხე პერიოდი ჩაატარეს, 26:19-იც მოიგეს, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე სამი ქულა მაინც დააკლდათ.

ფაცაციასთვის ეს იყო უკრაინის ჩემპიონატში ჩატარებული საუკეთესო შეხვედრა. მან არაერთი პირადი რეკორდი დაამყარა: პირველად ჩააგდო 13 ქულა, პირველად მოხსნა 13-ჯერ, პირველად შეასრულა 4 შედეგიანი გადაცემა, პირველად ჩაჭრა სამჯერ და მარგი ქმედების კოეფიციენტიც პირველად ჰქონდა 21. ლევანმა 8-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 ორიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ეს ყველაფერი მან 31 წუთში ჩატია. საყურადღებოა, რომ ბოლო წამებზე თანაგუნდელებმა სწორედ მას მიანდეს გადამწყვეტი ტყორცნა, თუმცა ლევანის სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია.

„დნიპრო-აზოტს“ დიდი თავსატეხი გაუჩინა „კრივბასის“ პლეიმეიქერის **ვინსომ ფრეზერის** სამქულიანებმა - 10-დან 6 ჩააგდო. მას 2 სამიანით (2 მცდელობიდან) შეეშველა „რუსთავის“ ყოფილი კალათბურთელი **ნეით ბოუი,** რომელმაც საბოლოოდ 8 ქულა და 5 პასი მიითვალა. მან სირენამდე 9 წამით ადრე ჩაგდებული სამქულიანით გამოგლიჯა გამარჯვება სტუმრებს.

ქართველი NBA-ში


თორნიკე შენგელია დეტროიტთან მატჩისას

# ერთ ბედქვეშ...

## ფაჩულია: ბრუკლინი, როგორც მილუოკი

„ბრუკლინ ნეთსმა“ მიმდინარე სეზონში მე-13 მატჩი ჩაატარა და მეათედ დამარცხდა. ამჯერად **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელებმა შინ „დეტროიტ პისტონსთან“ ვერაფერი გააწყვეს - 97:109.

ორივე მხარეს **ზაზა ფაჩულიას** ყოფილი თანაგუნდელები, **ჯო ჯონსონი** და **ჯოშ სმიტი** გამოირჩნენ. პირველმა „ბრუკლინს“ 34 ქულა შესძინა, მეორემ „დეტროიტს“ - 18.

თორნიკე შენგელიამ 4 წუთი ითამაშა, ბურთი ერთხელ მოხსნა და ორჯერ დაჯარიმდა. მას მეტოქის კალათისკენ ერთხელაც არ უტყორცნია. თუ „ბრუკლინის“ თამაშებს გადავავლებთ თვალს, ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან გუნდი ინდივიდუალისტებზეა აწყობილი და ბურთის დატრიალებითა და კომბონაციური თამაშით არ გამოირჩევა.

გაგახსენებთ, რომ „მინესოტასთან“ წინა შეხვედრაში შენგელიამ 22 წუთში მხოლოდ 2 ორქულიანი და თითო სამიანი-საჯარიმო ისროლა. ამ შეხვედრაში იყო ერთი საგულისხმო ეპიზოდი: თორნიკე მოედანზე მესამე პერიოდის დასრულებამდე 3:55 წუთით ადრე შევიდა და მეოთხედი ისე დასრულდა, ბურთი ერთხელაც არ მიუღია!..

„ნეთსის“ წარუმატებელი სერიის შესახებ ჩვენთან საუბრისას საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა ზაზა ფაჩულიამ:

*- თორნიკეს ხასიათს კარგად ვიცნობ, წაგება ძალიან არ უყვარს. შესაბამისად, გუნდის დღევანდელი მდგომარეობით ბედნიერი ვერ იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს „ბრუკლინის“ დროებითი ჩავარდნაა. ვფიქრობ, „ნეთსიც“ ისეთივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, როგორც „მილუოკი ბაქსი“. ჩვენს გუნდებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ „მილუოკიში“ შედარებით ახალგაზრდული შემადგენლობაა, „ბრუკლინში“ უმეტესობა 30 წელსაა გადაცილებული. პრობლემა, რომელიც ზემოთ ვახსენე, სისტემაშია: „ნეთსშიც“ ახალი მწვრთნელია, შემადგენლობაშიც ბევრი ახალი კალათბურთელია. შეთამაშებას და სისტემის სინქრონიზაციას დრო სჭირდება. იმედი მაქვს, როგორც ჩემი, ასევე თორნიკეს გუნდი თამაშს დროულად გააუმჯობესებს და საბოლოოდ პლეი ოფსაც მიაღწევს. NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის ხანგრძლივობა ამის საშუალებას იძლევა - თითოეული კლუბი 82 შეხვედრას მართავს.*

დღეს გამთენიისას „მილუოკი“ „დეტროიტს“ ეწვეოდა, ხოლო „ბრუკლინი“ 26 ნოემბერს კანადაში „ტორონტოს“ „დაექიდება“.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სუპერ ლიგა — საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური

# მსუბუქი

■ **მეექვსე ტური 22 ნოემბერს დაიწყო და 25-ში დასრულდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით ყველაზე მსუბუქი ტური გამოვიდა. თავად განსაჯეთ: ყველაზე ნაკლები სხვაობა ქუთაისში დაფიქსირდა, სადაც ადგილობრივმა გუნდმა „ოლიმპს“ 19-ქულიანი უპირატესობით აჯობა. გუშინ გამართულ ორივე შეხვედრაში ყველაფერი პირველ ტაიმში გადაწყდა...**

25 ნოემბერი, თბილისი

**დინამო 85**

19:14, 25:17, 23:4, 18:14

**შსს 49**

**დინამო:** გამყრელიძე (10ქ, 6პ), ს. ლეჟავა (2ქ), კარტერი (3ქ), ბ. ლეჟავა (11ქ, 5პ), ვახანია, ბიბილური (2ქ), ლილუაშვილი (4ქ), მილოშევიჩი (22ქ, 21მ, 5პ, 4დ), პეშიჩი (17ქ, 9მ), ჭოჭუა (11ქ), ანთაძე (3ქ), ორმოცაძე.

**შსს აკადემია:** ჩიკვილაძე (4ქ, 5მ), ბოქოლიშვილი (4ქ), ლონდარიძე (12ქ, 6მ), კვანტალიანი, მირზიაშვილი (2ქ), ლოლიშვილი (2ქ), ისიანი (5ქ, 6მ), ლომოური (2ქ), უგრეხელიძე (4ქ), როგავა (9ქ), ტომარაძე (5ქ), გორდულაძე.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**გადამწყვეტი.** დიდ შესვენებამდე წუთნახევრით ადრე „დინამო“ 7 ქულით იგებდა (38:31). მას მერე ზუსტად 15 წუთში დინამოელებმა 37 ქულა ჩააგდეს, აკადემიელებმა - 6...

**სტატისტიკა არ ტყუის.** როცა ანგარიშში ასეთი სხვაობა ფიქსირდება, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გამარჯვებულმა დამარცხებული ყველა კომპონენტში დაჯაბნა.

**გამორჩეული.** შეუჩერებელი იყო **სტევან მილოშევიჩი,** რომელმაც **აკაკი დვალიშვილის** მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა - ბურთი 21-ჯერ მოხსნა, რასაც 22 ქულა მიამატა (7-დან 7 ორქულიანი).

**ნათქვამია**

**ირაკლი ხომტარია** („დინამოს“ მწვრთნელი):

- ამ თამაშისთვის ათი დღე ვემზადებოდით, მეტოქის ყველა კომბინაცია გვქონდა გავლილი და ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს დავალებები. მეტოქე გუნდს დიდ პატივს ვცემ, თუმცა დღეს ჩვენ ვიყავით ფავორიტები. ქეინ კარტერს ფეხი გადაუბრუნდა. ერთი შეხედვით ტრავმა სერიოზული არ ჩანს. დანარჩენს ექიმები გვეტყვიან.

**დრაგან პეტრიჩევიჩი** („შსს აკადემიას“ მწვრთნელი):

- სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს, პირველი 18 წუთი კარგ კალათბურთს ვთამაშობდით, მაგრამ მეორე პერიოდის ბოლოს უმარტივესი შეცდომები დავუშვით, რამაც „დინამოს“ საშუალება მისცა კომფორტულად ეგრძნო თავი და დიდი უპირატესობა მოეპოვებინა. მრცხვენია იმის, რაც მესამე პერიოდში მოხდა, საშინლად ჩავატარეთ მესამე მეოთხედი, თუმცა არ მრცხვენია ამ მოთამაშეების, ისინი ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელები არიან. მათთან ერთად ვაკეთებთ იმ საქმეს, რომელიც შეიძლება დღეს არ ჩანს, თუმცა ბოლოს აუცილებლად აჩვენებენ შედეგს და გამოჩნდება ჩვენი შრომაც.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 6 | 5 | 1 | 541/408 | 11 |
| 2. დინამო | 5 | 5 | 0 | 442/328 | 10 |
| 3. არმია | 5 | 5 | 0 | 429/311 | 10 |
| 4. ბათუმი-რსუ | 6 | 4 | 2 | 516/478 | 10 |
| 5. შსს აკადემია | 5 | 2 | 3 | 340/372 | 7 |
| 6. სოხუმი | 5 | 2 | 3 | 394/338 | 7 |
| 7. ოლიმპი | 5 | 1 | 4 | 378/428 | 6 |
| 8. მაკაბი | 6 | 0 | 6 | 418/640 | 6 |
| 9. რუსთავი | 5 | 0 | 5 | 298/453 | 5 |

25 ნოემბერი, თბილისი

**სოხუმი 129**

42:15, 28:9, 31:24, 28:26

**მაკაბი 74**

**სოხუმი:** მეტრეველი (16ქ, 8მ), ივანიჩი (9ქ, 10პ, 6ჩ), ჩლაიძე (22ქ), კოპალიანი (2ქ), შვანგირაძე (11ქ, 7მ), გაბისონია, ბააკაშვილი (11ქ, 7პ, 3ჩ), ქადარია (5ქ, 11მ, 4პ, 2დ), საიმონსი (21ქ, 3ჩ), დეკანოიძე (5ქ, 5მ), ბექაური (8ქ), ჯექსონი (19ქ, 6პ, 4ჩ).

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (12ქ, 6პ, 5მ), გულმაგარაშვილი, მეგენეიშვილი (9ქ), ელბაქიძე, მ. რევაზაშვილი (4ქ, 9მ), პატარაია (2ქ), ბეშქენაძე, ლ. რევაზაშვილი (24ქ, 11მ), ფერიაშვილი (18ქ, 14მ, 2დ), ნანიტაშვილი (5ქ).

**მსაჯები:** დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე, დ. ბერეკაშვილი

**გადამწყვეტი.** შეხვედრის მეექვსე წუთზე **პეტარ ივანიჩმა** სამქულიანით ტაბლოზე ფაქტობრივად „სოხუმის“ გამარჯვება დააფიქსირა - 29:2. სოხუმელებმა სეზონში სარეკორდო, 42 ქულა ჩააგდეს პირველ პერიოდში. სხვათა შორის, 129 ქულაც ჩემპიონატის რეკორდია. მანამდე ყველაზე მეტი, 117 „ქუთაისს“ ჰქონდა მოგროვილი.

**სტატისტიკა არ ტყუის.** შეხვედრის სურათზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სწრაფი გარღვევების შედეგად მოგროვილი ქულები. „სოხუმმა“ - 60 ჩააგდო, „მაქაბიმ“ - 14.

**გამორჩეული.** გამარჯვებულებს ერთი კონკრეტული ლიდერი არ ჰყოლიათ, 16-სა და 22 ქულას შორის ოთხმა კალათბურთელმა „იტრიალა“. დამარცხებულთაგან კი ორმაგი დუბლები **ლევან რევაზაშვილმა** და **გიორგი ფერიაშვილმა** მიითვალეს.

ფოტო: superleague.ge
რეზო როგავა და სტევან მილოშევიჩი (N 11)



● ინტერვიუ მარკ იგანთან



მარკ იგანი და ლევან ყიფიანი

# შეინარჩუნეთ ჟინიანი თამაშის სტილი

**საქართველოსა და სამოას ნაკრებების დაპირისპირება, რომელიც ჩვენი ეროვნული გუნდის გამარჯვებით დასრულდა, უკვე ისტორიის საკუთრებაა. „ბორჯღალოსნებმა“ პირველებმა მოახერხეს რაგბის ისტორიაში მოწინავე ათეულში მყოფი გუნდის დამარცხება. აქამდე მეორე დონის გუნდებიდან ბობოლები არავის დაუმარცხებია. ამ მატჩის სანახავად დუბლინიდან სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში რაგბის საერთაშორისო საბჭოს განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი მარკ იგანი. მისი დახმარებით საქართველოში მრავალი პროექტი განხორციელდა. ცხადია, საინტერესოა, როგორ აღიქვამს ის ჩვენი გუნდის ამ დიდ გამარჯვებას.**

- უწინარესად, მინდა ქართველ ქომაგებს მივულოცო ეს გამარჯვება. მთავარი ისაა, რომ ეს წარმატება დამსახურებული იყო. ეს იყო სწორი და მიზანმიმართული მუშაობის შედეგი ყველა მიმართულებით. ყოველივე ამით მსოფლიოს ვანახვეთ, რომ თუ სწორად აირჩევ პრიორიტეტებს მუშაობაში, თუ სწორი მიმართულებით ივლი, მიუღწეველი არაფერია.

პირადად მე, როგორც ერთი ადამიანი, რომელიც მეორე დონის სარაგბო ქვეყნებს ვკურირებ, ძალიან კმაყოფილი ვარ. სტადიონზე არაჩვეულებივი ატმოსფერო იყო. ინვესტიციამ, რომელიც ქართული რაგბისთვის გავიღეთ, გაამართლა. დიდი სარაგბო დღე იყო. მოედანზე ორი შესანიშნავი გუნდი თამაშობდა და უფრო ძლიერმა გაიმარჯვა.

**- როგორ ფიქრობთ, რა გამოხმაურება მოჰყვება საქართველოს ნაკრების ამ გამარჯვებას მსოფლიოში?**

- საქართველოს ნაკრების გამარჯვებას უკვე მოჰყვა გამოხმაურება. „ბორჯღალოსნებმა“ ფურორი მოახდინეს. სამოას ნაკრებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში უელსის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებები დაამარცხა. ესე იგი, საქართველოს ეროვნულ გუნდს აქვს საფუძვლიანი პრეტენზია, რომ სხვა უფრო მაღალ დონეზე ითამაშოს.

რაც ყველაზე სასიხარულოა, ახლახან რიჩი დიქსონმა მითხრა, რომ საქართველოს ნაკრებში მრავლად იყვნენ ახალგაზრდული ნაკრებიდან სარაგბო აკადემიაგამოვლილი მოთამაშეები. ისეთებიც, რომლებიც შინ, ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობენ.

ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ საქართველოს რაგბის კავშირში პროფესიონალიზმი გაიზარდა. ყველა საკვანძო თანამდებობაზე კომპეტენტური ადამიანები მუშაობენ.

**- რა გეგმები აქვს რაგბის საერთაშორისო საბჭოს ქართულ რაგბისთან დაკავშირებით სამომავლოდ?**

- ჩვენ განვაგრძობთ ქართულ რაგბიში ინვესტიციების ჩადებას. მეტი ყურადღება მიექცევა კლუბებს. ვეცდებით, რომ ქართული გუნდები რომელიმე მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ძლიერი კლუბების გარეშე ძნელი იქნება შემდგომი განვითარება.

რაგბის საერთაშორისო საბჭო საქართველოს რაგბის კავშირს ყველა შემთხვევაში დაეხმარება. ვინაიდან თქვენი ნაკრები არ თამაშობს ექვსი ერის გათამაშებაში, რომელიც კომერციული ტურნირია, ვფიქრობთ, ფინანსური დახმარება აუცილებელი იქნება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობისა და კერძო სექტორის მხრიდან დახმარებასაც. სამოასთან მატჩს სპორტის მინისტრთან ერთად, სხვა სამინისტროების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. იმედი მაქვს, რომ მათ დაინახეს როგორ უყვართ და შეუძლიათ ქართველებს რაგბი მაღალ დონეზე ითამაშონ. ამისთვის შესაბამისი მხარდაჭერაა საჭირო. ინვენსტიცია ონკანი არ არის, რომ ხან დაკეტო, ხან მოუშვა. ის სულ ღია უნდა იყოს და დაფინანსება წყალივით უწყვეტად უნდა მოედინებოდეს. იმედი მაქვს, რომ ეს ასეც მოხდება.

**- ხომ არ არის ცნობილი, რომელი ქვეყნების გუნდები იქნებიან ჩვენი ნაკრების მეტოქეები მომავალი წლის ნოემბრის ტესტებზე?**

- ნოემბრის ტესტებს ქართული რაგბის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, წლევანდელმა მატჩებმა საქათველოს ნაკრებს დიდი გამოცდილება შესძინა. მორაგბეებმა ბევრი რამ ისწავლეს. რაგბის საერთაშორისო საბჭო ელოდება წყნარი ოკეანის ერთა თასის გათამაშების შედეგებს. ვნახავთ, როგორ სახეს მიიღებს რეიტინგი და ამის შემდეგ გადავწყვეტთ ვისთან ვათამაშოთ საქართველოს ნაკრები.

სამოასთან თამაშმა გვიჩვენა, რომ დროა საქართველოს ეროვნული ნაკრები რაიმე სხვა, უფრო მაღალი დონის ტურნირში ჩავრთოთ, ვიდრე ევროპის ერთა თასის გათამაშებაა. ვფიქრობ, თქვენი ნაკრები უკვე გადაზრდილია ამ შეჯიბრებისთვის. ამასთან ერთად, უფრო მაღალი დონის გუნდებთან თამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემდგომი განვითარებისთვის.

მთავარია, ქართულმა რაგბიმ შეინარჩუნოს მისთვის დამახასიათებელი ხიბლი, თავდაუზოგავი, ჟინიანი თამაშის სტილი. ქართველი მორაგბეები მთელ სულსა და გულს დებენ თამაშში. ეს კი წარმატების საწინდარია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● საქართველოს ჩემპიონატი

# A ლიგა აკადემიამ მოიგო

**გასულ უქმეებზე დასრულდა ჭაბუკთა A ლიგის გათამაშება, რომლის ფინალური დაპირისპირება თვალსასეირო და უაღრესად დაძაბული გამოდგა. ერთმანეთს გათამაშების ორი უძლიერესი გუნდი დაუპირისპირდა: თბილისის „აკადემია“ და „ქუთაისი 1“. ორივე გუნდმა წაუგებლად განვლო გზა ფინალამდე, რაც კიდევ უფრო მეტ ინტრიგას მატებდა ამ შეხვედრას. გამარჯვება უმძიმეს ბრძოლაში „აკადემიას“ დარჩა - 21:20.**

მატჩის პირველმა ნახევარმა ძირითადად ტაქტიკურ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა მაღალმა სათამაშო ტემპმა და მოთამაშეთა ინდივიდუალიზმმა არაერთხელ მოსწყვიტა ტაში ტრიბუნას. შეხვედრის დასაწყისი „აკადემიას“ გაცილებით უკეთესი გამოუვიდა და **კოტე ახობაძის** საჯარიმოს წყალობით მალევე დაწინაურდა - 3:0. „ქუთაისი 1“ გააქტიურდა და რამდენჯერმე ანგარიშის გათანაბრების მშვენიერი შანსიც გაანიავა. თუმცა 30-ე წუთზე მგეზავი **რეზო ჯინჭველაშვილის** აქტიურობის წყალობით მაინც მოხაერხა საჯარიმოს დარტყმის უფლების მოპოვება. ჯინჭველაშვილმა სამი ქულა გუნდს თვითონვე მოუტანა - 3:3

„აკადემიელები“ მალევე ისევ დაწინაურდნენ. ჯერ ახობაძემ გაიტანა საჯარიმო. მერე კი პირველი ლელოც გაიტანეს. მოედნის ცენტრში **ბადრი ალხაზაშვილმა** მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა. 15 მეტრი გაიარა და შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან **ბექა მაზმიშვილმა** დაფარული პასით მოკლე ფრთაზე შეიყვანა ახობაძე, რომელმაც დიაგონალზე ირბინა და გადამწყვეტ მომენტში დროულად გადააწოდა **ნიკა ლომაურს**, რომელმაც კიდესთან იოლად გაიტანა ლელო. ახობაძემ ვერ გარდასახა - 11:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მატჩის მეორე ნახევარი „ქუთაისი 1-მა“ ძალიან აგრესიულად დაიწყო და სრულ სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლა. მათმა მგეზავმა ხელსაყრელი მდგომარეობებიდან ორჯერ გააფუჭა საჯარიმო დარტყმა, თუმცა 55-ე წუთზე ქუთათურებმა მაინც მიაღწიეს თავისას. არეულ თამაშში მათმა შუამარბმა მარჯვენა ფლანგზე მშვენივრად გაჭრა ხაზი და ფულბეკი **გივი ლოსაბერიძე** სალელოვე გარღვევაზე გაიყვანა. ჯინჭველაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა - 10:11.

„აკადემიამ“ ცენტრიდან დაკიდა ბურთი მეტოქის ნახევარზე და მოულოდნელად მეორე ლელოც მიიღო. ქუთაისელთა მგეზავმა ამჯერად გამოზომილად გადაუკიდა ბურთი ფეხით მარჯვენა ფლანგზე გარემარბ **ლაშა ხუციშვილს**, რომელმაც სლალომით გაიარა აკადემიელთა დაცვა და კიდევ ერთხელ დაალელოვა თბილისელები. ჯინჭველაშვილმა ისევ გარდასახა - 17:11.

აკადემიას უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და ძლიერი შერკინების ხარჯზე გაზარდა მეტოქეზე ზეწოლა. მათ ჯერ საჯარიმოთი სამ ქულამდე დაიყვანეს მეტოქესთან ჩამორჩენა - 14:17, ხოლო საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე გამარჯვების მომტანი ლელოც გაიტანეს. ქუთაისელთა ჩათვლის მოედნიდან ორ მეტრში წარმოქნილი რაკიდან ბურთი **ბადრი ალხაზაშვილმა** აიტაცა და ლელო გაიტანა. აკადემიელთა მგეზავმა ამჯერადაც გარდასახა - 21:17.

დარჩენილ მცირე დროში ქუთათურებმა ერთადერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს 20:21 და **ლევან ობოლაძის** გაწვრთნილმა „აკადემიამ“ დამსახურებულად იზეიმა ჩემპიონობა.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**III ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| **ხარები-ჯიქები** | **16:10** |

**გიორგი ბარბაქაძე**



A ლიგის გამარჯვებული თბილისის აკადემია

● ლეგიონერები

# ორხელისუფლებიანობა ელიტაში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში, მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის ტესტების ციებცხელება იყო, მორიგი, XI ტურის შეხვედრები გაიმართა, რომლის შედეგადაც ელიტურ, პირველ დივიზიონში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ამასთან ერთად, სატურნირო ცხრილში პირველი შვიდი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ.**

**ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ შინ მიიღო **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი“ და 15:9 მოუგო. ტულონელებს გაუმართლათ, რომ მათი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** ინგლისის ნაკრებში აღარ თამაშობს. მასპინძლებმა გამარჯვება სწორედ მისი ფეხჩუბინობის წყალობით მოიპოვეს.

ჟღენტი თადარიგში იყო და თამაშში მე-10 წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავამ და მიქაუტაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

„ტულონის“ მსგავსად 36 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, რომელმაც შინ **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს“ მოუგო დიდი ანგარიშით - 47:14. ხინჩაგიშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილი ტრავმირებულია.

ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე დებიუტანტ „ოიონაქსს“ მოუგო - 14:3. ორივე ქართველი ტრავმირებულია. კაკოვინს ახლახან „ტულუზმა“ კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივა. დარჩება თუ არა ბრეგვაძე ტულუზში, ეს მაისში გადაწყდება.

**მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ 33 ქულით მეოთხე ადგილზეა. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ წააგო საფრანგეთის ჩემპიონ, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრთან“ - 16:20. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გორგოძემ და ნარიაშვილმა ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს.

შინ აუტსაიდერ „ბიარიცთან“ დამარცხდა **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“ - 9:14. ასეიშვილი 51-ე წუთზე შეცვალეს, შველიძე ტრავმირებულია.

სტუმრად „ბორდოსთან“ დამარცხდა **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ - 23:45. ორივე ქართველი გასულ უქმეებზე ეროვნულ ნაკრებში გაისარჯა.

მეორე დივიზიონში კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს **გურამ კავთიძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად დაამარცხა **თამაზ მჭედლიშვილის**, **მერაბ შარიქაძისა** და **გიორგი სულუაშვილის** „ბურგ ან ბრესი“ - 27:24.

კოლელიშვილს დისკვალიფიკაცია აქვს, მჭედლიშვილმა და შარიქაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშეს, სულუაშვილი და კავთიძე განაცხადში არ იყვნენ.

საპლეიოფო ხუთეულში შესვლისთვის იბრძვის **გიორგი ნაცარაშვილისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი“, რომელმაც შინ მოუგო „მონ დე მარსანს“ - 42:12. ნაცარაშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო, დათუნაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

**I დივიზიონი**

**XII ტური**

**ტულონი-პერპინიანი 15:9, ბრივი-ბიარიცი 9:14, ბაიონი-გრენობლი 24:21, მონპელიე-კასტრი 16:20, ბორდო-სტად ფრანსე 45:23, ტულუზი-ოიონაქსი 14:3, კლერმონი-მეტრო რასინგი 47:14**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 36 ქულა, 2. კლერმონი - 36, 3. ტულუზი - 35, 4. მონპელიე - 33, 5. კასტრი - 31, 6. სტად ფრანსე - 31, 7. პერპინიანი - 29, 8. გრენობლი - 29, 9. ბრივი - 28, 10. მეტრო რასინგი - 27, 11. ბორდო - 26, 12. ბაიონი - 25, 13. ოიონაქსი - 21, 14. ბიარიცი - 16.**

**II დივიზიონი**

**XI ტური**

**აჟენი-კოლომიე 36:14, ბეზიე-კარკასონი 20:23, ბურგუენი-ოში 32:6, ალბი-პო 19:20, ორიაკი-მონ დე მარსანი 42:12, ბურგ ან ბრესი-ლიონი 24:27, დაქსი-ტარბი 26:15, ნარბონი-ლა როშელი 25:17.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიონი - 46 ქულა, 2. ლა როშელი - 38, 3. აჟენი - 36, 4. პო - 34, 5. ორიაკი - 32, 6. ბურგუენი - 29, 7. ნარბონი - 28, 8. კოლომიე - 24, 9. ტარბი - 23, 10. დაქსი - 21, 11. მონ დე მარსანი - 20, 12. ბეზიე - 19, 13. კარკასონი - 19, 14. ალბი - 18, 15. ბურგ ან ბრესი - 15, 16. ოში - 14.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


შვედური ტრიო: ფრანცენი, ალფრედსონი და ზეტერბერგი

# შვედების დეტროიტი

ორი მატჩი გაიმართა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. "დეტროიტის" ფორვარდმა **პაველ დაციუკმა** მონაწილეობა ვერ მიიღო "ბაფალოსთან" მატჩში, რადგან ტვინის შერყევის ნიშნები ჰქონდა. "ოტავასთან" წინა შეხვედრის მესამე პერიოდში, რუსმა **ჯარედ კოუენისგან** თავში იდაყვით დარტყმა მიიღო და ამის გამო, "დეტროიტის" ხელმძღვანელობამ თავი დაიზღვია და თავისი ვეტერანი ლიდერი თადარიგში დატოვა. სხვათა შორის, ლიგის ხელმძღვანელობამ ამ შემთხვევაში დარღვევა ვერ აღმოაჩინა და კოუენი დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

დაციუკის გარეშე, "დეტროიტმა" რთულ გამარჯვებას მიაღწია "ბაფალოსთან" და ამ მატჩში მთავარი სიტყვა "რედ უინგზის" შვედმა ლეგიონერებმა თქვეს. "ოტავას" ყოფილმა კაპიტანმა **დანიელ ალფრედსონმა** ულამაზესი პასით ანგარიში გაათანაბრებინა **დარენ ჰელმს**, ხოლო **იოჰან ფრანცენმა**, რომელიც თანდათან იბრუნებს ფორმას ტრავმის შემდეგ, რიცხობრივ უპირატესობაში გამარჯვების შაიბა გაიტანა.

და, რა თქმა უნდა, აღვნიშნავთ მეკარე **იონას გუსტაფსონის** კარგ თამაშს. მან 21 დარტყმა მოიგერია და მეორე პერიოდში, 1:1-ზე ბულიტი აუღო ბაფალოელი **სკოტს**.

■ ■ ■

პირველი პერიოდის ნაგების მიუხედავად, "კაროლინამ" დამაჯერებლად დაამარცხა "ოტავა". აქაც, მოედანზე ვერ ვიხილეთ რუსი **ალექსანდრ სიომინი**, რომელმაც ტვინი შერყევის გამო გამოტოვა ზედიზედ მეოთხე შეხვედრა. "კაროლინას" რიგებში მთავარი გმირი გახდა მეკარე **კემ უორდი**, რომელიც 36-დან 35 შაიბა მოიგერია.

**ბაფალო–დეტროიტი 1:3**

1:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 პოჯსონი-8 (სტეფორდი-6), 1:1 ჰელმი-5 (ალფრედსონი-12, აბდელკადერი-6), 1:2 ფრანცენი-6 (ზეტერბერგი-18, კრონვალი-13), 1:3 ალფრედსონი-4 (ფრანცენი-7).

**კაროლინა–ოტავა 4:1**

0:1, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სპეცა-10 (ზიბანეჯადი-3), 1:1 დუაიერი-3 (ჯ. სტაალი-5, ფოლკი-7), 2:1 ტ. რუუტუ-2 (ე. სტაალი-10), 3:1 ლინდჰოლმი-2 (ე. სტაალი-11, ფოლკი-8), 4:1 ე. სტაალი-6 (მალორტა-2).

# გრეტცკის ბულიტები არ მოსწონს

ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა, კანადის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა **უეინ გრეტცკიმ** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ უნდა გაიზარდოს რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში ოვერტაიმის ხანგრძლივობა და დამატებით დროში თამაში სამი სამზე უნდა მიდიოდეს.

*„ცუდია, რომ ასეთი შეთავაზებები არ ყოფილა იმ დროს, როცა მე ვთამაშობდი,* - ამბობს გრეტცკი TSN-თან კომენტარში. - *ეს საინტერესო ვარიანტია და მე მზად ვარ მხარი დავუჭირო ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან კენ ჰოლანდია და სხვები. ისინი ამბობენ: „ჩვენ გვინდა, რომ თამაში საინტერესო და სანახაობრივი იყოს გულშემატკივრებისთვის, მაგრამ არ გვსურს, პლეი ოფში გასვლის საკითხი ბულიტების სერიებით წყდებოდეს". ამიტომაც სულერთია, იქნება სამი სამზე თუ ოთხი ოთხზე ფორმატი, მთავარია, რომ წინა პლანზე გამოვა თამაში და არა ის, თუ როგორ განვითარდება ბულიტების სერია. და მე არ მგონია, რომ ამ შემთხვევაში, თამაში დაკარგავს მომხიბვლელობას, როგორიც ბულიტების სერიას ახლავს".*

# ტორონტო ისევ ყველაზე ძვირია

„ტორონტო მეიპლ ლივზი" კვლავინდებურად ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე ძვირადღირებული გუნდია - ასეთია ჟურნალ „ფორბსის" ახალი რეიტინგის მთავარი შედეგი.

„ფორბსმა" „ტორონტო" 1.15 მილიარდ დოლარად შეაფასა. ყველაზე ძვირადღირებული კლუბების ხუთეულში ასევე შედიან: „რეინჯერსი" (850 მლნ), „მონრეალი" (775 მლნ), „ვანკუვერი" (700 მლნ) და „ჩიკაგო" (625 მლნ).

ყველაზე იაფ კლუბებად აღიარეს: „აილენდერსი" (195 მლნ), „კაროლინა" (187 მლნ), „სენტ ლუისი" (185 მლნ), „ტამპა ბეი" (180 მლნ) და „კოლამბუსი" (175 მლნ).

საშუალოდ, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბი შეფასებულია 413 მილიონ დოლარად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# როუზის გარეშე რთულია

გუნდები თანდათან აღწევენ ოპტიმალურ ფორმას, "ბრუკლინს" კი კვლავ არ მისდის საქმეები. "ნეტსმა" მორიგი მარცხი იწვნია - ამჯერად, საკუთარ მოედანზე "დეტროიტისგან" (97:109). ცნობილია, რომ შინ საკუთარი კედლებიც გეხმარებიან, მაგრამ, იმ საღამოს "ბრუკლინის" მოთამაშეებს საკუთარმა გულშემატკივრებმა უსტვინეს. *"ყველას გვრცხვენია. ბუნებრივია, ასეთი რამის მოსმენა ძალიან არასასიამოვნოა. შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ რეაბილიტაცია მოვახდინოთ ფანების თვალში"*, - განაცხადა ამ ფიასკოს შემდეგ **კევინ გარნეტმა**. *"ჯერჯერობით, მესამე მეოთხედი - ჩვენი აქილევსის ქუსლია"*, - დაამატა "ნეტსის" კიდევ ერთმა ვეტერანმა **პოლ პირსმა**.

მართლაც, სეზონში ათივე ნაგებულ შეხვედრაში, **ჯეისონ კიდის** გუნდმა ათივეჯერ დათმო მესამე 12-წუთეული. ასეა თუ ისე, ახალბედა კიდს ბევრი შრომა მოუწევს იმისთვის, რომ თავისი ვარსკვლავური შემადგენლობისგან მისაღებ შედეგს გამოკრას ხელი. "ნეტსის" გულშემატკივრებმა კი იმედი უნდა იქონიონ, რომ საქმეები გამოსწორდება **დერონ უილიამსის, ბრუკ ლოპესისა** და **ანდრეი კირილენკოს** გამოჯანმრთელების შემდეგ.

■ ■ ■

მანამდე კი დღევანდელი "ბრუკლინი" შეიძლება შევადაროთ შარშანდელ "ლეიკერსს", რომელმაც შემადგენლობა რამდენიმე ვარსკვლავით შეავსო, მაგრამ მთელი სეზონი პლეი ოფის ზონის ზღვარზე იმყოფებოდა და სამარცხვინოდ გავარდა პირველი რაუნდიდან. თუმცა, ამ გადასახედიდან, "ბრუკლინს" პლეი ოფის მიღმა დარჩენის დიდი შანსი აქვს. ჯერჯერობით ის ლიგის სამ ყველაზე სუსტ გუნდს შორის იმყოფება და მხოლოდ "მილუოკისა" და "იუტას" უსწრებს.

დღევანდელი "ლეიკერსი" კი უკვე აიძულებს სკეპტიკოსებს, გადახედონ თავიანთ შეფასებებს ამ გუნდთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი დატოვეს **დუაიტ ჰოვარდმა** და **მეტა უორლდ პისმა**, ხოლო **კობი ბრაიანტი** ჯერ არ დაბრუნებია მოედანს, გუნდი საკმაოდ კონკურენტუნარიანი გახდა. "ლეიკერსმა" გუშინ "საკრამენტოს" დამარცხებით ზედიზედ მესამე მოგება გაიფორმა და გათამაშების ცხრილში 50-პროცენტიან ბალანსს მიაღწია.

■ ■ ■

ხანდახან ამბობენ, რომ გამთამაშებელი - ნახევარი გუნდია. და რთულია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო "ჩიკაგოსა" და "კლიპერსის" გუშინდელი დაპირისპირების ხილვისას. "ხარების" პირველი თამაში **დერიკ როუზის** ტრავმის შემდეგ, სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხებით დასრულდა - 39-ქულიანი სხვაობა.

კალიფორნიელთა რიგებში გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა ასევე გამთამაშებელი **კრის პოლი**, რომელიც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდის ვერსიით, ლიდერია MVP-ის ტიტულისთვის ბრძოლაში. მის ანგარიშზე გუშინ მე-14 ორმაგი დუბლი იყო (16 ქულა+17 შედეგიანი პასი). **დოკ რივერსის** შეგირდები აგრძელებენ წყნარი ოკეანის დივიზიონში ლიდერობას, "ბულზი" კი ჯერჯერობით ინარჩუნებს მეხუთე ადგილს აღმოსავლეთში, მაგრამ ძალიან რთული იქნება როუზის გარეშე პლეი ოფის ზონაში დარჩენა.

**ბრუკლინი–დეტროიტი 97:109**

19:23, 32:21, 15:34, 31:31

ბ: ჯო ჯონსონი (34), პირსი (19).
დ: სტაკი (27), მონრო (18+11 მოხსნა).

**კლიპერსი–ჩიკაგო 121:82**

31:24, 34:28, 31:21, 25:9

კ: დადლი (21), რედიკი (19), პოლი (16+17 პასი), გრიფინი (15), კოლისონი (14), ჯეიმისონი (11).
ჩ: დენგი (22), ბუზერი (14), დანლივი (14).

**ორლანდო–ფინიქსი 96:104**

21:31, 23:22, 28:27, 24:24

ო: ვუჩევიჩი (20+10 მოხსნა), ნიკოლსონი (19), აფლალო (16), ჯ. ნელსონი (15).
ფ: დრაგიჩი (23+13 პასი), ჯ. გრინი (20), მარკუს მორისი (16), ფრაი (14), მარკიფ მორისი (12).

**ოკლაჰომა–იუტა 95:73**

22:13, 25:17, 28:13, 20:30

ო: დურანტი (19), იბაკა (17+11 მოხსნა), ჯემბი (15), პ. ჯონსი (13), რეჯ. ჯექსონი (10).
ი: კანტერი (10), გობერი (10).

**ლეიკერსი–საკრამენტო 100:87**

29:24, 26:24, 18:13, 27:26

ლ: ჰენრი (21), პ. გასოლი (20+10 მოხსნა), მიქსი (14), ჯ. ჰილი (10).
ს: ვასკესი (20), კაზინსი (17), მაკლემორი (15).


ბრუკლინი-ატლანტა


ანდრე იგუოდალა

# ოპერაცია საჭირო არ არის

„გოლდენ სტეიტმა" რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩი თავისი ერთ-ერთი ლიდერის **ანდრე იგუოდალას** გარეშე ჩაატარა. „ფილადელფიასა" და „დენვერის" ყოფილმა მოთამაშემ ბარძაყის ტრავმა „ლეიკერსთან" შეხვედრაში მიიღო და გუშინ, სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა.

როგორც აღმოჩნდა, დაზიანება სერიოზული არ არის, თუმცა ზუსტი დიაგნოზისა და აღდგენითი პროცესის ვადების შესახებ არაფერს იტყობინებიან. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგუოდალას ოპერაცია არ დასჭირდება.

მიმდინარე სეზონში ფორვარდმა 13 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.9 ქულა, 4.2 მოხსნა და 6.3 შედეგიანი პასი დააგროვა.

# ბატიე ბოლო სეზონს თამაშობს

„მაიამი ჰიტის" ფორვარდმა **შეინ ბატიემ** განაცხადა, რომ 2013-14 წლების სეზონი ბოლო იქნება მის პროფესიულ კარიერაში.

*„თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, მიმდინარე სეზონი, სავარაუდოდ, ბოლო იქნება ჩემს კარიერაში. მორალურად მზად ვარ დიდი კალათბურთიდან წასასვლელად და დღესაც, მოედანზე გავდივარ იქამდე, სანამ ამის საშუალებას ორგანიზმი მაძლევს. ზუსტად თუ ვიტყვი, შობისთვის თამაში რომ ვერ შევძლო, მაშინვე დავტოვებ ლიგას.*

*მომავალში არ ვიყურები. ახლა, ვერგები ახალ როლს გუნდში, სადაც სასტარტო ხუთეულში მანდეს ადგილი და ვცდილობ, „ჰიტის" თამაშს დამატებითი ენერგია შევძინო"*, - ამბობს ბატიე.

# შარლოტი ფერებსაც იბრუნებს

როგორც ცნობილია, მომავალი სეზონიდან „შარლოტი" დაიბრუნებს ძველ სახელწოდებას - „ჰორნეტს", რომელიც ამ გუნდს 1988-2002 წლებში ეკუთვნოდა - იქამდე, სანამ ნიუ ორლეანში გადაბარგდებოდა. და ბოლო ათი წელი, „ჰორნეტსის" სახელით ლუიზიანური კლუბი თამაშობდა, სანამ მას წელს არ შეუცვალეს სახელი და „პელიკანსი" არ დაარქვეს. ამასობაში, „შარლოტის" მფლობელმა **მაიკლ ჯორდანმა** იზრუნა იმისთვის, რომ მის გუნდს დაბრუნებოდა ძველი სახელი „ჰორნეტსი" და მიაღწია კიდეც მიზანს - „ბობკეტსი" „ჰორნეტსით" 2014-15 წლების სეზონიდან შეიცვლება.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ სახელთან ერთად, „შარლოტი" იბრუნებს ძველ ფერებს - იასამნისფერსა და მწვანეს. ჯორდანის თქმით, მისი გუნდის ამოცანა ტრადიციების შენარჩუნება და „ჰორნეტსის" ძველი დროების შეხსენებაა, როცა ამ გუნდში თამაშობდნენ **ვლადე დივაცი, ალონზო მოურნინგი, მაგსი ბოგზი** და **ლარი ჯონსონი**.


ძველი შარლოტი: ლარი ჯონსონი, მაგსი ბოგზი და ალონზო მოურნინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1



# 2014 წლის ჭორ-მართალი

წელს, ფორმულა 1-ში სატრანსფერო ბაზრის გააქტიურებას სათავე დაუდო ავსტრალიელმა **მარკ უებერმა**, რომელმაც სეზონის დასრულების შემდეგ, „დიდი ცირკიდან" წასვლის შესახებ გამოაცხადა. „რედ ბულის" შემადგენლობაში ცვლილებებს მოჰყვა გადაადგილებები „ფერარიში", „მაკლარენსა" და სხვა გუნდებში.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა დღეისთვის ფორმულა 1-ის საჯინიბოებში...

**რედ ბული**

საჩემპიონო გუნდში რამდენიმე წელი არ იცვლებოდა შემადგენლობა - **სებასტიან ფეტელი** და მარკ უებერი ავსტრიულ საჯინიბოს ოთხი ტიტულის მოგებაში დაეხმარნენ, მაგრამ ივნისში, ავსტრალიელმა ამტანობაზე რბოლებში გადასვლის შესახებ გამოაცხადა. ასე რომ, მომავალ სეზონში ფეტელის პარტნიორი იქნება „რედ ბულის" ახალგაზრდული პროგრამის მონაწილე **დანიელ რიკარდო**.

**დადასტურებული კონტრაქტები:** სებასტიან ფეტელი და დანიელ რიკარდო.

**მერსედესი**

**ლუის ჰემილტონის** მიწვევამ სრულიად გაამართლა - 2013 წელს, „მერსედესს" პილოტთა ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი ჰყავდა პელოტონში. ახალი სეზონის წინ, როცა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ტექნიკურ რეგლამენტში, გუნდის შემადგენლობა უცვლელი დარჩება: ლუის ჰემილტონი და **ნიკო როსბერგი** გააგრძელებენ „მერსედესში" გამოსვლას 2014 წელს.

**დადასტურებული კონტრაქტები:** ლუის ჰემილტონი და ნიკო როსბერგი.

**ფერარი**

იტალიელებმა არ გააგრძელეს კონტრაქტი **ფელიპე მასასთან** და 2014 წელს, **ფერნანდო ალონსოს** მეწყვილე იქნება **კიმი რაიკონენი**, რომელიც ერთხელ უკვე გამოდიოდა „სკუდერიაში" და 2007 წელს იქ ჩემპიონიც გახდა.

**დადასტურებული კონტრაქტები:** ფერნანდო ალონსო და კიმი რაიკონენი.

**ლოტუსი**

„ლოტუსთან" ორწლიანი თანამშრომლობის შემდეგ, კიმი რაიკონენმა დატოვა გუნდი ფინანსური პრობლემების გამო. „ლოტუსში" ჯერ არ დაუსახელებიათ ფინელის შემცვლელი. კანდიდატთა სია საკმაოდ გრძელია, მაგრამ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, შედგება თუ არა გარიგება კომპანია Quantum-თან. თუ კონტრაქტი გაფორმდა, მაშინ „ლოტუსს" არ დასჭირდება სპონსორიანი პილოტის ძებნა.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ გუნდში დარჩება ფრანგი **რომენ გროსჟანი**.

**კანდიდატები:** რომენ გროსჟანი, ნიკო ჰიულკენბერგი, პასტორ მალდონადო, პოლ დი რესტა.

**მაკლარენი**

როცა **სერხიო პერესთან** აფორმებდა კონტრაქტს, „მაკლარენს" ამ ახალგაზრდა პილოტისა და მისი მექსიკელი სპონსორების დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ, მანქანა არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა და თავად სერხიომაც ვერ ჩაატარა წარმატებული სეზონი. ამიტომაც, 2014 წლისთვის მან ბრიტანულ საჯინიბოში ადგილი დაუთმო „მაკლარენის" ახალგაზრდული პროგრამის ნევრს, „ფორმულა-რენოს" მოქმედ ჩემპიონს **კევინ მაგნუსენს**. ასევე ერთი წლით არის დადასტურებული კონტრაქტი **ჯენსონ ბატონთან**.

**დადასტურებული კონტრაქტები:** კევინ მაგნუსენი და ჯენსონ ბატონი.

**ფორს ინდია**

ინდური საჯინიბოს შეფმა **ვიჯეი მალიამ** არაერთხელ განაცხადა, რომ შემადგენლობა მოგვიანებით გამოცხადდება. მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის, კანდიდატთა დიდი რაოდენობა.

**კანდიდატები:** ადრიან სუტილი, პოლ დი რესტა, ჯეიმს კალადო, ნიკო ჰიულკენბერგი, სერხიო პერესი.

**ზაუბერი**

„ზაუბერი" კიდევ ერთი გუნდია, რომელსაც 2014 წლისთვის ოფიციალურად არ დაუსახელებია შემადგენლობა. შვეიცარიელები რთულ ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ამიტომაც, უპირატესობა მიენიჭებათ იმ პილოტებს, რომლებიც თავად აანაზღაურებენ ჩემპიონატში გამოსვლას.

პრეტენდენტი ბევრია. არ არის გამორიცხული, რომ „ზაუბერში" დარჩეს **ნიკო ჰიულკენბერგი** - თუ ის სხვა გუნდს ვერ მოელაპარაკება.

**კანდიდატები:** ნიკო ჰიულკენბერგი, ესტებან გუტიერესი, სერგეი სიროტკინი, პასტორ მალდონადო, სერხიო პერესი.

**ტორო როსო**

„რედ ბული" „ტორო როსოს" იყენებს ახალგაზრდა პილოტთა მხარდაჭერის პროგრამის ბოლო საფეხურად. ამ გუნდში ბევრს არ გაუტარებია ორ სეზონზე მეტი, მაგრამ **ჟან-ერიკ ვერნი** მომავალ წელსაც დარჩება აქ, მისი მეწყვილე კი გახდება პერსპექტიული რუსი **დანიილ კვიატი**.

**დადასტურებული კონტრაქტები:** ჟან-ერიკ ვერნი და დანიილ კვიატი.

**უილიამსი**

2013 წლის სეზონი „უილიამსისთვის" ერთ-ერთი უარესი იყო ისტორიაში. მანქანას კატასტროფულად არ ჰყოფნიდა სიჩქარე, **პასტორ მალდონადოს** ვენესუელელი სპონსორები უკმაყოფილონი იყვნენ შედეგებით და საბოლოოდ, პასტორმა თავად გამოაცხადა გუნდიდან წასვლის შესახებ. მომავალ წელს მას შეცვლის ფელიპე მასა.

**დადასტურებული კონტრაქტები:** ფელიპე მასა და ვალტერი ბოტასი.

**კატერჰემი**

გუნდს ოფიციალურად არ გამოუცხადებია შემადგენლობა მომავალი სეზონისთვის, თუმცა მის ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ სურს პილოტთა ამჟამინდელი წყვილის შენარჩუნება. სხვა კანდიდატებთან ერთად, ასახელებენ **ჰეიკი კოვალაინენისა** და **ალექსანდერ როსის** გვარებს.

**კანდიდატები:** შარლ პიკი, გიდო ვან დერ გარდე, ჰეიკი კოვალაინენი, ალექსანდერ როსი, მარკუს ერიქსონი.

**მარუსია**

ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, გუნდმა გამოაცხადა **ჟიულ ბიანკისთან** კონტრაქტის გაგრძელების შესახებ. მისი მეწყვილე არ დასახელებულა, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ **მაქს ჩილტონი** გააგრძელებს კარიერას.

**დადასტურებული კონტრაქტი:** ჟიულ ბიანკი.

**კანდიდატები:** მაქს ჩილტონი, ტიო ელინასი, როდოლფო გონსალესი, დავიდე რიგონი, სტოფელ ვანდორნი.

● კრივი

# 12 აპრილს, ლას ვეგასში

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 34 წლის ფილიპინელი **მენი პაკიაო** თავის მომდევნო ორთაბრძოლას 12 აპრილს ჩაატარებს, - ასეთ ინფორმაციას ავრცელებს პრომოუტერული კომპანია Top Rank-ის შეფი **ბობ არუმი**. შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე, ჩინეთის ქალაქ მაკაოში პაკიაომ იოლად დაამარცხა 27 წლის ამერიკელი **ბრენდონ რიოსი**.

აპრილის ორთაბრძოლა, სავარაუდოდ, ლას ვეგასში გაიმართება. ამჟამად მიმდინარეობს სავარაუდო მეტოქეების განხილვა, მაგრამ პაკიაოს მწვრთნელ **ფრედი როუჩს** სურს, რომ მისი შეგირდი მეორედ შეხვდეს ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონ **ტიმოტი ბრედლის** ან მეხუთედ დაუპირისპირდეს ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს**.

*„ჩვენ ერთად დავსხდებით და ყველა დეტალს განვიხილავთ. დიდი გამარჯვების შემდეგ აჩქარება არ შეიძლება, რადგან შეიძლება შეცდომა დავუშვათ,* - განაცხადა ბობ არუმმა. - *დაველაპარაკებით მენის და მის მწვრთნელ ფრედი როუჩს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მომდევნო ბრძოლა 12 აპრილს არის დაგეგმილი და იმედია, მას აშშ-ში ჩავატარებთ".*



მენი პაკიაო

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 2:2 |
| **იტალია** | |
| რომა-კალიარი | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| მალაგა-ბილბაო | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-ფიურტი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოსერი-კაენი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| ოლანენსე-აკადემიკა | 0:1 |
| **შოტლანდია** | |
| **I ლიგა** | |
| არბროა-რეინჯერსი | 0:3 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვადუცი-ვილი | 3:1 |
| ვინტერტური-შაფჰაუზენი | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| ლევადია-პაინიონიოსი | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| ახისარი-ქარაბუქი | 0:1 |
| ბეშიქთაში-ქონია | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| გაზიანთეფი ბბ-ქარსიაქა | 1:1 |
| სამსუნი-ადანასფორი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-ტეპლიცე | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| კრასნოდარი-ტერეკი | 3:2 |
| **პოლონეთი** | |
| კრაკოვია-ლეხი | 1:6 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-კორონა | 3:2 |
| ბრაშოვი-კლუჟი | 0:0 |
| პეტროლული-ვიიტორული | 3:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ნეფტოხიმიკი-ცსკა | 1:3 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ირონი (რ-ჰ) | 0:0 |
| **არგენტინა** | |
| ესტუდიანტესი-კოლონი | 1:0 |
| **ნასიონალი B** | |
| ბანფილდი-სარმიენტო | გვ. დასრულდა |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 93:71 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-ნანტი | 87:71 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 2:1 |

● TV პროგრამა

**26 ნოემბერი. სამშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ვერდერი-მაინცი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ტვენტე-ბრედა.
16:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XI ტური. ოლანენსე-აკადემიკა.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. დორტმუნდი-ბაიერნი.
21:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-პორტო (LIVE).
23:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-მარსელი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჟალგირისი-რეალი.
14:30 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ნიუელსი-არსენალი.
17:00 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ინგლისი-საფრანგეთი.
19:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
22:45 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 2001-02 წლები. I ნაწილი.
23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აიაქსი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
12:40 სპორტ-NEWS.
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
14:40 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ავსტრალია-აშშ.
16:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
17:45 სპორტ-NEWS.
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-მარსელი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 16 | (მზე) |
| ქუთაისი | 14 | 23 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 22 | (მზე) |
| ფოთი | 12 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 10 | 22 | (მზე) |
| გორი | -1 | 15 | (მზე) |
| თელავი | 4 | 14 | (მზე) |
| სიღნაღი | 3 | 13 | (მზე) |
| ბაკურიანი | -5 | 13 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 15 | (მზე) |
| მესტია | -3 | 15 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2779 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6858 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7300 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1438 |

● ოლიმპიზმი

# ტომაშ ბახი: პროგრამის გაფართოება შეიძლება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ტომაშ ბახმა** განაცხადა, რომ შეიძლება გადაიხედოს ოლიმპიურ ქარტიაში ის მუხლი, რომელიც ზაფხულის თამაშების პროგრამაში სპორტის სახეობათა რაოდენობას 28-მდე ზღუდავს.

*„უფრო მეტად მოქნილები უნდა ვიყოთ,* - ამბობს ბახი. - *სპორტის სახეობა შეიძლება იყოს 26-დან 30-მდე. ჩვენ არ უნდა მოვიშოროთ ესა თუ ის სახეობა იმისთვის, რომ სხვა სახეობა დავამატოთ პროგრამაში. უბრალოდ, უნდა შევამციროთ ქვოტები, რათა შენარჩუნდეს მონაწილეთა და გასათამაშებელი მედლების რაოდენობა. ჯერ უნდა შემუშავდეს კონცეპცია და შემდეგ ვიმოქმედოთ.*

*ჩვენ ასევე შეიძლება შევცვალოთ წესი, რომლის მიხედვითაც პროგრამა საბოლოოდ ფორმირდება თამაშების დაწყებამდე შვიდი წლით ადრე. ამით, შესაძლოა, ტოკიოში 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამის კორექტირება მოვახდინოთ".*

ადრე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალმა პრეზიდენტი 2020 წლის თამაშების პროგრამაში ბეისბოლის დამატებაზე გამოთქვა აზრი, რადგან სპორტის სახეობა იაპონიაში ძალიან პოპულარულია.



ტომაშ ბახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი



რაფა და ნოვაკი ბოკას ფორმებში


ვარსკვლავები პერიტო-მორენოზე


რაფა და უილ სმიტი

# რაფა და ნოლე ერთობიან

მხიარულად ატარებენ დროს მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგანი - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომლებიც სამხრეთ ამერიკაში ტურნეში იმყოფებიან.

თავდაპირველად, მათ მინი-მატჩი ითამაშეს პერიტო-მორენოს მყინვარზე, რომელიც არგენტინის ერთ-ერთ ეროვნულ პარკში მდებარეობს.

ამის შესახებ, ესპანელმა თავის "ტვიტერზე" დაწერა.

*"დღეს მე მოვინახულე პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ადგილი. ასეთი რამ, აქამდე არასოდეს მინახავს. პერიტო-მორენო დაუჯერებლად ლამაზი ადგილია!"* - დაწერა ნადალმა.

სამხრეთ ამერიკაში ყოფნისას, ნადალმა და ჯოკოვიჩმა ორჯერ ითამაშეს საჩვენებელი შეხვედრა. ჩილეში სერბმა მოიგო ორ სეტში - 7:6(5), 6:4, ბუენოს აირესში კი ესპანელმა რევანში აიღო - 6:4, 7:5. ამ შეხვედრას ესწრებოდა ჰოლივუდის ვარსკვლავი **უილ სმიტი**.

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა კონკურენცია ამით არ დასრულებულა. რაფამ და ნოვაკმა "ბოკა ხუნიორსის" სტადიონ "ბონბონერაზე" შეისეირნეს. იქ ისინი დაესწრნენ ადგილობრივი კლუბისა და "ნიუელ ოლდ ბოისის" შეხვედრას, შესვენებაზე კი მათ პუბლიკა გაახალისეს.

ჩოგბურთელები "ბოკას" ფორმაში გამოეწყვნენ. სხვათა შორის, ჯოკოვიჩი ბუენოს აირესის მერს **მაურისიო მაკრის** შეხვდა და სწორედ მან აჩუქა ჩოგბურთელს 10-ნომრიანი მაისურა. შესვენებაზე ნოლე და რაფა პენალტების სერიაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, კარს კი იცავდა "ბოკას" მესამე მეკარე **სებასტიან დ'ანჯელო.**

ჩოგბურთელებმა რამდენიმე დარტყმა შეასრულეს, მაგრამ მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენა არ მოხერხდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი

# ოფიციალურად: როუზმა სეზონი დაასრულა


დერიკ როუზი

"ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** გუშინ, მარჯვენა მუხლზე გაწყვეტილი მენისკის აღსადგენად ოპერაცია გაიკეთა. როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს, "ხარების" ლიდერი გამოტოვებს 2013-14 წლების სეზონის დარჩენილ ნაწილს.

შეგახსენებთ, რომ როუზმა ტრავმა შაბათს, "პორტლენდთან" მატჩში მიიღო. დერიკმა მარცხენა მუხლზე ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო 2012-13 წლების სეზონი გამოტოვა.

# ლებრონი ყველაზე მოდურია

ჟურნალმა GQ-მ "მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** ყველაზე მოდურ სპორტსმენად გამოაცხადა.

პირველ ოცეულში NBA-ის შვიდი მოთამაშე მოხვდა: "ნიქსის" ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი** (მე-4 ადგილი), "მაიამის" მცველი **დუეინ უეიდი** (9), "ოკლაჰომას" მცველი **რასელ უესტბრუკი** (12), "ნიუ იორკის" ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი** (14), "ნიქსის" მცველი **ჯეი არ სმიტი** (15), "ლეიკერსის" გამთამაშებელი **სტივ ნეში** (17) და "ლეიკერსის" მცველი **ნიკ იანგი** (19).

"მაიამი ჰიტის" შემტევმა მცველმა დუეინ უეიდმა იუმორით აღიქვა ეს ამბავი.

*"ლებრონი ბევრ რამეშია პირველი, მაგრამ მოდის მხრივ, ეს ასე არ არის. მივულოცავ მას ან იმას, ვინც მან პირველ ადგილზე გასასვლელად მოისყიდა"*, - ღიმილით აღნიშნა უეიდმა.

ამ უკანასკნელს პირდაპირი კავშირი აქვს მოდასთან. ამასწინ, დუეინმა გამოუშვა ჰალსტუხების საკუთარი ხაზი. მას აგრეთვე ტანსაცმლის საკუთარი მაღაზია აქვს მაიამიში. კალათბურთელი არაერთხელ მოხვედრილა GQ-ის ფურცლებზე, მაგრამ ყველაზე მოდური სპორტსმენის 2013 წლის რეიტინგში მხოლოდ მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა.

ჯეიმსის გარდა, პირველ სამეულში მოხვდნენ **ვიქტორ კრუზი** (ამერიკული ფეხბურთი) და **ჰენრიკ ლუნდკვისტი** (ჰოკეი).



უეიდი და ჯეიმსი

# ესეც ოფიციალურად: კობის ახალი კონტრაქტი

გუშინ, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** თავის ამჟამინდელ კლუბთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ინფორმაცია კალიფორნიული კლუბის „ტვიტერზე" გამოქვეყნდა.

*„ეს სასიხარულო დღეა „ლეიკერსის" გულშემატკივრებისთვის და ჩვენი ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისთვის. გუნდის პრიორიტეტი იყო კობის შენარჩუნება და იმედი გვქონდა, რომ ის კარიერას „ლეიკერსში" დაასრულებდა. NBA-ში ერთ კლუბში 20 წელი თამაში - უპრეცედენტო შემთხვევაა და დიდი მიღწევაც. მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი „ლეიკერსში" რჩება სათამაშოდ"*, - ასეთ კომენტარს უკეთებს გარიგებას „ლეიკერსის" გენერალური მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი.**

ESPN-ის მონაცემებით, მომდევნო ორ სეზონში ბრაიანტი 48.5 მილიონ დოლარს (23.5+25) გამოიმუშავებს და ისევ დარჩება NBA-ის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ.


კობი ბრაიანტი

● ფორმულა 1

# ჰემილტონი: 2014 წელს ყველაფერი სხვანაირად იქნება


ლუის ჰემილტონი

"მერსედესის" ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** ემზადება იმისთვის, რომ ზამთარში ბევრი მუშაობა მოუწევს.

*"უნდა ვიმუშავო ინჟინრებთან გუნდის ბაზაზე და ვგრძნობ, რომ ეს ზამთარი ჩემთვის ისევე დაძაბული იქნება, როგორც ჩემი სადებიუტო სეზონის წინ იყო.*

*თუ ჩემს წლევანდელ შედეგებს შევაჯამებთ, საშუალო წელი გამოვიდა, ასე რომ, ძალიან ბევრი უნდა ვიმუშავო და შევეცადო გავიდე იმ დონეზე, როცა ვიგრძნობ, რომ მეტის მიღწევა შემიძლია.*

*2014 წელს, ბევრი რამ შეიცვლება. თავიდან მოგვიწევს დამუხრუჭების წერტილებში, DRS-ის სისტემაში, ავზში საწვავის რაოდენობაში გარკვევა. და საბურავებიც განსხვავებული იქნება.*

*ამ ყველაფრის შესახებ დღეს თითქმის არაფერია ცნობილი. სიმულატორზე მუშაობისას ჩვენ არ შეგვიძლია საბურავის შემოწმება, ასე რომ რთულია იმის გარკვევა, რამდენად შეიცვლება პილოტირების სტილი"*, - განაცხადა ლუის ჰემილტონმა.

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608